

ხადორი-3 ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზი

შემსრულებელი ექსპერტი: მამუკა გვილავა

თბილისი, 6 ოქტომბერი 2018

შინაარსი

ანალიზის მეთოდოლოგია	1
ჯამური შეფასება (ნახაზი 1).....	2
მნიშვნელოვანი დასკვნები.....	3
ანალიზის რეზიუმე (ცხრილი 1)	6
სრული ანალიზი (ცხრილი 2)	20
I. ზოგადი მოთხოვნები გზშ-ის მიმართ	20
II. გარემოს და სოციალური მართვის გეგმები.....	30
III. გამჭოლი თემები	41
IV. ტექნიკური ინფორმაცია / მონაცემები პროექტის შესახებ	51
V. ფიზიკური გარემო	53
VI. ნიადაგები	56
VII. ხმაური და ჰაერის დაბინძურება.....	58
VIII. კულტურული მემკვიდრეობა.....	61
IX. სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებები	64
X. ფლორა	69
XI. ფაუნა	69
XII. ინფორმაცია წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე.....	72
XIII. სხვა აღსანიშნავი დამატებითი საკითხები	78
XIV. ჯამური შეფასება	79
დანართი 1 გზშ-ის მიმართ გამოთქმული შენიშვნების არასათანადოდ გათვალისწინების ანალიზი	80
დანართი 2 ხადორის ჰესების კასკადის საველე დათვალიერების და თემთან შეხვედრის ფოტომასალები	90

ანალიზის მეთოდოლოგია
და ჯამური შეფასება

ხადორი-3 ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზი

2018 წლის 6 ოქტომბერი

ანალიზის მეთოდოლოგია

ხადორი-3 ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საბოლოო ანგარიშის ანალიზი შესრულებულია შესაბამისობაზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და ასევე საერთაშორისო საფინანსო და სხვა კომპეტენტური ორგანიზაციების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით ან კანონქვემდებარე აქტებით.

ჰესების პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი თემების (საკითხების) ანალიზი შესრულდა საქართველოში ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის „მდგრადი ჰიდროენერგეტიკის განვითარება საქართველოში“ (იხ. <https://www.energi.no/en/sustainable-hydropower-development-in-georgia>) მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიით, რომლის ფარგლებშიც „ნორსკ ენერჯის“ (<http://energi.no>) მიერ წამყვანი საერთაშორისო და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით სრულფასოვნად იქნა გაანალიზებული საქართველოში ჰიდროენერგეტიკის პროექტებისთვის შესრულებული 20 გზშ-ის ანგარიში.

გზშ-ში შესაბამისი თემების განხილვის ხარისხი შეფასდა ქულების 5-დონიანი რანჟირებით. რანჟირების შედეგები შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი შემდეგ გვერდზე (ნახაზი 1), რომლის ქვემოთ მოყვანილია შეფასების ლეგენდაც. რანჟირების მეთოდი საექსპერტო შეფასებას ეფუძნება და ანალოგიურია მიდგომისა, რომელიც გამოიყენა ბრიტანულმა ორგანიზაციამ „CEFAS“ (<https://cefaf.co.uk>) „ყუღის ტერმინალის მისასვლელი რკინიგზის“ პროექტის გზშ-ის ანალიზისას (აღნიშნული გზშ-ის, ისევე როგორც ხადორი-3-ის გზშ-ის ავტორია შპს „გამა“).

მკითხველის უკეთესი ორიენტირების მიზნით მნიშვნელოვანი დასკვნები თავიდანვეა წარმოდგენილი (იხ. „მნიშვნელოვანი დასკვნები“), ხოლო ცხრილში 1 რეზიუმირებულია განხილული თემები, შესაბამისი დასკვნები და რანჟირების ქულები. ცხრილში 2 წარმოდგენილია გზშ-ის დოკუმენტაციის სრული ანალიზი, სადაც თითოეული თემის/საკითხის განხილვა სრულდება სათანადო დასკვნით (გამოყოფილია მსხვილი შრიფტით). ცხრილი 2 (დანართებთან ერთად) შეიცავს განსახილველი გზშ-ის და დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულ ანალიზს.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ გზშ-ის დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიღებული ძირითადი დასკვნების ადგილზე გადამოწმების მიზნით, 2018 წლის 17-18 აგვისტოს განხორციელდა სავსე გასვლა ხადორი-1-ის და ხადორი-2 არსებული ჰესების და ასევე ხადორი-3 ჰესის პროექტის გზშ-ში განხილულ ადგილმდებარეობებზე. ასევე, 2018 წლის 17 აგვისტოს, საღამოს, სოფ. დუისში გაიმართა საჯარო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. სავსე დათვალიერების და საჯარო შეხვედრის ამსახველი მასალები, ილუსტრირებული ფოტოსურათებით და მნიშვნელოვანი ფაქტების დამადასტურებელი დასკვნებით, თან ერთვის ანალიზს (იხ. ცხრილი 2-ის დანართი 2).

ნახაზი 1. ჯამური შეფასება

I ზოგადი მოთხოვნები გზმ-ის მიმართ		
1	სამართლებრივი ნაწილი	0
2	სტრინინგი, სკოპინგი	na
3	გზმ-ის მინარსი: წარმოდგენილია ყველა საჭირო თავი?	-1
4	ალტერნატივების განხილვა	-1
5	გზმ წამოწეხულია საზოგადოების ინფორმირებით	-2
6	სანიტარული ხარჯი (სამართლებრივი მოთხოვნები)	-2
7	ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯი	-2
8	საჯარო განხილვა	-2
9	კომუნიკაცია საზოგადოებასთან და დოკუმენტირება	-1
10	დინტერესებული მხარეების სია და ანალოზი	-2
11	ინფორმაციის გამოქვეყნება	0
12	მონაცემები	-1
II გარემოს და სოციალური მართვის გეგმები		
1	გარემოსდაცვითი მართვის გეგმები / გარემოს და სოციალური მართვის გეგმები და ეგებების კავშირი ზემოქმედებებთან	-1
2	კონსერვაცია – ფლორა და ფაუნა	-1
3	დაცული ტერიტორიები	-1
4	მცენარეული საფარის აღდგენა	0
5	სოციალურ-კონიომიკური მდგომარეობის აღდგენა	-2
6	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო და / ან განსახლების სამოქმედო გეგმა	na
7	გარემოსდაცვითი მართვის გეგმები / გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მართვის გეგმების ორგანიზაცია	-1
8	გარემოსდაცვითი მართვის გეგმები – მონიტორინგი და შეფასება	-1
9	გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ეკონომიკური და ფინანსური შეფასება	-1
III გამჭოლი თემები		
1	პროექტის ზემოქმედების ზონა	-1
2	გზმ-ის მეთოდოლოგია	-1
3	ელექტროგადამცემი ხაზები	-2
4	გზები	-1
5	კუმულაციური ზემოქმედებები	-2
6	ტრანსსაზღვრო ზემოქმედებები	na
7	ეკოსისტემური სერვისები	-2
8	კავშირი სხვადასხვა ანგარიშებს და ეგებებს შორის	-1
9	ავარიული და კატასტროფული მოვლენები	-1
10	დასკვნები	-1
IV პროექტის შესახებ ტექნიკური ინფორმაცია / მონაცემები		
1	დაგეგმილი პროექტის სივრცული გეგმა	-1
2	ოპერირების გეგმები	-2
3	წყალსაცავი	na

4	კაშხლის ტიპი, სიმაღლე, წყალსაცავები	na
5	პროექტის თითოეული დაგეგმილი ობიექტის მიერ ათვისებული მიწის რესურსები	0
6	მიწის რესურსების მთლიანი ათვისება	-1
V ფიზიკური		
1	ტოპოგრაფია, ჰიდრომეტრია, მიწის გამოყენება	-2
2	გეოლოგია და გეოტექნიკური საფრთხეები	-1
3	კლიმატი – ნალექების მასივობები	0
4	ჰიდროლოგია – მდინარის დინების დონეები	0
5	ჰიდროლოგია – შენაკადების წყლოლი	-1
6	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-1
7	კლიმატის ცვლილება	-2
VI ნიადაგები		
1	მეთოდოლოგია / მეთოდები	0
2	სოფლის მეურნეობის და სატყეო კონტექსტი	-1
3	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-1
VII ხმაური და ჰაერის დაბინძურება		
1	მეთოდოლოგია / მეთოდები	-1
2	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-2
VIII კულტურული მემკვიდრეობა		
1	ლანდშაფტის არეალები	-2
2	სალოცავი ადგილები / ობიექტები	-2
3	ტრადიციები და რიტუალები	-2
4	კონსულტაციები თემებთან / დინტერესებულ მხარეებთან	-2
5	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-2
IX სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებები		
1	პროექტის არეალი და პროექტის ზემოქმედების ქვე მოხვედრილი მოსახლეობის / პირების განსაზღვრა	na
2	მინამუდრეობების რაოდენობები და შემოსავლები	na
3	მეთოდოლოგია და მეთოდური შეზღუდვები	-1
4	მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდოლოგია / ტიპი	
5	მიწის საკუთრება და მიწისაარგებლობა	-1
6	დემოგრაფიული პროფილები	-2
7	ეთნიკური შემადგენლობა, უმცირესობები, თვითმყოფად ხალხის სტატუსი (indigenous status)	-2
8	მინამუდრეობების შემოსავლები და პროექტის არეალის აღწერა	na
9	ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ და ძირითადი დასახლებული პუნქტები	-1
10	ადმინისტრაციული მოწყობა	-1
11	დინტერესებული მხარეების განსაზღვრა	-2
12	მიწის რესურსების ათვისება პროექტის მიერ	-2
13	ტყეების მოხმარება და დამოკიდებულება ტყის რესურსებზე	-2

14	სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა	-1
15	მეთევზეობა პროექტის ქვედა და ზედა წელში	0
16	მდინარის ნაპირები, მიმდებარე მიწისაარგებლობა	-1
17	ძივება	-1
18	გზები	-1
19	მოსახლეობის შემოსავლების წყაროები და სერვისები	-2
20	სოციალური სტრუქტურა, ქსელი, ინსტიტუტები	-2
21	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-2
X ფლორა		
1	კვლევის მეთოდოლოგია - დეტალური მონაცემები პროექტის ობიექტების და არელების მიხედვით	0
2	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	0
XI ფაუნა		
1	კვლევის მეთოდოლოგია	-1
2	მონაცემები	-1
3	დაცული ტერიტორიები	-1
4	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-1
XII ინფორმაცია წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე		
1	კვლევის მეთოდოლოგია (სეზონური, საკონტროლო ჭერები მდინარეში და სხვ.)	-1
2	ჰიდროლოგია – მდინარის და შენაკადების ხარჯები, სეზონური მასივობები	-1
3	საბაზისო მონაცემები და ზემოქმედების შეფასება	-1
4	სახეობები – თევზები	-2
5	მეთოდები	-1
6	სახეობები – წყლის (გარდა თევზებისა)	-2
7	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-2
8	ნატანის / სედიმენტების ტრანსპორტი, ეროზია, სედიმენტაცია	-1
9	წყლის ხარისხი და ნიმუშების აღების წერტილები	-1
10	მდინარით სარგებლობა	-1
11	წყალმომარაგების წყაროები (მდინარის გარდა, სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით)	-2
12	გარემოსდაცვითი ხარჯი (მეთოდოლოგია, გამჭოლი თემების გათვალისწინება)	-2
13	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-1
XIII სხვა აღსანიშნავი დამატებითი საკითხები		
1	მართლწერის შეცდომები	na
2	გამოორებები	na
XIV ჯამური შეფასება (სამუცალი)		
		-1.1

R	ჭეხების გზმ-ის ანალიზის საკითხის რეიტინგის/რანჟირების დონე/ქულა (შეფასების გამარტება/ლეგენდა):
+2	= საუკეთესო (ყოვლისმომცველი და საკმარისი)
+1	= კარგი (ხარვეზები და ნაკლოვანებები უმნიშვნელოა)
0	= საშუალო (მცირე ხარვეზები და ნაკლოვანებები)
-1	= სუსტი (მნიშვნელოვანი ხარვეზები და ნაკლოვანებები)
-2	= ძალიან სუსტი (ფუნდამენტური ხასიათის შეცდომები და სისუსტეები)
?	= შეფასების გარეშე (არასაკმარისი საფუძველი / მონაცემები შესაფასებლად, 0 ქულა)
na	= არ ეხება (კრიტერიუმში არ ეხება პროექტს ან გზმ-ს, 0 ქულა)

მნიშვნელოვანი დასკვნები

მნიშვნელოვანი დასკვნები

წინამდებარე ანალიზი შეეხება ხადორი-3 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) კრიტიკულ განხილვას. პროექტი ხადორი-3 ითვალისწინებს მცირე სიმძლავრის 5.4 მვტ ორტურბინიანი ჰესის მშენებლობას მდინარე ალაზანზე, ჰესის შენობის და ძალოვანი კვანძის, სატრანსფორმატორო ქვესადგურის და წყალჩაშვების გამყვანი არხის განთავსებით სოფელ ბირკიანის მიმდებარედ, ბირკიანის და დუისის სასმელი წყალმომარაგების უშუალო სიახლოვეს. წყალმიმღების მოწყობა განსაზღვრულია 4.6 კმ მანძილზე წყალადმა, ხადორი-2 ჰესის ქვედა ბიეფში და გათვლილია 9.0 მ³/წმ ხარჯის მიღებაზე, რაც დრამატულად შეამცირებს წყლის დინებას მდინარე ალაზანში, რომელიც აღნიშნული 4.6 კმ სიგძრის მონაკვეთზე თითქმის მითლიანად მოექცევა 2.4 მ და 2.2 მ დიამეტრის ფოლადის სადაწნეო მილსადენში. წყალმიმღების ქვედა ბიეფში დამატებით გათვალისწინებულია 11 ნაპირდამცავი დეზის მოწყობა.

ხადორი-3 რეალურად ნაწილია ალაზნის ზემო წელის ჰესების კასკადისა, სადაც უკვე ფუნქციონირებს ხადორი-1 (მდ.მდ. ალაზანსა და სამყურისწყალზე) და ხადორი-2 (მდ. ალაზანზე) ჰესები, რომელთა ერთობლივი (კუმულატიური) ზემოქმედების ფაქტორი არ არის სათანადოდ გათვალისწინებული ხადორი-3 ჰესის ზემოქმედებების შეფასებისას. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით შეეხება ე.წ. „ეკოლოგიური ხარჯის“ საკითხს. ხადორის-3-ის მშენებლობა არსებულ ჰესებთან ერთად ალაზნის დინების უდიდეს ნაწილს ჰესების სისტემაში მოაქცევს და პრაქტიკულად ბუნებრივი დინების გარეშე დატოვებს ალაზანს მდინარის აუზის ზედა წელში, აქედან გამომდინარე გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედებებით. „ეკოლოგიური ხარჯის“ განსაზღვრის გარეშე სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებების შეფასება ვერ ჩაითვლება ხარისხიანად შესრულებულად, რაც დასტურდება მრავალი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის გამოცდილებით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით.¹

სამწუხაროდ, ჰესების ნებისმიერი პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის (გზშ) უმნიშვნელოვანეს „ეკოლოგიური ხარჯის“ საკითხზე არც მეთოდოლოგიაა წარმოდგენილი განსახილველ გზშ-ში, არც სათანადო ანალიზია შესრულებული და არც რაოდენობრივად დადგენილი „ეკოლოგიური ხარჯი“ ხადორი-3 ჰესის პროექტისთვის და ისეა გაცემული „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა“.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის“ გაცემაზე პასუხისმგებელი უწყება (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) მკაფიოდ იყო ინფორმირებული მის მიერვე შექმნილი საექსპერტო კომისიის (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 06 ოქტომბრის ბრძანება №674) შემადგენლობაში დამტკიცებული წევრი ინჟინერ-ჰიდროლოგის 2017 წლის 09 ოქტომბერს ხელმოწერილი დასკვნით რომ „...მიუხედავად ადრე გაკეთებული შენიშვნებისა, კვლავ გაურკვეველი რჩება ეკოლოგიური ხარჯის ანგარიშის მეთოდიკა...“ და რომ არ არის „...ცალკე საკითხად წარმოდგენილი ეკოლოგიური ხარჯის ანგარიში...“.

¹ იხ. მაგალითად „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის“ (მსოფლიო ბანკი) საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო „გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) ხარჯი ჰიდროელექტროსადგურების პროექტებისთვის“ https://www.ifc.org/wps/wcm/connect/2c27d3d8-fd5d-4cff-810f-c6eaa9ead5f7/GPH_Eflows+for+Hydropower+Projects_Updated_compressed.pdf?MOD=AJPERES

საკუთარი დასკვნით სამინისტროს საექსპერტო კომისიის წევრი სრულად ადასტურებს ჩვენს მოსაზრებასაც, რომ „ეკოლოგიური ხარჯი“ უმნიშვნელოვანესი საკითხია ჰესის გზშ-თვის, იგი საჭიროებს მეთოდოლოგიის (მეთოდიკის) წარმოდგენას და რაოდენობრივ დადგენას გზშ-ში, მაგრამ ეს მოთხოვნა არ არის შესრულებული გზშ-ის ავტორების მიერ გზშ-ის საბოლოო დოკუმენტში.

სამინისტრო ადასტურებს „ეკოლოგიური ხარჯის“ საკითხის მნიშვნელობას გაცემული „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით“, სადაც დასკვნის მე-4 პირობა ითხოვს საქმიანობის განმახორციელებლისგან ჰესის ექსპლუატაცია განახორციელოს სამინისტროს მიერ საქმიანობის დაწყების შემდეგ დადგენილი „ეკოლოგიური ხარჯის“ შესაბამისად. თუმცადა, „ეკოლოგიური ხარჯი“ გზშ-შივე უნდა იყოს დადგენილი (როგორც ამას მართებულად ითხოვს სამინისტროს საექსპერტო კომისიის წევრი ექსპერტი) და არა საქმიანობის განხორციელების პროცესში.

სამინისტრომ სათანადო შენიშვნითაც მიმართა „ეკოლოგიური ხარჯის“ თაობაზე საქმიანობის განმახორციელებელს საბოლოო გზშ-ში გასათვალისწინებლად, მაგრამ სამინისტროსა და საზოგადოების 36 შენიშვნასა და შეკითხვაზე საქმიანობის განმახორციელებელს 19 შემთხვევაში, მათ შორის „ეკოლოგიური ხარჯის“ თაობაზე, არასწორი პასუხი აქვს გაცემული, თუმცადა ამტკიცებს საპირისპიროს და ამით შეცდომაში შეჰყავს „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის“ გაცემაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება, რაც კანონდარღვევაა საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან და გაცემული „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის“ გაუქმების საფუძველი უნდა გახდეს (საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან ფაქტების დამახინჯებით რეაგირება პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოს მართებულ მოთხოვნაზე).

სამწუხაროდ, საექსპერტო კომისიის წევრი ექსპერტის მართებული მოთხოვნა და დასკვნა არ იქნა გათვალისწინებული სამინისტროს მიერ 2017 წლის 18 ოქტომბერს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის №706 ბრძანებით დამტკიცებულ №75 „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში“, რითაც ადგილი აქვს კანონდარღვევას როგორც სამინისტროს მხრიდან (საექსპერტო კომისიის წევრი ექსპერტის მნიშვნელოვანი მოსაზრების არგათვალისწინება და დადებითი დასკვნის გაცემა მნიშვნელოვანი ხარვეზების მქონე გზშ-ზე), ასევე საექსპერტო კომისიის წევრი ექსპერტის მხრიდან (საკუთარივე მართებული დასკვნის ფაქტიური უარყოფა „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის“ გაცემის ეტაპზე).

კანონდარღვევა სამინისტროს მხრიდან ასევე „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის“ გაცემა შენიშვნების სრული გათვალისწინების გარეშე.

აღნიშნული გარემოება, დარღვევები „ეკოლოგიურ ხარჯთან“ მიმართებაში, ასევე წინამდებარე ანალიზში წარმოდგენილი სხვა მრავალი ხარვეზი, ჩვენი შეხედულებით, ქმნის ხადორი-3 ჰესის გზშ-ზე გაცემული „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის“ სამართლებრივად გაუქმების საფუძველს.

„ეკოლოგიური ხარჯის“ შეუფასებლობა და ამ საკითხთან დაკავშირებით დამზებული შესაძლო კანონდარღვევები სავსებით საკმარისი იქნებოდა განსახილველი ჰესის პროექტის გზშ-ის ანგარიშის დაწუნებისა და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისთვის, თუმცადა, განსახილველი პროექტი და მისი გზშ-ის დოკუმენტი, როგორც აღინიშნა, მრავალი სხვა ხარვეზითაც ხასიათდება. ისინი ცალცალკე და ერთობლივად ასევე ქმნიან საკმარის დამატებით საფუძველს სათანადო სამართლებრივი გადაწყვეტილების მისაღებად. წარმოდგენილ ანალიზში რეზიუმირებული სახით და შემდეგ სრული დეტალობითაა მოყვანილი ყველა აღმოჩენილი ხარვეზი და და დარღვევა, მაგრამ შესავალ ნაწილში ძირითადი დასკვნების ჩამონათვალის სახით დამატებით მოვიხსენიებთ იმ საფრთხეებს, რომლებიც მნიშვნელოვან გარემოებებს წარმოადგენენ გზშ-ის უხარისხობის დასაბუთებისთვის:

- სოფლების ბირკიანისა და დუისისთვის ეგზისტენციალურ საკითხს წარმოადგენს სასმელი წყალმომარაგება, რომელსაც პირდაპირი საფრთხე ექმნება ალაზნის ზედა წელის ბუნებრივი სისტემის თითქმის მთლიანად ჰესების კასკადის მილსადენების და ტურბინების სისტემაში მოქცევით. ტურბინების და ტრანსფორმატორების ზეთების ავარიული დაღვრის შემთხვევაში ამ სოფლების წყალმომარაგების

სისტემა პრაქტიკულად გამოუსადეგარი გახდება ადამიანისთვის. აღნიშნული დასახლებული პუნქტებისათვის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი დოკუმენტში საერთოდ არ განიხილება!

- დოკუმენტში წარმოდგენილი „ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“ არ განიხილავს და ვერ პასუხობს ზემოაღნიშნულ გამოწვევას. ამასთან, დოკუმენტის ეს და სხვა მრავალი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა და კოპირებულია იგივე ავტორების სხვა გზშ-ებიდან.

- დოკუმენტში ცალსახადაა აღიარებული, რომ ვერ მოხერხდა იქთიოფაუნის კვლევა და საკონტროლო ჭერებმა არ მოიტანა სათანადო შედეგი. შესაბამისად, ვერ დადგინდა წყლის ბინადართა საბაზისო მდგომარეობა პროექტამდე. საბაზისო მდგომარეობის დადგენის გარეშე კი ვერ შეფასდება ზემოქმედება მდ. ალაზანის წყლის ეკოსტემის ბინადრებზე. ამდენად, გზშ-მ ვერ შეასრულა ჰესის პროექტისთვის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრა და ზემოქმედებები იქთიოფაუნაზე შეუფასებელი დარჩა.

- პროექტის და დოკუმენტის ავტორებმა ვერ მოახერხეს თავიდან აცილებინათ ჰესის მშენებლობისადმი მკვეთრად საწინააღმდეგო განწყობის ჩამოყალიბება პანკისის ხეობის მოსახლეობაში, რაც მრავლად დასტურდება მასმედიის და ინტერნეტ წყაროებიდან. სახეზეა არასაკმარისი კომუნიკაცია და უკუკავშირი საზოგადოებასთან, რამაც დოკუმენტის დაბალ ხარისხთან ერთად, გამოიწვია ჰესის მშენებლობის საწინააღმდეგოდ გამართული საპროტესტო აქციები და სასამართლო სარჩელის აღძრვა პროექტის და სახელმწიფო გადაწყვეტილების მიმღები უწყებების წინააღმდეგ. ამდენად, გზშ-ის პროცესმა ვერ შეასრულა კონფლიქტების თავიდან აცილების და ადგილობრივ საზოგადოებასთან პროექტის თაობაზე შეთანხმების და მხარდაჭერის მიღწევის ფუნქცია. პირიქით, ამ ეკონომიკურად უმნიშვნელო მასშტაბის პროექტმა მკვეთრი კონფლიქტი გამოიწვია ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში, რომლებიც სათანადოდ მოხსენიებულიც კი არ არიან დოკუმენტში და დღეს სამწუხაროდ სასამართლოს გზით გახდა საჭირო ამ ენერგეტიკული თვალსაზრისით უმნიშვნელო პროექტის მიერ შექმნილი პრობლემების და კონფლიქტების გადაჭრა.

ანალიზის რეზიუმე

ცხრილი 1. ანალიზის რეზიუმე

#	თემა / საკითხი	R
	გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოტანილი დასკვნები საქართველოს კანონმდებლობის და/ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებისადმი, წინადადებები და შენიშვნები გზშ-ის მიმართ	
I	ზოგადი მოთხოვნები გზშ-ის მიმართ	
1	სამართლებრივი ნაწილი	0
	საკანონმდებლო ნაწილის აღწერა სქემატურია და არ არის პროექტისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები სპეციფიკურად გაანალიზებული. არ არის საუბარი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ და წყლის რესურსების სააუზო მართვის კანონპროექტებზე. რაც მთავარია, არ განიხილება „ეკოლოგიური ხარჯის“ სამართლებრივი საფუძვლები.	
2	სკრინინგი, სკოპინგი	na
	დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე სკოპინგის პროცედურა არ ჩატარებულა.	
3	გზშ-ის შინაარსი: წარმოდგენილია ყველა საჭირო თავი?	-1
	როგორც განხილულია ამ ანალიზის შესაბამის ნაწილებში, ჰესების გზშ-თვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი „ეკოლოგიური ხარჯის“ მეთოდოლოგია და რაოდენობრივი შედეგები არ არის მომზადებული და შესაბამისად არ განიხილება გზშ-ის დოკუმენტში.	
4	ალტერნატივების განხილვა	-1
	დოკუმენტში ალტერნატივები პრაქტიკულად არ განიხილება, რადგან არაქმედების ალტერნატივა არასწორადაა გამოყენებული, ხოლო რეალური შინაარსის მქონე ტექნიკური ალტერნატივები ფაქტობრივად არ იხილება. ასევე არ აქვს ადგილი „ეკოლოგიური ხარჯის“ მიმართ ჰესის ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციის ალტერნატივების ანალიზს.	
5	გზშ წამოწყებულია საზოგადოების ინფორმირებით	-2
	გზშ-ის ავტორებს არ აქვთ საგნობრივი პასუხი გაცემული უწყებების და საზოგადოების მრავალ შეკითხვაზე, რაც დოკუმენტის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს, სამინისტროს მსგავსი დოკუმენტი არ უნდა დაემტკიცებინა: მნიშვნელოვანი ხარვეზების მქონე დოკუმენტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემა მნიშვნელოვან კანონდარღვევას წარმოადგენს.	
6	სანიტარული ხარჯი (სამართლებრივი მოთხოვნები)	-2
	სამართლებრივი მოთხოვნები ე. წ. „სანიტარული ხარჯის“ („ეკოლოგიური ხარჯის“) მიმართ არ განიხილება.	
7	ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯი	-2
	„ეკოლოგიური ხარჯის“ ანალიზი დოკუმენტში შესრულებული უბრალოდ არ არის, რაც მეტყველებს ჰესების გზშ-ის დაბალ ხარისხზე, რამეთუ „ეკოლოგიური ხარჯი“ უპირველესი განსახილველი ამოცანაა ჰესების პროექტის გზშ-ის შემთხვევაში. მსგავსი მნიშვნელოვანი ხარვეზით გზშ-ის დოკუმენტის დამტკიცებით სამინისტრო ქმნის პრეცედენტს, რომლის დადასტურება სასამართლოს გზით და გავრცელება საქართველოს სხვა მდინარეებზე, ჰესების ინტენსიური მშენებლობის პირობებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, უაღრესად მძიმე	

	<p>შედგების მომტანი იქნება არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ მთლიანად მთელი საქართველოს მდინარეებისთვის და დაკავშირებული ეკოსისტემებისთვის, რასაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის. რაც მთავარია, ანალიზით დასაბუთებულია და დადასტურებული დოკუმენტურად, რომ „ეკოლოგიური ხარჯის“ საკითხთან მიმართებაში ადგილი აქვს კანონდარღვევას როგორც საქმიანობის განმახორციელებლის, ისე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და ასევე სამინისტროს მიერ შექმნილი საექსპერტო კომისიის წევრის მხრიდან.</p> <p>აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საერთაშორისო მხარდაჭერით შემუშავებული აქვს გზამკვლევი „ჰიდროელექტროსადგურის (2 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება“ და ასევე “მდინარეებსა და ნაკადებში გარემოსდაცვით ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, მაგრამ ეს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი არ არის ამოქმედებული.</p>	
8	საჯარო განხილვა	-2
	<p>არ იქნა უზრუნველყოფილი საჯარო განხილვაში რეალური დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, ოქმი არასაკმარისი გულმოდგინებით იქნა შედგენილი და არ გასაჯაროებულა, ხოლო საჯარო განხილვამდე, განხილვისას თუ განხილვის შემდეგ დასმულ მნიშვნელოვან შეკითხვებზე არასწორი პასუხების გაცემით და არასწორ პასუხებზე რეაგირების გარეშე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემით კანონდარღვევა იქნა დაშვებული როგორც საქმიანობის განმახორციელებლის, ისე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების მიერ.</p>	
9	კომუნიკაცია საზოგადოებასთან და დოკუმენტირება	-1
	<p>საზოგადოებასთან არასაკმარისი კომუნიკაციასა და უკუკავშირთან ერთად, არატექნიკურ და ტექნიკურ რეზიუმეებში არ არის არსებითი დეტალები განხილული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც, მაგალითად, „ეკოლოგიური ხარჯი“ წარმოადგენს. გაცემული არ არის სწორი პასუხი სახელმწიფო უწყების და საზოგადოების მხრიდან დასმული 36 შეკითხვიდან 19-ზე (იხ. სრული არგუმენტაცია დანართი 1).</p>	
10	დაინტერესებული მხარეების სია და ანალიზი	-2
	<p>გზშ-ით დაინტერესებული მხარეები საერთოდ არ არის ნახსენები, შესაბამისად არ არის გამოვლენილი და გაანალიზებული დოკუმენტში.</p>	
11	ინფორმაციის გამოქვეყნება	0
	<p>საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია და გზშ-ის დოკუმენტი გამოქვეყნდა, მაგრამ არასაკმარისი ძალისხმევით და შესაძლოა ხარვეზებითაც, რამეთუ ვერ მოხერხდა დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება საჯარო შეხვედრის შესახებ, ხოლო დოკუმენტი გზშ-ის პორტალზე ხარვეზების გამო სავარაუდოდ არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი.</p>	
12	მონაცემები	-1
	<p>დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი საკმარისი დეტალობით ჰესის გზშ-ის დოკუმენტისთვის აუცილებლად საჭირო დეტალობის ჰიდროლოგიური, კლიმატური და სხვა მონაცემები (მაგ. მიწის და ნიადაგის დაფარულობა, ჰიფსომეტრია, რაც ასევე არ არის წარმოდგენილი), შესაბამისად, ვერ შესრულებოდა და არც შესრულებულა ჰიდროლოგიური მოდელირება. არ განიხილება კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ანალიზისთვის საჭირო მონაცემები. არ ჩატარებულა ან არასაკმარისია ინსტრუმენტული კვლევები წყლის ხარისხის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის, ხმაურის საბაზისო მონაცემების დასადგენად. რაც მთავარია, ვერ განისაზღვრა იქთიოფაუნის საბაზისო პირობები პროექტამდე მდგომარეობისთვის. არ არის გასაჯაროებული გზშ-ის შედგენაში მონაწილე ექსპერტების სახელები და</p>	

	შემადგენლობა, რაც აუცილებელია მონაცემების ხარისხის და ჩატარებული ანალიზის სანდოობაში დასარწმუნებლად.	
II	გარემოს და სოციალური მართვის გეგმები	
1	გარემოსდაცვითი მართვის გეგმები / გარემოს და სოციალური მართვის გეგმები და გეგმების კავშირი ზემოქმედებებთან	-1
	შემარბილებელი ღონისძიებების ცხრილებთან დაკავშირებით ძირითადი დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ექსპლუატაციის ეტაპისთვის „ეკოლოგიური ხარჯის“ პარამეტრები არ არის დადგენილი, ზემოქმედება წყლის ხარჯის შემცირების გამო არ არის დაკავშირებული რაიმე შემარბილებელ ღონისძიებებთან, ხოლო განსაკუთრებით საგანგაშოა ამ ღონისძიებების არარსებობა იქთიოფაუნასთან მიმართებაში. აღნიშნული დოკუმენტის ყველაზე დიდი მინუსია და რეალურად ნიშნავს უხარისხოდ ჩატარებულ გზმ-ს, რამეთუ ყველასთვის ცნობილი ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების სახეობა ჰესების პროექტის შემთხვევაში გადაუჭრელი რჩება. აღნიშნულთან ერთად, მრავალი შეუსაბამობაა დაშვებული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმებში როგორც <i>მშენებლობის</i> (მაგ. შერბილების „საშუალო“ და არა „მაღალი“ ხარჯები გეოდინამიკური პროცესებისთვის, „წითელი ნუსხის“ სახეობების ამოსაღებად „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის“ სტატუსის უმართებულოდ მინიჭება, კუმულაციური ზემოქმედებების იგნორირება და სხვა), ისე <i>ექსპლუატაციის</i> ეტაპზე (მაგ. ჰესის ხმაური, შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობა იქთიოფაუნისთვის და წყლის ხარჯის შემცირებისთვის, დაუდგენელი „ეკოლოგიური ხარჯი“, ვიზუალური ზემოქმედება და სხვა).	
2	კონსერვაცია – ფლორა და ფაუნა	-1
	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ აქვს უფლება მიანიჭოს პროექტს „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ სტატუსი, ამდენად მას უნდა მოეთხოვა „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის, ვ) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებობის“ პუნქტის ამოღება გზმ-ის დოკუმენტიდან და აღნიშნულის არმოთხოვნა შეიცავს კანონდარღვევის ნიშნებს.	
3	დაცული ტერიტორიები	-1
	ზემოქმედებების განსაზღვრა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა პრაქტიკულად არ ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტის ფაქტორს, როგორცაა გზის ხმაურის ზემოქმედების იგნორირება, მილსადენის ბაწარას დაცულ ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობის ფაქტორი, ხმაურის ზემოქმედების ხანგრძლივობის გაურკვეველობა (კვირა თუ თვეები?), იქთიოფაუნაზე ზემოქმედებების უგულვებელყოფა.	
4	მცენარეული საფარის აღდგენა	0
	დაუდგენელია სამშენებლო საქმიანობის კონტურები, შესაბამისად უცნობია მცენარეულ საფარზე ზემოქმედების და აღდგენის ფართობები.	
5	სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა	-2
	განხილულია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებები, თუმცა შერბილების, შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის საკითხები საერთოდ არ არის შეტანილი შემარბილებელ ღონისძიებების და ასევე მონიტორინგის ცხრილებში.	
6	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო და / ან განსახლების სამოქმედო გეგმა	na

	პროექტს განსახლების სამოქმედო გეგმის ან ჩარჩო პოლიტიკის მომზადება არ ეხება და ეს არც განიხილება. თუმცა, მიუხედავად იმისა, ზემოქმედება მეზობელი მიწის მესაკუთრეებზე და მათი ქონების დაზიანება აღიარებულია როგორც ზემოქმედება, საკითხი არ არის შეტანილი შემარბილებელ ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმებში არც მშენებლობის არც ექსპლუატაციის ეტაპებზე.	
7	გარემოსდაცვითი მართვის გეგმების / გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მართვის გეგმების ორგანიზაცია	-1
	დოკუმენტი არ ავალეს და არ ავალდებულებს დეველოპერს და მის მშენებლებს იყოლიონ გარემოს დაცვის პერსონალი. არ არის შემუშავებული ელემენტარული ინსტიტუციური დიაგრამა გზმ-ის და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოთხოვნების შესრულებაზე.	
8	გარემოსდაცვითი მართვის გეგმები – მონიტორინგი და შეფასება	-1
	მონიტორინგის გეგმა შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მსგავსი ხარვეზებით ხასიათდება. მნიშვნელოვანი პარამეტრებისთვის არ არის განსაზღვრული ინსტრუმენტალური გაზომვები მშენებლობის და ექსპლუატაცია ეტაპებზე (მაგ. მშენებლობის და ტრანსპორტის ხმაური ნაკრძალთან მიმართებაში და ჰესის საექსპლუატაციო ხმაური მოსახლეობასთან მიმართებაში). როგორც ჩანს, არ დაექვემდებარება მონიტორინგს „ეკოლოგიური ხარჯი“ (სათანადო ცხრილში არ არის მოთხოვნილი ხარჯის გაზომვა არც ჰიდროლოგიის და არც წყლის ბიოლოგიური გარემოს კონტექსტში).	
9	გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ეკონომიკური და ფინანსური შეფასება	-1
	გზმ-ში არ არის რაოდენობრივად შესრულებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ფინანსურ-ეკონომიკური შეფასება, ხოლო რანჟირებით შეფასებები რამდენიმე მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებისათვის აშკარად არარელევანტურია (მაგ. გეოტექნიკური).	
III	გამჭოლი თემები	
1	პროექტის ზემოქმედების ზონა	-1
	დაკონკრეტებული არ არის პროექტის საქმიანობის, არც გარემოზე ზემოქმედების შეფასების, არც ბიოგეოგრაფიული არეალის საზღვრები.	
2	გზმ-ის მეთოდოლოგია	-1
	ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია მთელი რიგი ხარვეზით ხასიათდება, მაგრამ განსაკუთრებით პრობლემას წარმოადგენს პროექტის განხილვა როგორც ინდივიდუალური საქმიანობისა, როდესაც საქმე გვაქვს ჰესების კასკადთან მნიშვნელოვანი კუმულატიური ზემოქმედებებით, მათ შორის განსაკუთრებით “ეკოლოგიური ხარჯთან” და იქთიოფაუნაზე ზემოქმედებებთან მიმართებაში.	
3	ელექტროგადამცემი ხაზები	-2
	ელექტროგადამცემი ხაზების კუმულაციური ზემოქმედების საკითხი განხილული არ არის, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზმ-ის შემთხვევაში, განსაკუთრებით კასკადისთვის.	
4	გზები	-1
	მისასვლელი გზებით ინდუცირებული, კუმულაციური და სხვა ზემოქმედებები (მაგ. ხმაურის ზემოქმედება ნაკრძალზე) განხილული არ არის სათანადოდ, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზმ-ის შემთხვევაში, განსაკუთრებით კასკადისთვის.	
5	კუმულაციური ზემოქმედებები	-2

	კუმულაციური ზემოქმედებები (განსაკუთრებით ალაზნის ხარჯსა და წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე ზემოქმედება, მისადგომი გზების და ელექტროგადამცემი ხაზების ზემოქმედებები) სუსტადაა შეფასებული და შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისად, ან არ არის დასახული, ან არასაკმარისია, იმ პირობებში, როდესაც კუმულაციური ზემოქმედებები უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზშ-ის შემთხვევაში, განსაკუთრებით კასკადისთვის, რომლის აღწერაც კი არ არის სრულყოფილად და სრულად წარმოდგენილი.	
6	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები	na
	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების საკითხი დოკუმენტში განხილული არ არის.	
7	ეკოსისტემური სერვისები	-2
	დოკუმენტში აღნიშნული მიდგომები გამოყენებული არ არის.	
8	კავშირი სხვადასხვა ანგარიშებს და გეგმებს შორის	-1
	დოკუმენტის ზოგიერთი ნაწილები არალოგიკურადაა გადატანილი დანართებში, ნაცვლად იმისა რომ ძირითად ტექსტში განხილებოდეს, ხოლო მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა მშენებლობის ეტაპზეა გადატანილი (მაგ. გეოსაფრთხეებთან და ნაპირდაცვასთან დაკავშირებით). დოკუმენტი არ შეიცავს დანართების სახით, ან თუნდაც რეფერენსირებით, ისეთი მნიშვნელოვანი გეგმების განხილვას, რომელთა მომზადებაც აუცილებლად იგულისხმება ჰესების გზშ-ის და პროექტირების პროცესში. ასეთი გეგმები შეიძლება იყოს, მაგ. „ეკოლოგიური ხარჯის“ მონიტორინგის გეგმა; წყალდიდობის და ადრეული ავარიული გაფრთხილების სისტემა; ველური ბუნების მართვის გეგმა; ეროზიის და სედიმენტების კონტროლის გეგმა; აფეთქებების მართვის გეგმა; ინერტული მასალების და კლდოვანი ნარჩენების მართვის გეგმა; დაბინძურების კონტროლის გეგმა; საგანგებო სიტუაციების გეგმა (წყალდიდობების ჩათვლით); ავარიული გაჩერების და ევაკუაციის გეგმა; ჰესის ინფრასტრუქტურის საოპერაციო გეგმა; კაშხლის და სათავე ნაგებობების მონიტორინგის გეგმა; მილსადენის მონიტორინგის გეგმა; საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების მონიტორინგის და რეაგირების გეგმა; ნარჩენების მართვის გეგმა; ჰაერის ხარისხის და ხმაურის მართვის გეგმა; ლანდშაფტის აღდგენის, მცენარეული საფარის და ტყის გაშენების გეგმა; ნიადაგის საფარის აღდგენის გეგმა; ტრანსპორტის მოძრაობის მართვის გეგმა; ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების დაცვის გეგმა; განსახლების პოლიტიკა და განსახლების სამოქმედო გეგმა. დიდი უმრავლესობა ამ დოკუმენტებისა მოხსენიებულიც კი არ არის გზშ-ში.	
9	ავარიული და კატასტროფული მოვლენები	-1
	გარდა იმისა, რომ ხადორი-3-ის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ზოგადი სახისაა და მასში არაფერია ნათქვამი კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებით, დოკუმენტი ასევე არ შეიცავს დანართების სახით, ან თუნდაც რეფერენსირებით, ისეთი მნიშვნელოვანი გეგმების განხილვას, რომელთა მომზადებაც აუცილებლად იგულისხმება ჰესების გზშ-ის და პროექტირების პროცესში და რომლებიც შეეხება ავარიულ და კატასტროფულ მოვლენებზე მზადყოფნას და რეაგირებას (იხ. ჩამონათვალი წინა პუნქტში).	
10	დასკვნები	-1
	გზშ-ის დასკვნების ნაწილი ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტის რეალურ შინაარსთან, იგი ცდილობს დადებითად წარმოადგინოს უარყოფითი ფაქტორები, თუმცა დასკვნების რეალური შეფასება დამატებით გამოავლენს დოკუმენტის სუსტ მხარეებს.	
IV	პროექტის შესახებ ტექნიკური ინფორმაცია / მონაცემები	

1	დაგეგმილი პროექტის სივრცული გეგმა	-1
	ჰესის შესახებ ინფორმაცია არსებითად ხარვეზებით არის წარმოდგენილი, პროექტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გზშ-ის მიზნებისთვის არასაკმარისი დეტალობითაა აღწერილი, სრულიად არ არის აღწერილი და სივრცულად წარმოდგენილი მთლიანი კასკადის სქემა, რომლის ნაწილად სამყურისწყალი-2 არც განიხილება. გეოსაფრთხეების კონტროლის აღწერა არასაკმარისია.	
2	ოპერირების გეგმები	-2
	დოკუმენტი არ შეიცავს ჰესის ექსპლუატაციის აღწერას.	
3	წყალსაცავი	na
	ხადორი-3 ჰესისთვის არ შენდება კაშხალი და სათაო ნაგებობა, შესაბამისად არ ეწყობა წყალსაცავი.	
4	კაშხლის ტიპი, სიმაღლე, წყალსაგდები	na
	ხადორი-3 ჰესისთვის არ შენდება კაშხალი და სათაო ნაგებობა.	
5	პროექტის თითოეული დაგეგმილი ობიექტის მიერ ათვისებული მიწის რესურსები	0
	პროექტის ობიექტების მიერ ათვისებული მიწის რესურსები ხარვეზებითაა წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთი ობიექტის მდებარეობა რუკებზე არც არის დატანილი.	
6	მიწის რესურსების მთლიანი ათვისება	-1
	თავმოყრილი სახით მიწის ფართობების გამოყენების ბალანსი არსად არ არის მოცემული ანგარიშში.	
V	ფიზიკური	
1	ტოპოგრაფია, ჰიდრომეტრია, მიწის გამოყენება	-2
	როგორც უკვე აღინიშნა, ჰიდროლოგიური მოდელირებისთვის საჭირო მონაცემებთან დაკავშირებით დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ისეთი ელექტრონული მონაცემების ან ამ მონაცემებზე წვდომის დამადასტურებელი ფაქტები, როგორებიცაა ნიადაგების დაფარულობა, დიგიტალური სიმაღლეების მოდელი, მიწის გამოყენება და მიწის დაფარულობა. არც მაღალი რეზოლუციის აერო და კოსმოსური სურათები და მათი ანალიზია წარმოდგენილი. ამდენად, პროექტის გეოგრაფიული არეალი არასაკმარისადაა დახასიათებული.	
2	გეოლოგია და გეოტექნიკური საფრთხეები	-1
	გეოლოგიური და გეოტექნიკური, ასევე წყალდიდობების, წყალმოვარდნების და ღვარცოფების საფრთხეები არ არის დამაკმაყოფილებლად განხილული, საფრთხეების კონტროლის შემოთავაზებული გადაწყვეტილებები (ნაპირდაცვა, მეწყერები) დეტალური აღწერების და საპროექტო-საინჟინრო ალტერნატივების ანალიზის გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო მნიშვნელოვანი საინჟინრო და გარემოსდაცვითი კვლევები პროექტირების და გზშ-ის ეტაპის ნაცვლად სავარაუდოდ მშენებლობის პროცესშია გათვალისწინებული. მდინარისმიერი საფრთხეები უმეტესად არ განიხილება.	

3	კლიმატი – ნალექიანობის მახასიათებლები	0
	მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილია ზოგადი მეტეოროლოგიური მახასიათებლები, აშკარაა, რომ პროექტის გზშ-ის განკარგულებაში არ არის სათანადო სიხშირის დროითი რიგის მონაცემები ისეთი აუცილებელი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორებიცაა ტემპერატურა, ქარი, ტენიანობა, ევაპორანსპირაცია და ა. შ. (იგულისხმება დღიური პერიოდულობის მონაცემები).	
4	ჰიდროლოგია – მდინარის დინების დონეები	0
	დოკუმენტში არ არის მოყვანილი ალაზნის აუზის რუკა, თუნდაც ხადორის-3-ის ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობისათვის. არ არის ასევე გრაფიკულად ნაჩვენები ხადორი-1-ის, ხადორი-2 და ხადორი-3-ის სქემები, რომ შესაძლებელი იყოს მათი ოპერირების და ზემოქმედებების დახასიათება ერთობლივად და ცალ-ცალკე.	
5	ჰიდროლოგია – შენაკადების წვლილი	-1
	საპროექტო დერივაციული მილსადენის მიერ ალაზნის შენაკადების, ირიგაციული არხის და გზის გადაკვეთის და ხარჯების საკითხები მხოლოდ სამინისტროს შენიშვნების შემდეგ იქნა დადასტურებული ანგარიშში და მხოლოდ უხეში შეფასებით იქნა დადგენილი, რომ “შენაკადების საშუალო ხარჯი არ იქმენა 1.5-2.0 მ ³ /წმ-ზე ნაკლები“, თუმცა მრავალჯერაა აღნიშნული შენაკადების დადებითი როლი საპროექტო მონაკვეთზე ალაზნის შემცირებული ხარჯის ნაწილობრივ შევსებაში.	
6	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან	-1
	დოკუმენტის სუსტ მხარეს წარმოდგენს გეოლოგიური და გეოტექნიკური საფრთხეების საპროექტო გადაწყვეტილებების არასაკმარისი აღწერა, ზემოქმედებების შეფასების და შემარბილებელი ღონისძიებების არასათანადო განსაზღვრა.	
7	კლიმატის ცვლილება	-2
	როგორც უკვე აღინიშნა გზშ-თვის საჭირო მონაცემების ანალიზისას, დოკუმენტში საერთოდ არ არის საუბარი კლიმატის ცვლილებაზე, მისი ზემოქმედებების ანალიზი პროექტის მნიშვნელოვან პარამეტრებზე და მის სიცოცხლისუნარიანობაზე კი, შესაბამისად, ასევე არ არის საერთოდ განხილული. არ არის განხილული მონაცემებიც მყინვარების, მათგან მომდინარე საფრთხეების შესახებ. კლიმატის ცვლილების მახასიათებელი მონაცემების განხილვის გარეშე ჰესების პროექტის არცერთი გზშ არ შეიძლება ჩაითვალოს რამდენადმე სრულყოფილად.	
VI	ნიადაგები	
1	მეთოდოლოგია / მეთოდები	0
	არ არის ნიადაგების ანალიზით დასაბუთებული, თუ ნაყოფიერი ფენა რატომ იხსნება მხოლოდ 10 სმ და არა საუკეთესო პრაქტიკით განსაზღვრული 30 სმ სისქით. არ არის მოცემული მოხსნას და რეკულტივაციას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რუკა. არ არის შედგენილი რეკულტივაციის გეგმა.	
2	სოფლის მეურნეობის და სატყეო კონტექსტი	-1
	მთლიანობაში სოფლის და სატყეო მეურნეობის მონაცემები ძალზე ზოგადი მასალებითაა წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის დონეზე. მოსახლეობის სასოფლო ნაკვეთების ათვისების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი არ არის, ხოლო ტყის ჭრის მოცულობები მხოლოდ რაოდენობრივი სახითაა წარმოდგენილი, ინვენტარიზაციის დეტალების წარმოდგენის და სათანადო რუკის მომზადების გარეშე.	

3	ზემოქმედების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-1
	წიადაგების დასკვნასთან (პუნქტი VI-1) დამატებით აღსანიშნავია, რომ არ განიხილება სათანადოდ ფუჭი ქანების და სედიმენტების მართვის საკითხები.	
VII	ხმაური და ჰაერის დაბინძურება	
1	მეთოდოლოგია / მეთოდები	-1
	ტრანსპორტის და მილსადენის მშენებლობის ხმაურის ზემოქმედება დაცული ტერიტორიების ველოურ გარემოზე და ჰესის აგრეგატების ხმაურის შესაძლო მუდმივმოქმედი ზემოქმედება მოსახლეობაზე ექსპლუატაციის პროცესში არ არის გათვალისწინებული ხმაურის ზემოქმედების გაანგარიშებისას. სამწუხაროდ არ შესრულდა ხმაურის მოდელირება.	
2	ზემოქმედების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-2
	ტრანსპორტის და მილსადენის მშენებლობის ხმაურის ზემოქმედება დაცული ტერიტორიების ველოურ გარემოზე და ჰესის აგრეგატების ხმაურის შესაძლო მუდმივმოქმედი ზემოქმედება მოსახლეობაზე ექსპლუატაციის პროცესში არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად არ არის შეფასებული ზემოქმედებები და დასახული შემარბილებელი ზომები. ამასთან, მანძილები კრიტიკულ რეცეპტორებამდე (ნაკრძალი, მოსახლეობა) და სხვა ფაქტორები არ არის სრულფასოვნად შეფასებული, ხოლო შემარბილებელი ფაქტორები (მაგ. ხე-მცენარეულობა, როგორც ბარიერი) გაზვიადებულია და წარმოდგენილი.	
VIII	კულტურული მემკვიდრეობა	
1	ლანდშაფტის არეალები	-2
	ხადორი-2-ის მსგავსად მოსალოდნელია, რომ არ მოხდება სამშენებლო ბანაკის დემონტაჟი და რეკულტივაცია. ამასთან, კასკადის წინა საფეხურების (ხადორი-1 და ხადორი-2) შემდეგ დატოვებული ბანაკის კუმულაციური ზემოქმედება ლანდშაფტზე შემარბილებელ ფაქტორად არის წარმოდგენილი. მდინარის დებიტის ცვლილების ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება უმართებულოდაა შეფასებული როგორც დაბალი, შესაბამისად, არ არის დასახული შემარბილებელი ღონისძიებები, მაგ. "ეკოლოგიური ხარჯის" გზით.	
2	სალოცავი ადგილები / ობიექტები	-2
	შეფასებაში კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის მონაწილეობის გარეშე ნდობას არ იმსახურებს შეფასება, რომ "პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურული ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დადასტურებულია".	
3	ტრადიციები და რიტუალები	-2
	დოკუმენტში არ არის დახასიათებული საქართველოს ადგილობრივი ქისტი მოსახლეობის ტრადიციები და რიტუალები.	
4	კონსულტაციები თემებთან / დაინტერესებულ მხარეებთან	-2
	დოკუმენტი არ შეიცავს კონსულტაციებს თემებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე.	
5	ზემოქმედების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-2

	ხადორი-2-ის გამოცდილებით მოსალოდნელია, რომ არ მოხდება სამშენებლო ბანაკის დემონტაჟი და რეკულტივაცია შესაბამისი ნარჩენი ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედებით. “ეკოლოგიური ხარჯის” დადგენის პრობლემატურობის კონტექსტში მდინარის დებიტის ცვლილების ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შერბილება დიდი ალბათობით ვერ მოხერხდება. სავარაუდოდ დაკნინებულია საპროექტო ტერიტორიის ღირებულება კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით. ასევე იგნორირებულია, შეუფასებელი რჩება და შესაბამისად არ შემუშავებულა ქისტების ადგილობრივი თემის ღირებულებებზე ზემოქმედების შერბილების გეგმა.	
IX	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებები	
1	პროექტის არეალი და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მოსახლეობის / პირების განსაზღვრა	na
	აღნიშნული საკითხები დოკუმენტში განხილული არ არის. არეალი შემოსაზღვრული არ არის. არ ჩატარებულა სათანადო აღწერა.	
2	შინამეურნეობების რაოდენობები და შემოსავლები	na
	აღნიშნული კვლევები ჩატარებული არ არის, რადგან პროექტი ფორმალურად არ ითვალისწინებს განსახლების საკითხების გადაჭრას.	
3	მეთოდოლოგია და მეთოდური შეზღუდვები	-1
	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებების მეთოდოლოგიური საკითხები დეტალურად განხილული არ არის. დადგენილია პროექტის ზემოქმედების გარკვეული სახეები, თუმცაღა შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმებში ისინი ასახული არ არის.	
4	მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდოლოგია / ტიპი	na
	[ა) შინამეურნეობების ინტერვიუები, ბ) დაინტერესებული მხარეები, გ) შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან, დ) ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან, ე) ბაზრები ვ) კითხვარები, ზ) შეზღუდვები / შემზღუდველი ფაქტორები]	
	პროექტი არ ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, ამდენად მსგავსი სოციალური კვლევები არ განხორციელებულა.	
5	მიწის საკუთრება და მიწათსარგებლობა	-1
	მიწის გამოყენების და დაფარულობის რუკები, ისევე როგორც ინფორმაცია მიწის საკუთრების შესახებ დოკუმენტში მოცემული არ არის.	
6	დემოგრაფიული პროფილები	-2
	დოკუმენტში დემოგრაფიული კვლევების მონაცემები მოყვანილი არ არის.	
7	ეთნიკური შემადგენლობა, უმცირესობები, თვითმყოფადი ხალხის სტატუსი (indigenous status)	-2
	მალა უკვე აღინიშნა და აქაც გავიმეორებთ, რომ ამ თემებზე საუბარი დოკუმენტში არ არის. ავტორებმა ვერ „შენიშნეს“, რომ პროექტი ქისტი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების არეალში ხორციელდება, რომლებიც საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების უნიკალური წარმომადგენლები არიან, უაღრესად გამართული ქართული მეტყველებით და თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორიით. სიტყვა „ქისტი“ საერთოდ მოხსენიებული არ არის დოკუმენტში არც ადგილობრივი ტრადიციების და რიტუალების, არც ეთნიკური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობის ან თუნდაც თვითმყოფადი (indigenous) მოსახლეობის კონტექსტში.	

8	შინამეურნეობების შემოსავლები და პროექტის არეალის აღწერა	na
	პროექტი არ ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, ამდენად შინამეურნეობების კვლევები არ განხორციელებულა.	
9	ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ და ძირითადი დასახლებული პუნქტები	-1
	აღნიშნული საკითხები განხილულია უაღრესად განზოგადოებულად, მუნიციპალიტეტის არადეტალურ დონეზე.	
10	ადმინისტრაციული მოწყობა	-1
	აღნიშნული საკითხები ასევე განხილულია უაღრესად განზოგადოებულად, მუნიციპალიტეტის არადეტალურ დონეზე.	
11	დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა	-2
	დაინტერესებული მხარეები (სტეიკჰოლდერები) არც სოციალურ-ეკონომიკური კუთხით არის განხილული დოკუმენტში.	
12	მიწის რესურსების ათვისება პროექტის მიერ	-2
	სოციალურ-ეკონომიკური და არც გარემოსდაცვითი კუთხით ეს საკითხები არ არის განხილული დოკუმენტში.	
13	ტყეების მოხმარება და დამოკიდებულება ტყის რესურსებზე	-2
	სოციალურ-ეკონომიკური კუთხით ეს საკითხები არ არის განხილული დოკუმენტში.	
14	სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა	-1
	სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის საკითხები ზოგადაა განხილული დოკუმენტში, ისიც მხოლოდ მუნიციპალიტეტის დონეზე.	
15	მეთევზეობა პროექტის ქვედა და ზედა წელში	0
	ცხრილში 5.2.9.3.2.1. „ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები“ წარმოდგენილია ადგილობრივი მეთევზეობის გამოკითხვის შედეგები. იმ პირობებში, როდესაც იქთიოფაუნისთვის საბაზისო მონაცემების შეკრება ვერ მოხერხდა საკონტროლო ჭერების გზით (იხ. საკითხის აღწერა ანალიზის სხვა ნაწილში), ალაზნის საპროექტო მონაკვეთზე თევზის სახეობები გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა.	
16	მდინარის ნაპირები, მიმდებარე მიწათსარგებლობა	-1
	განხილულია ზედაპირულად, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მოსახლეობის და მათი საქმიანობების დეტალური აღწერის გარეშე.	
17	ძოვება	-1
	განხილულია ზედაპირულად, დეტალური აღწერის გარეშე. ზოგ შემთხვევაში გარემოზე პროექტის ზემოქმედების შეფასების ნაცვლად განხილულია უარყოფით კონტექსტში მოსახლეობის საქმიანობების (მაგ. ძოვება და ნიადაგების ეროზია) ზემოქმედება გარემოზე.	

18	გზები	-1
	ადგილობრივი გზებისთვის განსაზღვრულია „გზის ყველა დაზიანებული უბნის მაქსიმალური აღდგენა“, თუმცა ჩვეულებრივ საუკეთესო პრაქტიკით აუცილებელია აღდგენა თავდაპირველ ან უკეთეს მდგომარეობამდე. ამასთან, გზების აღდგენა დაბალ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, როგორც ეს ამ ღონისძიებებისთვის არის მითითებული შემარბილებელი ღონისძიებების შეფასების ცხრილში.	
19	მოსახლეობის შემოსავლების წყაროები და სერვისები	-2
	განსაზღვრულია უაღრესად ზოგადად და სქემატურად.	
20	სოციალური სტრუქტურა. ქსელი, ინსტიტუციები	-2
	აღნიშნული საკითხი არ არის განხილული, მითუმეტეს რომ საქმე გვაქვს პანკისის ხეობის სპეციფიკურ თემებთან.	
21	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-2
	რაოდენობრივი მაჩვენებლების მოყვანის გარეშე ზედმეტი ოპტიმიზმით არის შეფასებული პროექტის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი. გადაჭარბებულადაა შეფასებული ჰესის წვლილი ქვეყნის ენერგოსისტემაში, ზოგიერთ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების ხარჯზე (ზე-ტყის და ინერტული მასალის ადგილობრივი მოპოვების წახალისება). უარია ნათქვამი სოციალური კომპენსაციის პასუხისმგებლობაზე (ადგილობრივების ელექტრომობილარების ნაწილობრივი სუბსიდირება), არ არის გამოყენებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შესაძლებლობები (საირიგაციო წყალაღება). დასაქმების ზრდის შეპირება არ არის ილუსტრირებული კასკადის წინა სქემების დადებითი ან უარყოფითი გამოცდილებით. არ არის რეალური შემარბილებელი ღონისძიებები დასახული.	
X	ფლორა	
1	კვლევის მეთოდოლოგია - დეტალური მონაცემები პროექტის ობიექტების და არეალების მიხედვით	0
	ფლორის თანამედროვე შეფასების და საკომპენსაციო მეთოდოლოგიების შემოთავაზების და დეტალური ფლორისტული კვლევის მიუხედავად, ვერ იქნა დადგენილი მნიშვნელოვანი სახეობები, ყურადღება არ არის გამახვილებული დაცულ ტერიტორიებზე შესაძლო ზემოქმედებებზე, არ არის ეკოსაკომპენსაციო ღონისძიებების შემოთავაზების საჭიროება და შესაძლებლობა გამოყენებული.	
2	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	0
	პუნქტში 3.2.2 ნათქვამია, რომ „გადაკვეთების შემცირების მიზნით, პროექტი აღნიშნულ მონაკვეთზე ითვალისწინებს არხისათვის ახალი თხრილის მოწყობას ისე, რომ გადაკვეთა მოხდეს მხოლოდ 1 წერტილში“. შედეგად არხის თხრილი მიუახლოვდება ნაპირს და სავარაუდოდ ზემოქმედებას იქონიებს მიმდებარე ჭალის ტყეებსა და ჰაბიტატებზე. აღნიშნული ზემოქმედება არც დაფიქსირებულია და არც შეფასებული, ამდენად არც შერბილებული.	
XI	ფაუნა	
1	კვლევის მეთოდოლოგია	-1
	საველე კვლევებით ობიექტის მიმდებარე დაცული ტერიტორიების ველური ბუნება არ შეფასებულა.	

2	მონაცემები	-1
	საბაზისო კვლევების დასკვნები მნიშვნელოვანი სახეობების მიმართ გამოტანილ იქნა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით.	
3	დაცული ტერიტორიები	-1
	დაცული ტერიტორიები სავსე კვლევების მიღმა დარჩა. მის ველურ სამყაროზე ზემოქმედება ახლოს მიმდებარე გზაზე მძიმე ტექნიკის ხანგრძლივი გადაადგილებით იგნორირებულია, თანაც მიჩნეულია, რომ ველური ბუნება “შეჩვეულია” საგზაო ხმაურს, იმ პირობებში, როდესაც ბაწარას ნაკრძალი უშუალოდ ემიჯნება გზას, ხოლო მილსადენიდან ნაკრძალის საზღვრამდე მანძილი 100 მეტრია. შემცირებულადაა ნაჩვენები ჰესის მილსადენის მშენებლობის ხანგრძლიობა ნაკრძალის მახლობლად.	
4	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-1
	არ არის შემუშავებული რამდენადმე ფასეული შემარბილებელი ღონისძიებები ფაუნაზე ზემოქმედებების შესამცირებლად სამშენებლო არეალებში, მითუმეტეს დაცულ ტერიტორიებზე, რომელზეც ზემოქმედება არ არის შეფასებული, შესაბამისად არც შერბილებულია.	
XII	ინფორმაცია წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე	
1	კვლევის მეთოდოლოგია (სეზონური, საკონტროლო ჭერები მდინარეში და სხვ.)	-1
	კვლევის ძირითად მეთოდებად გამოყენებული იყო ადგილობრივ მეთევზეთა გამოკითხვები და საკონტროლო ჭერები, თუმცა ეს უკანასკნელი წარუმატებელი აღმოჩნდა გაურკვეველი პროექტის ხმაურის ზემოქმედების შედეგად. შესაბამისად, იქთიოფაუნისთვის საბაზისო მონაცემები ვერ იქნა შეგროვებული.	
2	ჰიდროლოგია – მდინარის და შენაკადების ხარჯები, სეზონური მახასიათებლები	-1
	ალაზნის ხარჯების შესახებ მონაცემები მოძველებულია, ხოლო შენაკადების ხარჯები საექსპერტო შეფასებით იქნა მხოლოდ დადგენილი.	
3	საბაზისო მონაცემები და ზემოქმედების შეფასება	-1
	როგორც აღინიშნა მაღლა, საკონტროლო ჭერებით იქთიოფაუნისთვის საბაზისო მონაცემები ვერ იქნა შეგროვებული.	
4	სახეობები – თევზები	-2
	თევზის შესაძლო სახეობები დოკუმენტში აღწერილია, თუმცა იქთიოლოგიისთვის საბაზისო მონაცემების დადგენის შეუძლებლობის პირობებში (საკონტროლო ჭერები გაურკვეველი საპროექტო ხმაურის გამო წარუმატებელი აღმოჩნდა) მსგავსი აღწერილობა პრაქტიკული თვალსაზრისით ნაკლებად ღირებულია. სამწუხაროდ იქთიოფაუნის საბაზისო (პროექტამდე) მდგომარეობა დოკუმენტში ვერ დადგინდა.	
5	მეთოდები	-1
	გზშ-ის ციტირებაზე დაყრდნობით ვასკვნიტ, რომ „თევზჭერის შედეგად ვერ მოხერხდა იქთიოლოგიური მასალის მოპოვება“ რადგან “მდინარის ეს მონაკვეთი უკვე დატოვებს იქ მოზინადრე თევზის სახეობებმა, ამის მიზეზი გახდა მდინარის კალაპოტთან მიმდინარე სამუშაოების ჩატარების დროს გამოწვეული ხმაური”. განმეორებით საკონტროლო ჭერებს ადგილი არ ჰქონია, ამდენად ჰესების პროექტის გზშ-თვის უმნიშვნელოვანესი საბაზისო მონაცემების შეგროვება იქთიოფაუნის მდგომარეობის დასადგენად ვერ შესრულდა.	
6	სახეობები – წყლის (გარდა თევზებისა)	-2

	დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის წყლის სხვა ბინადრების (იქთიოფაუნის გარდა) კვლევის შედეგები. კვლევა მხოლოდ საკვები ზაზის ვიზუალური შეფასებით შემოიფარგლა.	
7	ზემოქმედების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-2
	არ არის სათანადოდ შეფასებული ჰესების პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქთიოფაუნაზე და ასევე არ არის შემუშავებული რამდენადმე ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები, განსაკუთრებით ექსპლუატაციის ეტაპისთვის, რომლისთვისაც არ არის დადგენილი "ეკოლოგიური ხარჯი". ამასთან, სავარაუდოდ ადგილი აქვს კანონმდებლობის დარღვევას, როგორც საქმიანობის განმახორციელების, ისე კომპეტენტური სახელმწიფო უწყების და მის მიერ შექმნილი საექსპერტო კომისიის ექსპერტ-იქთიოლოგის მხრიდან.	
8	ნატანის / სედიმენტების ტრანსპორტი, ეროზია, სედიმენტაცია	-1
	სამინისტროს შეკითხვების მიუხედავად, არც თავდაპირველ და არც საბოლოო ანგარიშში აღნიშნული საკითხები განხილული ან არ არის, ან განხილულია არასაკმარისად და არადაამაკმაყოფილებლად.	
9	წყლის ხარისხი და ნიმუშების აღების წერტილები	-1
	წყლის ხარისხი მხოლოდ 1 წერტილში იქნა გაზომილი მარტივი ფიზიკური პარამეტრებით, რაც სრულიად არასაკმარისია საბაზისო მდგომარეობის დასადგენად.	
10	მდინარით სარგებლობა	-1
	წყალსარგებლობის შესახებ მონაცემები უაღრესად მწირია და მხოლოდ საირიგაციო წყალაღების ზოგადი აღწერით შემოიფარგლება.	
11	წყალმომარაგების წყაროები (მდინარის გარდა, სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით)	-2
	აღნიშნულზე, სამინისტროს შენიშვნის მიუხედავად, დოკუმენტში საუბარი არ არის. (იხ. ამ საკითხზე ჩვენი სავლე ვიზიტის შედეგები, სადაც ნაჩვენებია, რომ დუისის და ბირკიანის წყალმომარაგების ჭები ალაზნის კალაპოტში უშუალოდ ხადორი-3 ჰესის დაგეგმილი წყალსაშვების ქვედა ბიეფში მოხვდება და ჰესის მშენებლობის შემდეგ მოსახლეობას სასმელად კასკადის ყველა ჰესში გავლილი წყლით სარგებლობა მოუწევს და არა ბუნებრივი კალაპოტიდან. ამასთან, რომელიმე ჰესზე ავარიის შემთხვევაში წყალმომარაგების ამ წყაროებზე დრამატულ ზემოქმედებას იქონიებს ტურბინების საპოხი და/ან ქვესადგურების სატრანსფორმატორო ზეთებით ავარიული დაბინძურება.)	
12	გარემოსდაცვითი ხარჯი (მეთოდოლოგია, გამჭოლი თემების გათვალისწინება)	-2
	"ეკოლოგიური ხარჯის" მეთოდოლოგია გზმ-ში შემოთავაზებული არაა, რაც ჰესის გზმ-ის ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ სისუსტეს წარმოადგენს და სხვა მრავალრიცხოვან პრობლემებთან ერთად, რაც ამ ანალიზშია წარმოდგენილი, გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ დოკუმენტი არ არის მომზადებული მისაღები ხარისხით.	
13	ზემოქმედების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-1
	"ეკოლოგიური ხარჯის" არც მეთოდოლოგიაა შემოთავაზებული გზმ-ში, არც განსაზღვრულია რეალურად ალაზნის 4.5 კმ სიგრძის სადერივაციო მონაკვეთისთვის. აღნიშნული ორი გარემოება ხადორი-3 ჰესის გზმ-ის ყველაზე მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენს და როგორც უკვე აღინიშნა მაღლა, დიდი ალბათობით ადგილი აქვს კანონმდებლობის დარღვევას როგორც საქმიანობის განმახორციელების, ისე კომპეტენტური სახელმწიფო უწყების და მის მიერ შექმნილი საექსპერტო კომისიის ექსპერტ-ჰიდროლოგის მხრიდან.	

XIII	სხვა აღსანიშნავი დამატებითი საკითხები	
1	მართლწერის შეცდომები	na
	გზშ-ის დოკუმენტში მრავლადაა მართლწერის უმარტივესი შეცდომები, იმ ადგილებშიც კი, სადაც ავტორები წესით სიფრთხილით უნდა მოკიდებოდნენ გადმოცემის სიზუსტეს (მაგ. ექსპლუატაციის ეტაპის ჰიდროლოგიურ რეჟიმსა და წყლის ხარჯზე მსჯელობისას და ამავე ეტაპზე იქთიოფაუნაზე ზემოქმედების დახასიათებისას). აღნიშნული ამყარებს დასკვნას, რომ დოკუმენტი უხარისხოდაა მომზადებული.	
2	გამეორებები	na
	მართლწერის ზოგიერთი შეცდომა დოკუმენტის ავტორების მრავალ ანგარიშში ფიქსირდება, რაც ნიშნავს იმას, რომ განხილვა ხშირად არ გახლავთ სპეციფიკური კონკრეტული ობიექტისთვის და პროექტისთვის. მრავალი მსგავსი მაგალითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივასაც“ მოჰყავს თავის შენიშვნებში, რომლის დასკვნებს ჩვენც სრულად ვეთანხმებით.	
XIV	ჯამური შეფასება (საშუალო)	
		-1.1

სრული ანალიზი

ცხრილი 2. სრული ანალიზი

#	თემა / საკითხი	R
გამოვლენილი ნაკლოვანებები და გამოტანილი დასკვნები საქართველოს კანონმდებლობის და/ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებისადმი, წინადადებები და შენიშვნები გზშ-ის მიმართ		
I	ზოგადი მოთხოვნები გზშ-ის მიმართ	
1	სამართლებრივი ნაწილი	0
<p>ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ნაწილის აღწერა სქემატურია და არ არის პროექტისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები სპეციფიკურად გაანალიზებული.</p> <p>საერთაშორისო ხელშეკრულებებში (იხ. თავი 2.3) „ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მოხსენიებული ასევე არ არის, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მისი მოთხოვნებით მზადდებოდა ახალი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, ჰარმონიზებული ევროკავშირის გზშ და სგშ დირექტივებთან. აღნიშნული კანონი ამჟამად ამოქმედებულია და ახალ სამართლებრივ სივრცეს აყალიბებს გზშ-ის მიმართ, რაც ახსნილი უნდა ყოფილიყო ხარისხიან დოკუმენტში: გზშ-ში საერთოდ არ არის საუბარი შემუშავების აქტიურ ფაზაში მყოფ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე“ (იხ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3691981).</p> <p>ასევე არ არის საუბარი ევროპის „წყლის ჩარჩო დირექტივაზე“ და საქართველოს მიმდინარე ვალდებულებებზე შემუშავდეს ახალი ეროვნული კანონმდებლობა წყლის სააუზო მართვის პრინციპებზე დაყრდნობით (მაგალითისთვის, კანონპროექტი სულ ახალხან, 2018 წლის 24 ივლისს, კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ).</p> <p>ამასთან, ერთერთ მოხსენიებულ კონვენციას (ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, ე. წ. EUR-OPA) პრაქტიკულად პროექტთან შემხებლობა არ აქვს.</p> <p>როგორც ეს ხაზგასმულია ქვემოთ, არსად არ არის დახასიათებული სამართლებრივი მოთხოვნები ე. წ. „ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯის“ თანამედროვე მიდგომების კუთხით, რაც ჰესების პროექტის გზშ-ის შემთხვევაში კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხია და აღნიშნული თემის არგანხილვა სამართლებრივი და მეთოდოლოგიური კუთხით დოკუმენტის სამართლებრივი ნაწილის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.</p> <p>საკანონმდებლო ნაწილის აღწერა სქემატურია და არ არის პროექტისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები სპეციფიკურად გაანალიზებული. არ არის საუბარი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ და წყლის რესურსების სააუზო მართვის კანონპროექტებზე. რაც მთავარია, არ განიხილება „ეკოლოგიური ხარჯის“ სამართლებრივი საფუძვლები.</p>		

2	სკრინინგი, სკოპინგი	na
<p>დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე სკოპინგის პროცედურა არ ჩატარებულა. ეს სავალდებულოა ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულო იქნებოდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსების შემთხვევაში და საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, თუმცა არ იყო სავალდებულო გზმ-ის ეკოლოგიურის ექსპერტიზის დასკვნის გაცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით.</p> <p>ქვეთავში 6.7.7 „ზურმუხტის ქსელის ბაწარას კანდიდატ უბანზე ზემოქმედების შეფასება“, ამ უკანასკნელის კონტექსტში საუბარია „სკრინინგი“-ს შესახებ, თუმცა არ არის განმარტებული, თუ რას წარმოადგენს ამ შემთხვევაში აღნიშნული პროცედურა. თუმცა, ცხადია, რომ იგი არ შეეხება გზმ-ის საყოველთაოდ გავრცელებულ ეტაპს, რომელიც ცნობილია როგორც გზმ-ის სკრინინგი და სათანადო პროცედურა, სკოპინგის პროცედურასთან ერთად, დღეს უკვე მკაფიოა ჩამოყალიბებული ახლადამოქმედებულ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“.</p>		
3	გზმ-ის შინაარსი: წარმოდგენილია ყველა საჭირო თავი?	-1
<p>გზმ უნდა იხილავდეს პროექტირების, მშენებლობის, ექსპლუატაციის და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ფაზებს.</p> <p>დოკუმენტი იხილავს მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებს, მაგრამ არ იხილავს პროექტირების ეტაპს.</p> <p>მე-10 თავი დასათაურებულია „ჰესის ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა“, მაგრამ ეს თავი მხოლოდ იმას ემსახურება, რომ დაფიქსირდეს მისი არსებობა. რეალურად ჰესის ექსპლუატაციიდან გამოყვანის გეგმა დასახული არაა, ამდენად ექსპლუატაციიდან გამოყვანის ფაზა დოკუმენტში რეალურად განხილული არ არის. აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელოვანი სისუსტეა, რადგან ინვესტორზე არ არის გაწერილი ობიექტის ექსპლუატაციიდან გამოყვანის პასუხისმგებლობა, იგი მხოლოდ ზოგადაა მოთხოვნილი და არანაირი ღონისძიებები გზმ-ში დეტალურად გაწერილი არაა.</p> <p>კერძოდ, ქვეთავები 10.1 „ჰესის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი“, 10.2 „ჰესის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია“, 10.3 „ობიექტის ლიკვიდაცია“ ახსენებენ სათანადო გეგმების მომზადების საჭიროებას, მაგრამ არცერთი ეს გეგმა მომზადებული გზმ-ის ეტაპზე რეალურად არ არის, თუნდაც მონახაზის დონეზე. ობიექტის ლიკვიდაციის გეგმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რეალურად არც ეს გეგმა არის დასახული და მისი მომზადება გადატანილია სამომავლოდ. ისმის კითხვა, ვინ დააფინანსებს ობიექტის ექსპლუატაციიდან გამოყვანას და ტერიტორიის აღდგენას, თუკი ეს ვალდებულება ინვესტორზე არ ვრცელდება?</p> <p>ორნითოლოგიური საბაზისო კვლევა და სათანადო ზემოქმედებების განსაზღვრა ხდება არა ძირითად დოკუმენტში, არამედ დანართში (იხ. დანართი 7 „საპროექტო დერეფანში 2017 წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული ორნითოლოგიური კვლევის შედეგები“), შესაბამისად, ფრინველებზე ზემოქმედებების ანალიზი და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები ვერ მოხვდა ძირითადი დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი მართვის და მონიტორინგის გეგმებში.</p> <p>როგორც განხილულია ამ ანალიზის შესაბამის ნაწილებში, ჰესების გზმ-თვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი „ეკოლოგიური ხარჯის“ მეთოდოლოგია და რაოდენობრივი შედეგები არ არის მომზადებული და შესაბამისად არ განიხილება გზმ-ის დოკუმენტში.</p>		

4	ალტერნატივების განხილვა	-1
<p>თავში 4 „პროექტის ალტერნატიული ვარიანტების აღწერა“ ალტერნატივების ჩამონათვალში მითითებულია, რომ განხილულია „არაქმედების ანუ პროექტზე უარის თქმის ალტერნატივა“. აღნიშნულ უზუსტობას კონსულტანტი მუდმივად უშვებს სხვა ნაშრომებშიც. „არაქმედების“ ალტერნატივის მიზანია არა „პროექტზე უარის თქმა“, არამედ ზემოქმედებების დონის განსაზღვრა პროექტის არგანხორციელების დონეებთან მიმართებაში.</p> <p>პროექტის მხარდასაჭერად თავიდანვე მოყვანილია ახალგაზრდობის შესაძლო დასაქმების არგუმენტი, თუმცა არგუმენტაცია არ არის გამყარებული ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის გამოცდილების საფუძველზე მოყვანილი ფაქტობრივი მაჩვენებლებით.</p> <p>ქვეთავში 4.2.1, სათავე ნაგებობის მდებარეობის ორი ალტერნატივის განხილვისას ნათქვამია, რომ „პირველი ალტერნატიული ვარიანტის შემთხვევაში სათაო კვანძის მოწყობა მოხდება ხადორის 2 ჰესის გამყვან არხზე და არანაირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის მდ. ალაზნის არსებულ ჰიდროლოგიურ რეჟიმსა და ბიოლოგიურ გარემოზე“. მსგავსი ფრაზა უხეში უზუსტობაა, რადგან ორივე ალტერნატივის შემთხვევაში ძლიერ, მათ შორის კუმულაციური ხასიათის ზემოქმედებას აქვს ადგილი ალაზნის 4.5 კმ სიგრძის მონაკვეთის ჰიდროლოგიურ რეჟიმზეც და წყლის ბინადრებსა და მდინარის ბიოლოგიურ გარემოზეც.</p> <p>იქვე მაღლა ფრაზა „ხადორი 2 სათავე კვანძსა და ხადორი 3-ის სათავე ნაგებობას შორის მდინარე ალაზნის შენაკადების ჩამონადენი, მოაკლდება მდინარის ბუნებრივ კალაპოტს“ ასევე უხეში უზუსტობაა, რადგან მდინარეში სათანადო ეკოლოგიური ხარჯის გატარების შემთხვევაში აღნიშნული მდგომარეობა არ შეიქმნება.</p> <p>შესაბამისად, სათავის კვანძის განთავსების მეორე ალტერნატივა ტექნიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია (რატომ უნდა აშენდეს კაშხალი, თუკი წყლის აღება კაშხლის გარეშეც შეიძლება, ხოლო მდინარის „ეკოლოგიური ხარჯი“ დიდი ალბათობით არ უნდა შემცირდეს). განხილული ალტერნატივა არანაირ რეალურ ალტერნატივას არ წარმოადგენს ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.</p> <p>შეიძლება ითქვას ისიც, რომ ხადორი-2 პროექტის შემთხვევაში ალტერნატივების არგანხილვამ გამოიწვია დამატებითი პროექტის წარმოშობა: ხადორი-2-ის ნაცვლად შეიძლებაოდა მილის დაგრძელება 4.5 კმ მანძილზე, გაცილებით ნაკლები დანახარჯებით და კუმულაციური ზემოქმედებებით, თუკი ხადორი-3 მაინც უნდა აშენებულყო - მაგალითად აღარ იქნებოდა საჭირო ხადორი-2 ჰესის ძალოვანი შენობა.</p> <p>სავარაუდოა, რომ ალტერნატივების ამ შემთხვევაშიც არგანხილვით შესაძლებელია იგივე შეცდომა იქნას დაშვებული და ხადორი-4 აგება გახდეს საჭირო. მსგავსი დომინოს პრინციპით არც ხადორი-5 და ა. შ. იქნებოდა გამორიცხული.</p> <p>აღსანიშნავია ისიც, რომ არ იხილება ჰესის ტიპის სტანდარტული ალტერნატივებიც კი (რეზერვუარზე მომუშავე ჰესის შედარება მოდინებაზე მომუშავე სქემასთან).</p> <p>არ განიხილება ასევე ნაპირდაცვის ალტერნატივები (მაგ. დეზების ნაცვლად რიპრეპების მოწყობა).</p>		

	<p>რაც მთავარია, არ განიხილება ჰესის „ეკოლოგიური ხარჯის“ განმსაზღვრელი ძირითადი საპროექტო მახასიათებლის (როგორსაც სადერივაციო მილსადენის დიამეტრი წარმოადგენს) რაოდენობრივი ოპტიმიზაციის ალტერნატივები ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მიზნების დაბალანსების უზრუნველსაყოფად და დერივაციის ინფრასტრუქტურის მაქსიმალური შესაძლებლობების სათანადო ნიშნულამდე შესაზღუდად.</p> <p>შენიშვნა: ჰესების მფლობელების და ოპერატორების მხრიდან მონიტორინგის დანიშნულების კრიტიკული მნიშვნელობის მონაცემთა არგაზიარების და არასაჯაროობის არსებული პრაქტიკის პირობებში, ერთდერთი რეალური საშუალება „ეკოლოგიური ხარჯის“ უზრუნველყოფისა სადერივაციო ინფრასტრუქტურის მაქსიმალური გამტარუნარიანობის შესაძლებლობის შეზღუდვა წარმოადგენს. თუმცადა, ხადორი-3-ის და მთლიანად „ხადორის კასკადის“ დეველოპერთან ურთიერთქმედების და კონსულტაციების წინა გამოცდილება მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ დეველოპერთან ვერ მოხერხდა ხარჯის ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკური ოპტიმიზაციის და შესაბამისი დერივაციის შეზღუდვის თაობაზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების წარმოების საფუძველზე შეთანხმების მიღწევა, რის სამწუხარო მაგალითიც სახეზეა დარიალის ხეობის ჰესების შემთხვევაში, სადაც დაინტერესებულ მხარეებთან კონსტრუქციული კონსულტაციების წარმოება შეწყვიტეს ინვესტორმა და მაშინდელმა შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებამ, ენერჯეტიკის სამინისტრომ, როგორც კი საკითხი სადერივაციო გვირაბის ან მილსადენის დიამეტრს შეეხო.</p> <p>შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტში ალტერნატივები პრაქტიკულად არ განიხილება, რადგან არაქმედების ალტერნატივა არასწორადაა გამოყენებული, ხოლო რეალური შინაარსის მქონე ტექნიკური ალტერნატივები ფაქტობრივად არ იხილება. ასევე არ აქვს ადგილი „ეკოლოგიური ხარჯის“ მიმართ ჰესის ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციის ალტერნატივების ანალიზს.</p>	
5	<p>გზმ წამოწყებულია საზოგადოების ინფორმირებით</p> <p>აღნიშნულ თემას ეძღვნება მე-11 თავი „საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა“, რასაც 1/3 გვერდი ეძღვნება მხოლოდ. საკითხის მსგავსი ლაკონური განხილვა არ წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას. კანონმდებლობის მოთხოვნებიც კი არ არის გაწერილი და ახსნილი საზოგადოებისთვის, არც დაინტერესებული მხარეებია გამოვლენილი. ამ ლაკონურ გვერდს მოსდევს 8 გვერდიანი ცხრილი 11.1. „ინფორმაცია ხადორი 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ“.</p> <p>აღნიშნულთან დაკავშირებით, დანართში 1 წარმოდგენილია შენიშვნები გზმ-ის მიმართ და საქმიანობის განმახორციელებლის პასუხები, რომლებშიც შენიშვნები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული, აღნიშნულის დასაბუთებითურთ ჩვენი მხრიდან.</p> <p>გზმ-ის ავტორებს არ აქვთ საგნობრივი პასუხი გაცემული უწყებების და საზოგადოების მრავალ შეკითხვაზე, რაც დოკუმენტის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს, სამინისტროს მსგავსი დოკუმენტი არ უნდა დაემტკიცებინა: მნიშვნელოვანი ხარვეზების მქონე დოკუმენტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემა მნიშვნელოვან კანონდარღვევას წარმოადგენს.</p>	-2
6	<p>სანიტარული ხარჯი (სამართლებრივი მოთხოვნები)</p> <p>არსად არ არის დახასიათებული სამართლებრივი მოთხოვნები ე. წ. „სანიტარული ხარჯის“ მიმართ (რაც თანამედროვე „ეკოლოგიური ხარჯის“ კონცეფციის საბჭოთა უხარისხო ანალოგს წარმოადგენს). არსად არ არის მოთხოვნები წარმოდგენილი „ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯი“ თანამედროვე მიდგომების კუთხით.</p>	-2

	სამართლებრივი მოთხოვნები ე. წ. „სანიტარული ხარჯის“ („ეკოლოგიური ხარჯის“) მიმართ არ განიხილება.	
7	ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) ხარჯი	-2
	<p>ქვეთავში 5.2.6.1.1 „საშუალო წლიური ხარჯები“ მოყვანილი ცხრილი 5.2.6.1.1.1 ხადორი-2-ის ბოლო ოთხი წლის მონაცემებს წარმოგვიდგენს. ხადორის-2-ის მაგალითი არ არის დახასიათებული „ეკოლოგიური ხარჯის“ მიმართ მოთხოვნების თვალსაზრისით, თუმცა ცხრილიდან ჩანს, რომ აგვისტოს თვეში „ეკოლოგიური ხარჯი“ 6%-ს შეადგენს და საბჭოთა პერიოდიდან ცნობილი 10%-ის მოთხოვნაც კი (რაც არ შეესაბამება „ეკოლოგიური ხარჯის“ თანამედროვე მიდგომებს) დარღვეულია, თუმცა, დოკუმენტი არ აფასებს აღნიშნულს როგორც დარღვევას და ასევე არ აფასებს, თუ რამდენად ადექვატურია 10%-ის მითითება ეკოლოგიურ ხარჯად. არ არის გაანალიზებული, როგორ და რამდენად ეფექტურად მუშაობდა „ეკოლოგიური ხარჯის“ კონცეფცია ხადორი-2-ის შემთხვევაში და აღწევდა თუ არა იგი დასახულ მიზნებს მითითებული ოთხი წლის განმავლობაში. ამასთან, გზშ-ის ავტორებს მიზანშეუწონლად მიაჩნიათ, ციტატა, „მდ. ალაზნის ბუნებრივი ჩამონადენის აღდგენაც, ვინაიდან საპროექტო ხადორი-3-ის ფუნქციონირება გათვალისწინებულია ხადორი-2-ის გამონამუშევარ წყალზე“. დაბოლოს, ხადორი-2 ის „ეკოლოგიური ხარჯის“ მეთოდოლოგია (რომელიც გზშ-ში წარმოდგენილი არ არის) უაპელაციოდ არის გადმოტანილი ხადორი-3-ის შემთხვევაზე. შესაბამისად, „ეკოლოგიური ხარჯის“ განსაზღვრის მეთოდოლოგია არც ხადორი-2-ის და ხადორი-3-ის შემთხვევაში განსახილველი გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის.</p> <p>ამასთან, დანართში 1 ნაჩვენებია, რომ საზოგადოების და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან დასმული 36 შეკითხვიდან 19 შეკითხვაზე, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანეს შენიშვნაზე, რომელიც შეეხებოდა „ეკოლოგიური ხარჯს“, პასუხი რეალურად გაცემული არ არის.</p> <p>ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ გადაწყვეტილების მიმღები უწყება მკაფიოდ იყო ინფორმირებული მის მიერვე შექმნილი საექსპერტო კომისიის (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 06 ოქტომბრის ბრძანება №674) შემადგენლობაში დამტკიცებული წევრის (ბ-ნი რობერტ დიაკონიძე, ინჟინერ-ჰიდროლოგი) დასკვნით, რომ მის მიერ დასმულ და სამინისტროს მიერ წარდგენილ შენიშვნებზე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გაცემული პასუხები „არადაამაკმაყოფილებელია და ირონიული ტონიც კი დაკრავს“ (ამ შეხედულებაში ჩვენც სრულად ვეთანხმებით სამინისტროს ექსპერტს) და რომ მე-9 შენიშვნასთან მიმართებაში (იხ. ჩვენი დანართი 1) გზშ-ის ავტორები „გამოდის რომ ცრუობენ“, ხოლო მე-10 შენიშვნასთან მიმართებაში, რომელიც „ეკოლოგიურ ხარჯს“ შეეხება, შენიშვნაზე პასუხში „ყველაფრის შესახებ წერია, გარდა იმისა, რაც საჭიროა იმისთვის, რომ გავერკვეთ ეკოლოგიური ხარჯის ანგარიშის დეტალებში“. სამინისტროს ექსპერტი დასკვნების ბოლოს სრულიად მართებულად მოითხოვს, რომ „მიუხედავად ადრე გაკეთებული შენიშვნებისა, კვლავ გაურკვეველი რჩება ეკოლოგიური ხარჯის ანგარიშის მეთოდიკა. ნათლად არ ჩანს, თუ წყლის რომელი ხარჯიდან, ან რომელ კვეთაშია გამოთვლილი სანიტარული ხარჯის 10%-იანი სიდიდე, გაურკვეველია, თუ რატომ არ არის პროექტში ცალკე საკითხად წარმოდგენილი ეკოლოგიური ხარჯის ანგარიში“ (ასეთ ანგარიში ჩვენი შეხედულებითაც აუცილებელია).</p> <p>ამდენად, სამინისტროს ექსპერტი სრულად ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ „ეკოლოგიური ხარჯი“ უმნიშვნელოვანესი საკითხია ჰესის გზშ-თვის, იგი საჭიროებს მეთოდოლოგიის წარმოდგენას და რაოდენობრივ დადგენას გზშ-ში, მაგრამ ეს მოთხოვნა არ არის შესრულებული გზშ-ის ავტორების მიერ არც საბოლოო დოკუმენტში, რითაც დასტურდება დოკუმენტის დაბალი ხარისხი და ასევე კანონდარღვევა (ფაქტების დამახინჯებით რეაგირება სახელმწიფო ორგანოს მართებულ მოთხოვნაზე).</p>	

	<p>ამასთან, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, რომ მიუხედავად სრული გათვითცნობიერებისა „ეკოლოგიური ხარჯის“ საკითხის მნიშვნელობისა და სამინისტროს სრული ინფორმირებისა, როგორც საექსპერტო კომისიის წევრი, ისე უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო თვალს ხუჭავენ იმ ფაქტზე, რომ „ეკოლოგიური ხარჯის“ არც მეთოდოლოგია არაა შემოთავაზებული და არც რაოდენობრივად დაანგარიშებული საბოლოო გზშ-ში, რამეთუ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული საკითხი საერთოდ არ არის დაყენებული და საექსპერტო კომისიის ექსპერტი და სამინისტრო რეალურად ხელს აწერენ იმაზე, რის საწინააღმდეგო დასკვნასაც აღნიშნული ექსპერტი თავის პირად დასკვნაში აწერს ხელს. ყოველივე ეს ექვევებ აყენებს როგორც ექსპერტის, ის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს კეთილსინდისიერებას კანონმდებლობის და გარემოსდაცვითი მოთხოვნების აღსრულებასთან მიმართებაში.</p> <p>დასკვნის სახით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ "ეკოლოგიური ხარჯის" ანალიზი დოკუმენტში შესრულებული უბრალოდ არ არის, რაც მეტყველებს ჰესების გზშ-ის დაბალ ხარისხზე, რამეთუ "ეკოლოგიური ხარჯი" უპირველესი განსახილველი ამოცანაა ჰესების პროექტის გზშ-ის შემთხვევაში. მსგავსი მნიშვნელოვანი ხარვეზით გზშ-ის დოკუმენტის დამტკიცებით სამინისტრო ქმნის პრეცედენტს, რომლის დადასტურება სასამართლოს გზით და გავრცელება საქართველოს სხვა მდინარეებზე, ჰესების ინტენსიური მშენებლობის პირობებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, უაღრესად მძიმე შედეგების მომტანი იქნება არა მხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ მთლიანად მთელი საქართველოს მდინარეებისთვის და დაკავშირებული ეკოსისტემებისთვის, რასაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის. რაც მთავარია, ანალიზით დასაბუთებულია და დადასტურებული დოკუმენტურად, რომ „ეკოლოგიური ხარჯის“ საკითხთან მიმართებაში ადგილი აქვს კანონდარღვევას როგორც საქმიანობის განმახორციელებლის, ისე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და ასევე სამინისტროს მიერ შექმნილი საექსპერტო კომისიის წევრის მხრიდან.</p> <p>აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საერთაშორისო მხარდაჭერით შემუშავებული აქვს გზამკვლევი „ჰიდროელექტროსადგურის (2 მეტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება“ და ასევე „მდინარეებსა და ნაკადებში გარემოსდაცვით ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, მაგრამ ეს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი არ არის ამოქმედებული.</p> <p>მართლაც, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ევროკავშირთან დაახლოების პროცესის საგზაო რუკა გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების საკითხებში“ (იხ. სამინისტროს დაარქივებულ ვებგვერდზე https://web.archive.org/web/20160326020103/http://moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/AA-DCFTA_Roadmap_GEO.pdf, პუნქტი 1.2 „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ შვიდი სექტორული გზამკვლევის შემუშავება“). ვებგვერდზე https://web.archive.org/web/20180822114957/http://www.moe.gov.ge/ka/განცხადებები/2362-garemoze-zemoqmedebis-shefasebis-angarishis ჩანს, რომ გზამკვლევის სამუშაო ვერსია საჯაროდ გავრცელდა, თუმცა დასრულებული სახით დღემდე არ არის გამოქვეყნებული. იხ. ასევე http://www.moe.gov.ge/ka/სიახლეები/2017-02-23-garemosdacviti-xarjis-metodologiis და http://www.moe.gov.ge/en/news/2016-10-11-garemosdacviti-xarjis-metodologiis იმის დასტურად, რომ იგივე მდგომარეობა გვაქვს „ეკოლოგიურ (გარემოსდაცვით) ხარჯთან“ მიმართებაში.</p>	-2
8	საჯარო განხილვა	
	<p>საჯარო განხილვის შესახებ შეტყობინება გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, იმ პირობებში, როდესაც პანკისის ხეობაში არცერთი საგაზეთე ჯიხური არ არსებობს. საჯარო შეტყობინების მსგავსი მექანიზმი დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის რეალურად მისაწოდებლად არაეფექტური იქნებოდა, რაც გამოვლინდა კიდევ საჯარო განხილვაში ადგილობრივების დასწრების დაბალი დონით.</p> <p>მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი განცხადების ტექსტიდან ჩანს, რომ საჯარო შეხვედრა დანიშნულ იქნა 12 საათზე ახმეტაში,</p>	

2017 წლის 1 ივნისს, ხოლო იმავე დღეს, იმავე კონსულტანტს, 15 საათზე დაგეგმილი ჰქონდა სხვა დამკვეთის სხვა გზშ-ის საჯარო შეხვედრა თელავში (სტორი-1 ჰესი). მგზავრობის და ორგანიზაციული საკითხების დროის გათვალისწინებით სავარაუდოდ ახმეტაში 2 საათზე მეტი საჯარო განხილვა ვერ გაგრძელდებოდა, რაც არასაკმარისად შეიძლება ჩაითვალოს საფუძვლიანი საჯარო შეხვედრის მიზნებისთვის.

აღნიშნული დასტურდება საჯარო განხილვის ოქმის შინაარსით. მიუხედავად საყოველთაო ინტერესისა პანკისის ხეობაში პროექტის მიმართ, შეხვედრას მხოლოდ 20 პიროვნება ესწრებოდა, საიდანაც უმრავლესობას სამინისტროს წარმომადგენელი, საჯარო მოხელეები, სოფლის თავკაცები და უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე შეადგენდნენ და შეხვედრას საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელი თუ ესწრებოდა.

(შენიშვნა: შესადარებლად, 2018 წლის 17 აგვისტოს 18:00 საათზე ჩვენს მიერ გამართულ არაფორმალურ საჯარო შეხვედრას დუისში 50-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა და შეხვედრა 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, გვიან საღამომდე.)

დამსწრეთა სია ერთი ადამიანის ხელწერით არის შედგენილი და სიას არცერთი დამსწრე ხელს არ აწერს. მხოლოდ 8 პიროვნების მობილურია მითითებული. საქმიანობის განმახორციელებლის წარმომადგენლები არ არიან სიაში მითითებულნი.

ოქმიდან ჩანს, რომ საქმიანობის განმახორციელებლის წარმომადგენელმა კონსულტანტმა ისაუბრა ზოგად საკითხებზე, მაგრამ კონკრეტულად არ ისაუბრა ისეთ საჭირობო საკითხზე, როგორცაა „ეკოლოგიური ხარჯი“. ოქმში საუბარია, რომ სამინისტროს წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო სამინისტროს შენიშვნები, მაგრამ არ ჩანს რომელ შენიშვნებზეა საუბარი, რადგან მოხსენიებულიც კი არ არის საკითხები ოქმის 1-ლი დანართიდან, რომელშიც სამინისტროს შენიშვნები და მათზე გაცემული პასუხებია მოყვანილი. ასევე არ ჩანს, გასცა თუ არა კონსულტანტმა პასუხი სამინისტროს შეკითხვებს შეხვედრაზევე, თუ პასუხები მხოლოდ ოქმის მომზადებისას იქნა გაცემული.

ოქმში მოხსენიებულია, რომ შეხვედრა დაფიქსირებულია აუდიოჩანაწერით.

ოქმის ბოლოს გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ზოგადად დადებითადაა განწყობილი პროექტის მიმართ, რაც ვერ დასტურდება საზოგადოების სარჩელის მასალებით პროექტის და სახელმწიფო გადაწყვეტილების მიმღები უწყებების მიმართ. ოქმის ამგვარი პათოსი საერთოდ არ შეესაბამება ჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო განწყობას ხეობაში და გამართულ საპროტესტო აქციებს, რაც ცენტრალურ და ადგილობრივ მასმედიაში, სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ წყაროებში აქტიურად იქნა გაშუქებული, იხ. მაგ. ბმულები <https://www.radiotavisupleba.ge/a/ra-zians-moutans-pankisis-kheobas-kidev-erti-akhali-hesi/29124265.html> <https://www.radiotavisupleba.ge/a/აქცია-დუისში-ხადორი-3--ის-წინააღმდეგ-და-თემირლან-მაჩალიკაშვილის-საქმეზე/29378216.html> <https://reginfo.ge/people/item/8162-pankisshi-%E2%80%99Exadori-3%E2%80%9C-besis-msheneblobis-xinaagmdeg-sasamartlos-mimartes> <https://www.facebook.com/არა-ჰესებს-პანკისში-199225950884050> <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/54104/pankisshi-mesame-hesis-msheneblobas-protesti-mohkva>

სხდომის ოქმი არ იქნა შეტანილი საბოლოო გზშ-ში (იხ. ქვემოთ), თუმცა აღნიშნული ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს, მათ შორის დოკუმენტის ავტორი ორგანიზაციისთვისაც (შპს „გამა“).

	<p>საერთო ჯამში უნდა ითქვას ისიც, რომ ოქმი არასაკმარისი გულმოდგინებითაა შედგენილი.</p> <p>რაც შეეხება ოქმის 1-ლ დანართს (იგი ემთხვევა გზმ-ის ცხრილს 11.1.), სამწუხაროდ 36 დასმული წინადადებიდან და შენიშვნებიდან (რაც ალბათ სამინისტროსგან წერილობით იყო მიღებული და მხოლოდ წერილობითვე გაეცა პასუხი) არანაკლებ 19 შემთხვევაში პასუხი არ არის სწორად გაცემული, ამასთან, საქმიანობის განმახორციელების მხრიდან ადგილი აქვს სახელმწიფო ორგანოების წინაშე სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებისთვის არსებითი ხასიათის საკითხების შესახებ გაცემული პასუხებით ინფორმაციის შეგნებულ დამახინჯებას (საქმიანობის განმახორციელებელი აცხადებს სახელმწიფო ორგანოების არსებითი ხასიათის შენიშვნებზე, რომ პასუხები გაცემულია, როდესაც აღნიშნულს რეალურად ადგილი არ აქვს 19 შემთხვევაში 36-დან), ხოლო სახელმწიფო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო თვალს ხუჭავს არსებითი ხასიათის შენიშვნებზე გაუცემელ პასუხებზე და რეაგირების გარეშე გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რითაც ადასტურებს საქმიანობის განმახორციელების მიერ ფაქტების დამახინჯებით დაშვებულ კანონდარღვევას, რითაც სახელმწიფო უწყება თვითონაც არღვევს კანონს. აღნიშნული შენიშვნები და პასუხები დეტალურადაა განხილული და ფაქტების დამახინჯების მტკიცებულებები დასაბუთებული ამ დოკუმენტის დანართში 1.</p> <p>ამდენად, არ იქნა უზრუნველყოფილი საჯარო განხილვაში რეალური დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, ოქმი არასაკმარისი გულმოდგინებით იქნა შედგენილი და არ გასაჯაროებულა, ხოლო საჯარო განხილვამდე, განხილვისას თუ განხილვის შემდეგ დასმულ მნიშვნელოვან შეკითხვებზე არასწორი პასუხების გაცემით და არასწორ პასუხებზე რეაგირების გარეშე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემით კანონდარღვევა იქნა დაშვებული როგორც საქმიანობის განმახორციელების, ისე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების მიერ.</p>	
9	<p>კომუნიკაცია საზოგადოებასთან და დოკუმენტირება</p>	-1
	<p>მალა უკვე აღინიშნა ჰესის მშენებლობის საწინააღმდეგო განწყობა პანკისის ხეობის მოსახლეობაში, მითითებულ იქნა მედიის და ინტერნეტ წყაროები, სადაც გაშუქებულია მოსახლეობის უარყოფითი განწყობა და საპროტესტო გამოსვლები. სახეზეა არასაკმარისი კომუნიკაცია და უკუკავშირი საზოგადოებასთან. აღნიშნულის დასტურია თუნდაც საზოგადოების მხრიდან სარჩელის აღძრვა პროექტის და სახელმწიფო გადაწყვეტილების მიმღები უწყებების მიმართ. საზოგადოებასთან არასაკმარისი კომუნიკაციის შედეგად, რაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ხარისხიანი პროცესის აუცილებელი პირობაა, ვერ მოხერხდა კონფლიქტების გადაჭრა და შეთანხმების მიღწევა ადგილობრივ საზოგადოებასთან და რამაც სამწუხაროდ მიგვიყვანა შეუთანხმებელი საკითხების სასამართლოს გზით გადაწყვეტის აუცილებლობამდე.</p> <p>აღსანიშნავია, მაგალითად, რომ გზმ-ის დოკუმენტში არ არის გასაჯაროებული საჯარო შეხვედრის ოქმის შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გზმ-ის მომზადების ეტაპისთვის ოქმი უკვე არსებობდა. აღნიშნული დასტურდება ცხრილით 11.1. „ინფორმაცია ხადორი 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვის პროცესში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ“, რომელიც თან ერთვის ოქმს, ამგვარად ოქმი და პასუხები წერილობით შენიშვნებზე ერთდროულად იქნა მომზადებული. ამასთან, ოქმი ვერ მოხვდა საბოლოო გზმ-ში, რაც საჯაროობის დარღვევად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ საჯარო შეხვედრის მონაწილეები და საზოგადოების წარმომადგენლები მთლიანად ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საჯარო განხილვის მიმდინარეობის შესახებ, რომ დარწმუნდნენ ოქმის სისწორეში, თუ როგორ იქნა მასში ასახული დასმული შეკითხვები და თუ რამდენად დამაჯერებელი არგუმენტაციით იქნა არგათვალისწინებული საჯაროდ და წერილობით დასმული შეკითხვები.</p> <p>აღნიშნული მითუმეტეს ყურადსაღებია, რომ როგორც ნაჩვენებია დანართში 1, საზოგადოების და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან</p>	

	<p>დასმული 36 შეკითხვიდან 19 შეკითხვაზე რეალურად პასუხი გაცემული არ არის დოკუმენტში და ისეა გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რაც კანონდარღვევაა როგორც საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან (არ უპასუხა ადეკვატურად დასმულ საკითხებს, თუმცა ამტკიცებს საპირისპიროს), ისე ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემაზე პასუხისმგებელი უწყების მხრიდან, მითუმეტეს რომ შეკითხვები შეეხებოდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, „ეკოლოგიური ხარჯის“ საკითხი.</p> <p>ნიშანდობლივია, რომ „ეკოლოგიური ხარჯის“ არანაირი მაჩვენებლები (ხადორი-2-ის მონაცემებზე დაყრდნობითაც კი) საერთოდ არ არის წარმოდგენილი არც არატექნიკურ და არც ტექნიკურ რეზიუმეში, არადა აღნიშნული დოკუმენტები მოსახლეობას მარტივი ენით უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას გზშ-ის ძირითად მოთხოვნებთან დაკავშირებით. „ეკოლოგიური ხარჯის“ შესახებ (რომელიც ჰესის გზშ-ის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს) არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება ამ შემთხვევაში ტოლფასია მოსახლეობის არინფორმირებისა კრიტიკულად მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით.</p> <p>საზოგადოებასთან არასაკმარის კომუნიკაციასა და უკუკავშირთან ერთად, არატექნიკურ და ტექნიკურ რეზიუმეებში არ არის არსებითი დეტალები განხილული ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, „ეკოლოგიური ხარჯი“ წარმოადგენს. გაცემული არ არის სწორი პასუხი სახელმწიფო უწყების და საზოგადოების მხრიდან დასმული 36 შეკითხვიდან 19-ზე (იხ. არგუმენტაცია დანართში 1)</p>	
10	<p>დაინტერესებული მხარეების სია და ანალიზი</p>	-2
	<p>გზშ-ით დაინტერესებული მხარეები (სტეიკჰოლდერები) საერთოდ არ არის ნახსენები დოკუმენტში, არც მათი ანალიზია შესაბამისად განხორციელებული და არც „დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გეგმა“ შემუშავებული.</p> <p>გზშ-ით დაინტერესებული მხარეები საერთოდ არ არის ნახსენები, შესაბამისად გამოვლენილი და გაანალიზებული დოკუმენტში.</p>	
11	<p>ინფორმაციის გამოქვეყნება</p>	0
	<p>როგორც ჩანს, საჯარო შეხვედრის განცადება ფორმალურად დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (2017.04.11), მაგრამ არსად არ არის წარმოდგენილი დოკუმენტალური მტკიცებულება იმისა, რომ სათანადო განცხადებები გამოკრული იყო ადგილზე. შედეგად, ადგილობრივმა მოსახლეობამ ვერ გაიგო პროექტის გზშ-ის განხილვის შესახებ და ამ შეხვედრას მნიშვნელოვანი რაოდენობით არ ესწრებოდა განხილვით დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლები. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ფართო გულისწყრომა გზშ-ის განხილვის არასაკმარისი ტრანსპარენტულობით, რამაც ადგილობრივი საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია საჯარო შეხვედრიდან დიდ ხნის შემდეგ. დაინტერესებულმა მხარეებმა პროექტის გზშ-ის შესახებ დიდი დაგვიანებით შეიტყვეს და მათმა უკმაყოფილებამ დაწყებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერებაც კი გამოიწვია (იხ. მაგ. https://www.radiotavisupleba.ge/a/ხადორი-3-ის-მშენებლობა-შეჩერებულია/29344723.html).</p> <p>გზშ როგორც ჩანს ვერ გამოქვეყნდა ხარისხიანად სამინისტროს შესაბამის ვებგვერდზე, რადგან ინფორმაციის გავრცელების კუთხით დღესაც ჩანს ტექნიკური ხარვეზები. სამინისტროში წარდგენილი გის-კოორდინატები (შეიპფაილები), რომლებიც ჩვენც მოგვეწოდა, უბრალოდ არ იხსნება სწორად და გარკვეული გასწორების გარეშე შეუძლებელია მისი გახსნა გის-პროგრამით, შესაბამისად გასწორების გარეშე ვერ მოხერხდება ატვირთვა და დადება ინტერნეტის გის-სერვისებზე (მაგ. https://www.arcgis.com-ზე). აღნიშნული დასტურდება იმით, რომ გის-ხაზები და გის-პოლიგონები არ იხსნება სამინისტროს იმდროინდელ ვებგვერდზეც, სადაც გზშ-ები ქვეყნდებოდა http://maps.eiec.gov.ge გზშ-ის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის სტრუქტურის და მოთხოვნების გათვალისწინებით (2018 წლის 24</p>	

	<p>ავგისტოს მდგომარეობითაც გზშ-ის გახსნა პორტალზე შეუძლებელი იყო). ამდენად, გის-კოორდინატები უხარისხოდაა წარდგენილი სამინისტროში, ხარვეზების ჩასწორების შემდეგაც კი. შესაბამისად, სამინისტროს სათანადო ვებგვერდზე ვერ მოხდებოდა დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება სათანადო ხარისხით. ამ ვებგვერდიდან გზშ-ს ვერ ჩამოტვირთავდა მსურველი, რადგან რუკაზე შესაბამისი ბმული უბრალოდ არ იხსნება.</p> <p>დასკვნის სახით, საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია და გზშ-ის დოკუმენტი გამოქვეყნდა, მაგრამ არასაკმარისი ძალისხმევით და შესაძლოა ხარვეზებითაც, რამეთუ ვერ მოხერხდა დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება საჯარო შეხვედრის შესახებ, ხოლო დოკუმენტი გზშ-ის პორტალზე ხარვეზების გამო სავარაუდოდ არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი.</p>	
12	<p>მონაცემები</p>	-1
	<p>ჰესების გზშ-ში კრიტიკულ აუცილებლობას წარმოადგენს ხარისხიანი ჰიდროლოგიური მონაცემები. სამწუხაროდ, მსგავსი მონაცემები სუსტადაა წარმოდგენილი ნაშრომში. არც გაზიარებულია დოკუმენტაციასთან ერთად სათანადო მონაცემთა ბაზა და არ არის არსად ნაჩვენები გზშ-ში, რომ ავტორებს ჰქონდათ წვდომა ჰიდროლოგიური მაჩვენებლების მაღალი გარჩევის დროით რიგთან (მაგ. დღიური ხარჯის მონაცემები). შესაბამისად, არ არის შესრულებული და მოყვანილი ჰიდროლოგიური მოდელირების შედეგები ალაზნის მონაკვეთის და მისი შენაკადების ქვეაუზისათვის.</p> <p>არ არის მოყვანილი ჰიდროლოგიური მოდელირებისთვის აუცილებელი ისეთი ელექტრონული მონაცემების ან ამ მონაცემებზე წვდომის დამადასტურებელი ფაქტები, როგორცაა ნიადაგების დაფარულობა, დიგიტალური სიმაღლეების მოდელი, მიწის დაფარულობა. არც სათანადო დროითი რიგის მონაცემებია მოყვანილი ისეთი აუცილებელი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორებიცაა ტემპერატურა, ქარი, ტენიანობა (დღიური პერიოდულობის მონაცემები). სათანადო ხარისხის მონაცემების გარეშე ჰიდროლოგიური მოდელირება შეუძლებელია, რაც შესაბამისად არც განხორციელდა. ამ მიმართებით მონაცემების ხარისხი არაადაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.</p> <p>დოკუმენტში საერთოდ არ არის საუბარი კლიმატის ცვლილებაზე, მისი ზემოქმედების ანალიზი პროექტის მნიშვნელოვან პარამეტრებზე და მის სიცოცხლისუნარიანობაზეც კი, შესაბამისად, ასევე არ არის საერთოდ განხილული. არ არის განხილული მონაცემებიც მყინვარების დინამიკის შესახებ. კლიმატის ცვლილების მახასიათებელი მონაცემების განხილვის გარეშე ჰესების პროექტის არცერთი გზშ არ შეიძლება ჩაითვალოს რამდენადმე სრულყოფილად.</p> <p>ჰესების პროექტების საბაზისო მონაცემებში უაღრესად სასურველია შედიოდეს მაღალი რეზოლუციის აერო და კოსმოსური სურათები და მათი ანალიზი. ნახ. 3.1.1. პროექტის სქემაზე გამოსახულება არ არის საკმარისი რეზოლუციის, რომ გავარჩიოთ სათანადოდ დეტალები. მსგავსი ინფორმაცია დოკუმენტში არ არის მოყვანილი, რაც კრიტიკული ხასიათის სისუსტეა.</p> <p>სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების ნაკლებობა (მაგ. ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებაში) განხილულია შესაბამის ნაწილში, მაგრამ აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ვერ მოხერხდა რეალური მონაცემების წარმოდგენა იქთიოფაუნასთან მიმართებაში. აღნიშნულზე ქვემოთ დეტალურადაა საუბარი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბაზისო მონაცემებში ვერ მოხერხდა საკონტროლო ჭერების საფუძველზე დადგენილიყო იქთიოფაუნის საბაზისო მდგომარეობა ჰესის პროექტის მშენებლობამდე, რაც კატეგორიულად მიუღებელია.</p> <p>ასევე საერთოდ არ არის წარმოდგენილი წყლის ხარისხის საბაზისო მაჩვენებლები ინსტრუმენტული გაზომვების საფუძველზე, რაც ჰესის</p>	

	<p>გზშ-ის მნიშვნელოვანი ხარვეზია. იგივე შეეხება ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვის მონაცემების წარმოდგენას კრიტიკული რეცეპტორების (მოსახლეობა) და განსაკუთრებით დაცული ტერიტორიები ველურ ბუნებასთან მიმართებაში.</p> <p>გზშ-ში რამდენჯერმე არის მითითებული ჩატარებული „აუდიტის“ შესახებ და ეყრდნობა ამ აუდიტის პროცესში მიღებულ მონაცემებს, მაგრამ არცერთ შემთხვევაში აუდიტის ანგარიში არ არის დოკუმენტზე თანდართული. მაგალითად გვ. 37, სადაც „აუდიტით“ დადგენილია რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა საჭიროა 6700 მ2 ფართობზე და 10 სმ სიღრმეზე, რაც ჯამში შეფასებულია როგორც 670 მ3 (იხ. ასევე გვ. 205). თუმცა, არ არის მოყვანილი ნიადაგის ანალიზის მონაცემები და შედეგები, რომელიც დაადასტურებდა, რომ ჩვეულებრივად მიღებული 30 სმ სისქის ფენის ნაცვლად ჰუმუსის ფენის სისქე მხოლოდ 10 სმ-ს შეადგენს.</p> <p>აღნიშნულ და სხვაგან წარმოდგენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებთან ერთად ჰესის გზშ-თვის საჭირო მონაცემებთან მიმართებაში არის სხვა სისუსტეებიც.</p> <p>ბოტანიკურ ნაწილში ტყეებთან მიმართებაში მითითებულია მნიშვნელოვანი წყაროები Harcharik, 1997; Isik et al., 1997, Lanly, 1997, მაგრამ ეს წყაროები ლიტერატურაში არ არის ჩამოთვლილი.</p> <p>ხშირად ინტერნეტ-წყარო მითითებულია ზოგადად (მაგ. www.moe.gov.ge, www.apa.gov.ge, www.nala.ge და სხვა) და არა კონკრეტულად, რათა გადამოწმდეს მოყვანილი მონაცემების და ინფორმაციის სიზუსტე. რამდენიმე შემთხვევაში ვებგვერდი უბრალოდ არ იხსნება (მაგ. http://adlab.ge/da2, რომელიც დასახელებულია როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაკრესის“ ვებ-გვერდი).</p> <p>დაბოლოს, გზშ-ში არსად არ არის მითითებული რომელი ექსპერტები მონაწილეობდნენ დოკუმენტის შემუშავებაში. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან საქართველოში კვალიფიციური ექსპერტების დეფიციტია ყველა მიმართულებით, ამდენად საჭიროა ვიცოდეთ, მართლაც სათანადო კვალიფიკაციის შემფასებლები არიან ჩართულნი თუ არა გზშ-ის მომზადებაში და საბაზისო მონაცემების მოწოდება-ანალიზში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქთიოლოგიის ვინაობის ცოდნა, ამ მიმართულებით მართლაც თითზე ჩამოსათვლელია ექსპერტები, ხოლო შეფასება უმნიშვნელოვანესია ჰესების გზშ-თვის.</p> <p>დასკვნის სახით, დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი საკმარისი დეტალობით ჰესის გზშ-ის დოკუმენტისთვის აუცილებლად საჭირო დეტალობის ჰიდროლოგიური, კლიმატური და სხვა მონაცემები (მაგ. მიწის და ნიადაგის დაფარულობა, ჰიფსომეტრია, რაც ასევე არ არის წარმოდგენილი), შესაბამისად, ვერ შესრულებოდა და არც შესრულებულა ჰიდროლოგიური მოდელირება. არ განიხილება კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ანალიზისთვის საჭირო მონაცემები. არ ჩატარებულა ან არასაკმარისია ინსტრუმენტული კვლევები წყლის ხარისხის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის, ხმაურის საბაზისო მონაცემების დასადგენად. რაც მთავარია, ვერ განისაზღვრა იქთიოფაუნის საბაზისო პირობები პროექტამდე მდგომარეობისთვის. არ არის გასაჯაროებული გზშ-ის შედგენაში მონაწილე ექსპერტების სახელები და შემადგენლობა, რაც აუცილებელია მონაცემების ხარისხის და ჩატარებული ანალიზის სანდოობაში დასარწმუნებლად.</p>
II	გარემოს და სოციალური მართვის გეგმები
1	გარემოსდაცვითი მართვის გეგმები / გარემოს და სოციალური მართვის გეგმები და გეგმების კავშირი ზემოქმედებებთან

ცხრილი 7.3.1 „მშენებლობის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“ წარმოადგენს გარემოსდაცვითი მართვის გეგმას მშენებლობის ეტაპზე, რომელშიც გამოვლენილია შემდეგი ხარვეზები:

მონიტორინგის სვეტში მითითებულია რომ „გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი ჩაატარებს ყოველდღიურ ვიზუალურ შემოწმებას“, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ეს პერსონალი წარმოადგენს "ალაზანი ენერჯის" თუ მშენებელს. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერი (სამშენებლო ინდუსტრიაში ცნობილია ასევე როგორც HSE მენეჯერი) ვერ შეცვლის თავისი ფუნქციებით გარემოს დაცვის მენეჯერს, რადგან HSE მენეჯერის უპირატესი მოვალეობაა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა და არა გარემოს დაცვა.

საერთოდ, გეგმის მონიტორინგზე პასუხისმგებლად ყველგან მითითებულია "ალაზანი ენერჯი" და არსად არ ჩანს მშენებელი კომპანიის ფუნქცია, თუმცა სამუშაოებს ეს უკანასკნელი აწარმოებს და უნდა ახორციელებდეს თვითმონიტორინგს. „ალაზანი ენერჯის“ წარმომადგენელი მუდმივად ვერ გააკონტროლებს მშენებლის საქმიანობას.

მშენებლობისას „საშიში გეოდინამიკური პროცესების (ეროზია, მეწყერი და სხვ.) გააქტიურებაზე“ განსაზღვრულია „ინჟინერ-გეოლოგის მიერ რეგულარული ვიზუალური დაკვირვებით“ მეწყრის უბანზე და არა მუდმივად. შემაშფოთებელია ისიც, რომ გეგმის მიხედვით „საერთო ჯამში შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება შეიძლება დაკავშირებული იყოს „დაბალ“ ხარჯებთან“, რაც დოკუმენტის მეთოდოლოგიის შესაბამისად გულისხმობს, რომ ეს ხარჯი, ავტორების შეხედულებით 25,000\$-100,000\$ ინტერვალშია მოთავსებული, რაც სრულიად დაუჯერებელია: ძლიერი მეწყრის გამაგრება, 11 თუ მეტი დეზის მოწყობა კალაპოტში, წყლის და სედიმენტების კონტროლი და სხვა მითითებული ღონისძიებები 100,000-ზე ნაკლები ვერ დაჯდება. დოკუმენტში მოყვანილი შეფასება არარეალისტურია. აქ **მაღალი** ხარჯი გვექნება, თანაც საჭიროა ღირებულების დასახელება, რომელიც 100,000-ზე ბევრად მეტი შეიძლება იყოს (ღონისძიებების ჩამონათვალი ამ შემთხვევაში რამდენიმე ფურცელზე გადადის და ყველაზე ძვირადღირებულ შემარბილებელ ღონისძიებებად გამოიყურება მთელს პროექტში). (შენიშვნა: „მაღალი“ ხარჯები დასტურდება ექსპლუატაციის ეტაპზე ამავე დოკუმენტში, იხ. ქვემოთ.)

ცხრილში საუბარია „ოპტიმალური სიჩქარის დაცვა“-ზე გრუნტის გზებზე ტრანსპორტის და მექანიზმების გადაადგილებისას, მაგრამ მითითებული არ არის სიჩქარის მნიშვნელობები.

ხმაურის კონტროლი მითითებულია სიხშირით 6 თვეში ერთხელ. ნაკრძალების სიახლოვეს სამშენებლო საქმიანობების წარმოებისას და ტექნიკის მოძრაობისას, ასევე მძიმე ტექნიკის დასახლებული პუნქტების გავლით გადაადგილების პირობებში გაცილებით მეტი სიხშირით იქნებოდა ხმაურის და ვიბრაციის მონიტორინგის წარმოება საჭირო.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის განადგურების შემარბილებელი ღონისძიებებისთვის მოცემულია, რომ „შესრულება შეიძლება დაკავშირებული აღარ იყოს „დაბალ“ ხარჯებთან“. თუკი გავითვალისწინებთ, რომ სამჯერ ნაკლები რაოდენობითაა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა შეფასებული, ღირებულება ადვილად შეიძლება ჩაითვალოს „საშუალო“ და არა დაბალ ხარჯებთან დაკავშირებულად.

„ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებებისთვის“ მითითებულია „ფერების სათანადოდ შერჩევა“, თუმცა კომპანია "ფერს" ამის დადებითი გამოცდილება არ გააჩნია - ყვითლად შეღება ლარსის ჰესი. აქვე მითითებულია „ტერიტორიის გაწმენდა და რეკულტივაცია“, მაგრამ კომპანია „ფერმა“ არ შეასრულა დამაკმაყოფილებლად აღნიშნული ქმედება ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის შემთხვევაში. თუმცა, ამ

უკანასკნელ შემთხვევაში გზშ არ დაუმტკიცეს, მაგრამ შემდეგ გზშ-ისგან გაათავისუფლეს. კომპანია ალბათ ამჯერადაც არ შეასრულებს ქმედებას, რადგან შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარების ღირებულების შეფასებისას მითითებულია რომ „დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის“. აღნიშნული შეფასება მართებულად არ მიგვაჩნია: დაყრილი მიღების გატანა ტერიტორიიდან, სამშენებლო ბანაკის დაშლა და ევაკუაცია და ტერიტორიის აღდგენა უნდა იყოს დაკავშირებული "დამატებით ხარჯებთან". ალბათ სწორედ ასეთი მიდგომის გამო ვერ მოახერხა "ფერმა" ხადორის არსებული ჰესების ტერიტორიების მოწესრიგება სამუშაოების წარმოებისას და მათი დასრულების შემდეგ. ის რომ ბანაკის სრული დემონტაჟი და ტერიტორიის აღდგენა არ მომხდარა, უშუალოდ ამ ანგარიშშიც დასტურდება.

სტრიქონში „ზემოქმედება ფლორაზე. ჰაბიტატების დაკარგვა, დაზიანება, ფრაგმენტაცია“ შემარბილებელ ღონისძიებად მითითებულია „ტყის კორომების გაშენება/გახარება. კორომებისათვის გამოყენებული უნდა იქნას ადგილობრივი ჯიშების ხე მცენარეები“. ეს მიდგომა მისაღებია, მაგრამ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის „კულტურული და დეკორატიული“ სახეობების დარგვის მოთხოვნასთან უშუალოდ ტექსტში.

გეგმის ამავე სტრიქონში განსაკუთრებით შემაშფოთებელია შემარბილებელ ღონისძიებად შემდეგი: „დაცული სახეობების გარემოდან ამოღება მოხდება „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის, ვ) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით“. აქ უკვე კანონდარღვევის ნიშნებია: ციტირებული კანონის აღნიშნული მუხლი "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება)" უფლებას იძლევა "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებობას მხოლოდ შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევებში: "სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისას". ამით ეს კერძო საინვესტიციო პროექტი „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ პროექტად არის გამოცხადებული და მიუხედავად იმისა, რომ წითელი წიგნის სახეობები ვერ იქნა მოძიებული საბაზისო კვლევებისას, ინვესტორს ინდულგენცია და სრული უფლება ეძლევა, თუკი ასეთები აღმოჩნდა, ამოიღოს გარემოდან ყოველგვარი შეთანხმების, შემარბილებელი ან საკომპენსაციო ღონისძიების გარეშე. შესაბამისად, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ინვესტორი არც შეამოწმებს ტერიტორიებს ამგვარი სახეობების არსებობაზე. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ აქვს უფლება მიანიჭოს პროექტს „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ სტატუსი, ამდენად მას უნდა მოეთხოვა ამ პუნქტის ამოღება დოკუმენტიდან და ამის არმოთხოვნა შეიცავს კანონდარღვევის ნიშნებს.

სტრიქონში „ზემოქმედება სახეობათა ქცევაზე“, წავის გამრავლების პერიოდიდან გამომდინარე, მითითებულია, რომ მდინარის კალაპოტზე ზემოქმედების შესამცირებლად სამუშაოები იწარმოებს „სექტემბერი-ნოემბრის პერიოდში“. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ნაკადულის კალმახისთვის სენსიტიურ ქვირითობის პერიოდს (იხ. ამავე დოკუმენტის დიაგრამა 5.2.9.3.1.2.). დოკუმენტიდან გაურკვეველია, თუ როგორ მოხდება ამ დროითი თანხვედრის საკითხის გადაჭრა.

სტრიქონში „ზემოქმედება სახეობათა ქცევაზე“ მითითებულია ღონისძიება „სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდგომ მოხდება ჰესის კომუნიკაციების და მისასვლელი გზების მიმდებარე ტერიტორიების რეკულტივაცია, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ჰაბიტატების ფრაგმენტაციასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას“. ხადორი-1-ის შემთხვევაში აღნიშნული ამკარად არ განხორციელებულა (რაც ადვილად დასტურდება სატელიტური რუკების დათვალიერებით ინტერნეტში). აღნიშნული ასევე ადასტურებს კიდევ ერთხელ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჰესების ერთერთ მნიშვნელოვან კულტურულ ზემოქმედებას მისადგომი გზები წარმოადგენს, ეს საკითხი არ არის ასახული გზშ-ში როგორც კულტურული ზემოქმედება, ამდენად დამატებითი ზემოქმედება ადვილი საპროგნოზოა, თუკი სამყურისწყალი-2 ჰესს (I

და II საფეხური) დავამატებთ სრულ სურათს, რაც ასევე არ განიხილება საერთოდ დოკუმენტში (არ არის ასევე განხილული, თუ რომელი ჰესის სამყურისწყალი-1). შედეგად, ალაზნის ხეობა დაექვემდებარება კუმულაციური ზემოქმედებების სრულ პაკეტს: მისადგომი გზები, ელექტროგადამცემი ხაზები და რეგულირებული მდინარე. კუმულაციური ზემოქმედება მაქსიმალური იქნება, რადგან ეს ზემოქმედებები არ განიხილება სათანადოდ გზშ-ში და არ იგეგმება შესაბამისი თავიდან აცილების, შერბილების და/ან კომპენსაციის ღონისძიებები.

ღონისძიება „გზის ყველა დაზიანებული უბნის მაქსიმალური აღდგენა“ ჩვეულებრივ საუკეთესო პრაქტიკით ფორმულირებული უნდა იყოს აღდგენა თავდაპირველ ან უკეთეს მდგომარეობამდე. ამასთან, არ გვგონია, რომ გზების აღდგენა დაბალ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული, როგორც ეს ამ ღონისძიებებისთვის არის მითითებული.

ცხრილი 7.3.2 „ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“ წარმოადგენს გარემოსდაცვითი მართვის გეგმას ექსპლუატაციის ეტაპზე, რომელშიც გამოვლენილია შემდეგი ხარვეზები:

ექვი გვეპარება, რომ „ხმაურის გავრცელება სამუშაო ზონაში. ზემოქმედება სხვა რეცეპტორებზე“ ზემოქმედებისთვის შემარბილებელი ღონისძიებები იმუშავებს სათანადოდ. მანძილი საკმარისად მცირეა დასახლებულ შენობებამდე, ამასთან არსად დოკუმენტში არ არის აკრძალული, ამდენად, დიდი ალბათობით, ჰესის ძალური შენობის კარები გაღებული იქნება და ამ ფაქტორების შედეგად დიდი ალბათობით ბირჯიანის მაცხოვრებლებს მუდმივად შეაწუხებთ ხმაური, მაგრამ ვერაფერი მოხერხდება ამ ზემოქმედების შესარბილებლად (აღნიშნული პრობლემის მაგალითი არსებობს - მესტიაჭალა, ბროლისწყალი, სხვა მცირე ჰესები, რომ არაფერი ვთქვათ ხადორი-2-ის შემთხვევაზე, დაფიქსირებულს გაღებული კარებებით სავსე ვიზიტის დროს, იხ. მტკიცებულება დანართში 2).

„საშიში გეოდინამიკური პროცესების (ეროზია, მეწყერი და სხვ.) გააქტიურება“ (ექსპლუატაციის ეტაპი): სამშენებლო ეტაპზე **საშუალო** ხარჯებია მითითებული - ექსპლუატაციის ეტაპზე - **მაღალი**. ეს არ არის ლოგიკური. მაგალითისთვის, ნაპირდაცვის მშენებლობა უფრო ნაკლები ვერ დაჯდება, ვიდრე მისი დაზიანების შეკეთება. გზშ-ის ეს ნაწილი ნამდვილად არ შეუმოწმებია ინვესტორს, რადგან მშენებლობის ხარჯების მცოდნე ნებისმიერი სპეციალისტი დაეთანხმება ჩვენს დასკვნას. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ გზშ-ს ფინანსური შეფასებები ზერელეა და არარეალისტური (იხ. შესაბამისი პუნქტი ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის თემაზე).

ექსპლუატაციის ეტაპზე ჰესის გზშ-თვისა უადრესად მნიშვნელოვან პუნქტში (სტრიქონში) „ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევა - მდინარეში წყლის ხარჯის შემცირება“ მითითებულია, რომ „საჭიროების შემთხვევაში გატარდება **დამატებითი** შემარბილებელი ღონისძიებები“. „დამატებითი“ ღონისძიებები ვერ განხორციელდება იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ ფაქტორისთვის საერთოდ არ არის არანაირი შემარბილებელი ღონისძიება დაგეგმილი. აღნიშნული დასტურდება მთელი დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, მაგრამ აქვეა დადასტურებული იმით, რომ შემარბილებელი ღონისძიებები „დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის“. ამდენად, სიმპტომატურია, რომ განსახილველი ჰესის გზშ-ის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე არ იხარჯება არანაირი რესურსი, შესაბამისად მარტივად დასტურდება დასკვნა, რომ შემარბილებელი ღონისძიებები ამ შემთხვევაში უბრალოდ არ არის გათვალისწინებული.

გეგმის ამავე სტრიქონისთვის მონიტორინგის სვეტში მითითებულია „ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე სისტემატიური მონიტორინგი“. დოკუმენტი არ შეიცავს არც მეთოდოლოგიას და არც ახდენს „ეკოლოგიური ხარჯის“ დადგენას, ამდენად გაუგებარია, როგორ უნდა განხორციელდეს მისი მონიტორინგი. თუკი მდინარის აღმა მდებარე ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის „ეკოლოგიურ ხარჯზე“ საუბარი, ამ ჰესებისთვის „ეკოლოგიური ხარჯის“ დადგენის მეთოდების და პირობების სათანადო აღწერა არ ხდება განსახილველ გზშ-ში და

ინვესტორისთვის არც სათანადო ვალდებულების გადმოტანა ხდება დოკუმენტის ამ მნიშვნელოვან ნაწილში, მითუმეტეს, რომ ხადორი-2-ის გზა არ დამტკიცებულა და ეს პროექტი საერთოდ გათავისუფლდა გზა-გან, ამდენად ხადორი-2-ის „ეკოლოგიური ხარჯის“ პირობების დაცვა სამწუხაროდ ვერ იქნება წარმოდგენილი, როგორც სამართლებრივი ვალდებულება.

აღნიშნულ საკითხში მონიტორინგის სვეტი არ ითვალისწინებს წყლის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, რაც ასევე სიმპტომატურია (თუმცა, შემოთავაზებულია კვლევების 3 წელი).

ასევე გაუგებარია, რა იგულისხმება „მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის მონიტორინგის“ ქვეშ, რადგან ხადორი-3-ის შემთხვევაში მდინარის ბუნებრივ ჩამონადენთან საქმე აღარ გვაქვს.

ზედაპირული წყლების დაბინძურების მონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ „ვიზუალურად“.

„ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილების“ ზემოქმედებისთვის ისევე შემოთავაზებულია „ფერების სათანადო შერჩევა“. აქაც გავიმეორებთ ისევე, რომ კომპანია "ფერი" ცნობილია სხვა პროექტებიდან რომ ვერ არჩევს კარგად ფერებს (ლარსის ჰესი, მაგალითად, ყვითლად შეღებილი და დაჟანგული).

ამავე ზემოქმედებისთვის შემოთავაზებულია „სათავეების ქვედა ბიეფში სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის გატარება“, რაც სავარაუდოდ ვერ შესრულდება, რადგან „ეკოლოგიური ხარჯი“ პროექტისთვის დოკუმენტში არ არის დადგენილი (იგივე ღონისძიება გამეორებული სტრიქონისთვის „ზემოქმედება სახეობათა ქცევაზე“ ეკოლოგიურ ხარჯთან მიმართებაში).

იქვე გაუგებარია, თუ რა იგულისხმება „ვიზუალური-ლანდშაფტური ცვლილების“ ზემოქმედებაში სახეობათა ქცევაზე?

სტრიქონში „ზემოქმედება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე“ შემარბილებელ ღონისძიებებში ასევე მოხსენიებულია "ეკოლოგიური ხარჯი", თუმცა როგორც აღინიშნა, „ეკოლოგიური ხარჯი“ ამ დოკუმენტში რეალურად არ არის დადგენილი. აღნიშნული დასტურდება თუნდაც იმით, რომ მონიტორინგის სვეტში არ არის მითითებული წყლის ხარჯის მონიტორინგი. (შენიშვნა: ამ სტრიქონში ვგულისხმობთ, რომ ცხრილის 241-ე გვერდის ბოლო სტრიქონი და 242-ე გვერდის პირველი სტრიქონი ერთ სტრიქონშია გაერთიანებული, თუმცა გაუგებარია, რატომ განიხილება ერთად „ზემოქმედება სახეობათა ქცევაზე“ და „ზემოქმედება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე“.)

ამავე სტრიქონში ექსპლუატაციის ეტაპისთვის 2 წელი წერია წყლის ბინადართა მონიტორინგის საქმიანობისთვის, ბოლო სვეტში კი 3 წელი. გაუგებარია, რომელია სწორი ამ მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის.

ერთერთ სტრიქონში ნარჩენების თემა შეცდომითაა გაერთიანებული დასაქმების თემასთან. ისედაც ძნელად წასაკითხი ცხრილი კიდევ უფრო ძნელად აღქმადი ხდება ამ თემების არევით. როგორც ჩანს, მითითებულია, რომ ნარჩენების მართვა ოპერირების ეტაპზე „მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის“. საინტერესოა, სახიფათო ნარჩენების განმკარგველი კონტრაქტორი უფასოდ მოემსახურება ინვესტორს?

რამდენადაც ნარჩენების მართვის გეგმა თან ერთვის დოკუმენტს, გაუგებარია, რაღა საჭიროა ქვეთავი 6.10 „ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება“ და იქ მოყვანილი შემარბილებელი ღონისძიებები.

	<p>შემარბილებელი ღონისძიებების ცხრილებთან დაკავშირებით ძირითადი დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ექსპლუატაციის ეტაპისთვის „ეკოლოგიური ხარჯის“ პარამეტრები არ არის დადგენილი, ზემოქმედება წყლის ხარჯის შემცირების გამო არ არის დაკავშირებული რაიმე შემარბილებელ ღონისძიებებთან, ხოლო განსაკუთრებით საგანგაშოა ამ ღონისძიებების არარსებობა იქთიოფაუნასთან მიმართებაში. აღნიშნული დოკუმენტის ყველაზე დიდი მინუსია და რეალურად ნიშნავს უხარისხოდ ჩატარებულ გზშ-ს, რამეთუ ყველასთვის ცნობილი ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების სახეობა ჰესების პროექტის შემთხვევაში გადაუჭრელი რჩება. აღნიშნულთან ერთად, მრავალი შეუსაბამობაა დაშვებული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმებში როგორც <i>მშენებლობის</i> (მაგ. შერბილების „საშუალო“ და არა „მაღალი“ ხარჯები გეოდინამიკური პროცესებისთვის, „წითელი ნუსხის“ სახეობების ამოსაღებად "სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის" სტატუსის უმართებულოდ მიანიჭება, კუმულაციური ზემოქმედებების იგნორირება და სხვა), ისე <i>ექსპლუატაციის</i> ეტაპზე (მაგ. ჰესის ხმაური, შემარბილებელი ღონისძიებების არარსებობა იქთიოფაუნისთვის და წყლის ხარჯის შემცირებისთვის, დაუდგენელი „ეკოლოგიური ხარჯი“, ვიზუალური ზემოქმედება და სხვა).</p>	
2	<p>კონსერვაცია – ფლორა და ფაუნა</p>	-1
	<p>ფლორის ქვეთავში 5.2.7.3.6 „საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები“ აღნიშნულია, რომ "საქართველოს წითელი ნუსხა არ არის სრულყოფილი, რომ ამჟამად მიმდინარეობს არსებული წითელი ნუსხის სახეობების შემდგომი მოდიფიცირება“ და რომ „საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების რეალური რიცხვი ბევრად უფრო გაიზარდება“. აქვე სწრაფად გაკეთებულია დასკვნა, რომ „საველე ბოტანიკური კვლევების ჩატარების შედეგად საპროექტო დერეფანში საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეთა არცერთი სახეობა არ დაფიქსირებულა“.</p> <p>მიუხედავად აღნიშნული დასკვნისა, როგორც უკვე იქნა ციტირებული ზემოთ, ავტორები „ყოველი შემთხვევისთვის“, ცხრილში 7.3.1 „მშენებლობის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“ შემარბილებელ ღონისძიებად მიუთითებენ შემდეგს: „დაცული სახეობების გარემოდან ამოღება მოხდება „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის, ვ) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით“.</p> <p>აღინიშნა ისიც, რომ ციტირებული კანონის აღნიშნული მუხლი „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება)“ უფლებას იძლევა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებობას მხოლოდ შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევებში: „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისას“. ამით ეს კერძო საინვესტიციო პროექტი „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ პროექტად არის გამოცხადებული და მიუხედავად იმისა, რომ წითელი წიგნის სახეობები ვერ იქნა მოძიებული საბაზისო კვლევებისას, ინვესტორს სრული თავისუფლება ეძლევა, თუკი ასეთი სახეობები აღმოჩნდება, ამოიღოს გარემოდან ყოველგვარი შეთანხმების, შემარბილებელი ან საკომპენსაციო ღონისძიების გარეშე. შესაბამისად, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ინვესტორი არც შეამოწმებს ტერიტორიებს ამგვარი სახეობების არსებობაზე.</p> <p>რაც შეეხება ცხოველთა დაცულ სახეობებს, ისინი მითითებულია მხოლოდ ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტის კონტექსტში ცხრილში 5.2.10.2.1 „საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველები“, იმის აღნიშვნით, რომ „იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობებიდან ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილია: კავკასიური ციყვი, მურა დათვი, წავი (Lutra lutra), ფოცხვერი და სხვ.“ და შემდეგ გრძელდება, რომ „ამ ტერიტორიებზე მოხინაღრე იშვიათ ფრინველებს წარმოადგენენ გლობალურად მნიშვნელოვანი სახეობები:</p>	

	<p>მთის არწივი (Aquila crysaetos), ფასკუნჯი (Neophron perncopterus), სვაჯი (Aegyptius monachus), ორბი (Gyps fulvus), ბუკიოტი (Aegolius funereus), ბუხრინწა (Aegolius funereus) და შავი ყარყატი (Ciconia nigra)“.</p> <p>აქ შემარბილებელი ღონისძიებები შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი ფრაზეოლოგიით: „ცხოველთა თავშესაფრების დაფიქსირების შემთხვევაში წერილობით ეცნობება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და შემდგომი ქმედებები განხორციელდება საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის და „ცხოველთა სამყაროს შესახებ““.</p> <p>დასკვნის სახით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ აქვს უფლება მიანიჭოს პროექტს „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ სტატუსი, ამდენად მას უნდა მოეთხოვა „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის, ვ) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) დასაშვებობის“ პუნქტის ამოღება გზმ-ის დოკუმენტიდან და აღნიშნულის არმოთხოვნა შეიცავს კანონდარღვევის ნიშნებს.</p>	
3	დაცული ტერიტორიები	-1
	<p>ქვეთავში 5.2.10 „დაცული ტერიტორიები“ და მრავალ სხვა ადგილას მითითებული მანძილი მილსადენიდან ბაწარას ნაკრძალის საზღვრამდე 100-120 მ, თუმცა იგნორირებულია ის ფაქტი, რომ გზა უშუალოდ დაცული ტერიტორიის კიდეზე გადის.</p> <p>ამავე ქვეთავში 1-ლ აბზაცი ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი 2003 წელს შეიქმნა, ხოლო 1 აბზაცით ქვემოთ ნათქვამია რომ ეს ნაკრძალი 1935 წლიდან არსებობს.</p> <p>რუკებზე 5.2.10.1. „უახლოესი დაცული ტერიტორიები“ ბაბანური არ არის ნაჩვენები იმდენად შორსაა, თუმცა აღწერილია, ხოლო თუშეთის დაცული ტერიტორიები, რომელთანაც ჰიდროლოგიური და სხვა კავშირები აშკარაა პროექტის ბიოგეოგრაფიულ რეგიონთან, საერთოდ არ არის აღწერილი. ამასთან, მდიდარი ბიომრავალფეროვნება დაცული ტერიტორიების სააგენტოს წყაროდან მოყვანილი აღწერილობით ფაქტიურად "არ დადასტურდა" სავლეთ კვლევების შედეგებით.</p> <p>ქვეთავში 5.3.6 „ტურიზმი“ არ არის მოხსენიებული თუშეთის დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმის ადგილობრივი პროდუქტის ხარისხზე ჰესების შესაძლო ზემოქმედების შესახებ.</p> <p>ცხრილში 6.7.1.1. „ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები“ „საშუალო“ ზემოქმედების კრიტერიუმად მოყვანილი მითითება „მოსალოდნელია მცირე ზემოქმედება ქვეყნის კანონმდებლობით/ საერთაშორისო კონვენციებით დაცულ ტერიტორიაზე, თუმცა ეკოსისტემა აღდგება 3 წლის განმავლობაში“ კატეგორიულად მიუღებელია, რამეთუ რაიმე სახის დამაზიანებელი ზემოქმედება დაცულ ტერიტორიაზე (რაც კანონდარღვევის ტოლფასია) მიუღებელია რომ ჩაითვალოს „საშუალო“ ზემოქმედებად.</p> <p>ქვეთავი 6.7.7 „ზურმუხტის ქსელის ბაწარას კანდიდატ უბანზე ზემოქმედების შეფასება“ საერთოდ არ განიხილებოდა თავდაპირველ დოკუმენტში და ჩამატებულია საბოლოო გზმ-ში. გაუგებარია თემების ნუმერაცია და თანმიმდევრობა. თუკი დაცული ჰაბიტატების თემა უკვე შეჯამებულია წინა ქვეთავის ცხრილში, რატომ იხსნება ცალკე პუნქტად ზურმუხტის ქსელი? უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ</p>	

	<p>ვიდრე დაცულ ტერიტორიებს? საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა არ არის ჩართული დოკუმენტში, მაგრამ ჩართულია ზურმუხტის ქსელის რუკა. არ ვაკნინებთ ამ საკონსერვაციო დეზიგნაციის მნიშვნელობას, მაგრამ გაურკვეველია საქართველოს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის დაკნინება, რომელიც დოკუმენტში ნაკლები გულმოდგინებით განიხილება.</p> <p>195-ე გვერდის 1-ლ აბზაცში მკაფიოდაა მითითებული, რომ სადაწნო მილსადენის მშენებლობა „დაახლოებით 2-3 თვის განმავლობაში გაგრძელდება, ხოლო ბაწარას უბნის სიახლოვეს გამავალი მონაკვეთის მშენებლობა 1.0-1.5 თვეზე მეტი“. ამავე დროს, იგივე ბაწარას ნაკრძალის უბნის სიახლოვეს (იხ. ქვემოთ) ნათქვამია, რომ სამუშაოების ხანგრძლიობა 1 კვირას არ აღემატება. დოკუმენტი ამ კრიტიკულ პარამეტრში ცდება მნიშვნელოვნად. ასევე არსად არ არის გათვალისწინებული გზაზე ტექნიკის და მანქანების ტრანსპორტირებით გამოწვეული ხმაური, რაც რეალურად 3ნ თვეს გაგრძელდება.</p> <p>ქვეთავში 6.7.7.4 „კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრები და და მახასიათებლები“ მრავალი მცირე ნიშანდობლივი უზუსტობა: ნაკრესის მითითებული ვებ-გვერდი http://adlab.ge/da2 ვებგვერდი არ იხსნება და იგი არც გავს არასამთავრობო ორგანიზაცია "ნაკრესის" ვებგვერდს, რომლის მისამართია http://nacres.org. საერთოდ არ არის განმარტებული რას წარმოადგენს „ნაკრესი“. სურათის ნომერი 6.7.7.4.1 არასწორადაა მითითებული (უნდა იყოს 6.7.7.4.1.1 ალბათ). გზმ-ს არ ერთვის „მონაცემთა სტანდარტული ფორმის“ დანართი 1.</p> <p>ზურმუხტის კანდიდატი საიტის ქვეთავი მთავრდება განცხადებით, რომ საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება შესაბამისი დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები. მსგავსი სურვილის მიუხედავად, ფაქტია, რომ ამ დოკუმენტში რაიმე შემარბილებელი ღონისძიება ზურმუხტის ქსელისათვის შემოთავაზებული არ არის. ამ პირობებში, გაურკვეველია რას ემსახურება ეს ვრცელი თავი, თუკი დაცული ტერიტორიებისთვის რაღაც შემარბილებელი მანძი არის დასახული, იმავე ტერიტორიაზე ზურმუხტს საიტის კონტექსტში კი სრულებით არაფერია შემოთავაზებული და ეს თავი მხოლოდ ნეგაციის მიზანს ემსახურება (ყველა სახეობა შეფასებულია ზემოქმედების მიღმა) და არა სამენეჯმენტო ქმედებების დასახვას.</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თევზის სახეობები და მათზე ზემოქმედებები საერთოდ არ განხილულა ზურმუხტის საიტის და ბერნის კონვენციის კონტექსტში, იმ დროს, როდესაც ყველაზე მეტი ზემოქმედება ჰქვს წყლის ბინადრებზე აქვს.</p> <p>განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არსად არ არის ნახსენები მდინარე ბაწარას იქთიოფაუნაზე და შესაბამისად ნაკრძალის წყლის ეკოსისტემაზე ზემოქმედება, გამომდინარე იქიდან, რომ იქთიოფაუნის შემცირება და რეალურად გაქრობა ალაზნის 4.5 კმ მონაკვეთზე ზემოქმედებას იქონიებს ამ მონაკვეთის ყველა სხვა შენაკადზე, განსაკუთრებით ბაწარას შენაკადის დაცულ ეკოსისტემაზე.</p> <p>ზემოქმედებების განსაზღვრა და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა პრაქტიკულად არ ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტის ფაქტორს, როგორებიცაა გზის ხმაურის ზემოქმედების იგნორირება, მილსადენის ბაწარას დაცულ ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობის ფაქტორი, ხმაურის ზემოქმედების ხანგრძლიობის გაურკვეველობა (კვირა თუ თვეები?), იქთიოფაუნაზე ზემოქმედებების უგულვებლყოფა.</p>	
4	მცენარეული საფარის აღდგენა	0

	<p>ქვეთავში 6.7.2.3 „შემარბილებელი ღონისძიებები“ აღნიშნულია, რომ „მცენარეული საფარის დაზიანებისგან დასაცავად მკაცრად განისაზღვრება სამშენებლო უბნების საზღვრები“, რაც იმას ადასტურებს, რომ ეს საზღვრები არ არის დადგენილი გზშ-ში, რაც მიუღებელია საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებაში. აღნიშნული თემა გაბნეულად და ლაკონურადაა განხილული ცხრილებში 6.7.6.1. „ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეჯამება“, 7.3.1 „მშენებლობის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“ და 7.3.2 „ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა“, ასევე მითითებული მონიტორინგის გეგმებში. ამასთან, მიდგომა წინააღმდეგობრივია: შემარბილებელ ღონისძიებად ზოგ ადგილას მოთხოვნილია გამოყენებული იქნას ადგილობრივი ჯიშების ხე მცენარეების, სხვაგან კი კულტურულ-დეკორატიული სახეობების დარგვა, რაც გარკვეულად წინააღმდეგობრივი მიდგომაა.</p> <p>დაუდგენელია სამშენებლო საქმიანობის კონტურები, შესაბამისად უცნობია მცენარეულ საფარზე ზემოქმედების და აღდგენის ფართობები.</p>	
5	<p>სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა</p>	-2
	<p>ცხრილში 6.11.3.1. „სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების შეჯამება“ განხილულია გარკვეული ზემოქმედებები, თუმცადა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების შერბილების საკითხები საერთოდ არ არის შეტანილი შემარბილებელ ღონისძიებების (ცხრილები 7.3.1 და 7.3.2) და ასევე მონიტორინგის (ცხრილები 8.1.1 და 8.1.2) გეგმებში, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე, ამდენად, დოკუმენტში რეალურად არაფერია ნათქვამი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენაზე.</p> <p>ამდენად განხილულია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებები, თუმცა შერბილების, შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის საკითხები საერთოდ არ არის შეტანილი შემარბილებელ ღონისძიებების და ასევე მონიტორინგის ცხრილებში.</p>	
6	<p>განსახლების პოლიტიკის ჩარჩო და / ან განსახლების სამოქმედო გეგმა</p>	na
	<p>დოკუმენტში განსახლების სამოქმედო გეგმაზე და/ან ჩარჩო პოლიტიკაზე საუბარი არ არის, ეს დოკუმენტები საერთოდ არც არიან ნახსენები. რადგან პროექტი არ ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან, არც არის მოთხოვნილი მსგავსი გეგმის ან ჩარჩო პოლიტიკის მომზადება, თუმცა მათი მომზადება საუკეთესო პრაქტიკა იქნებოდა. დოკუმენტში მიწის რესურსების განკარგვის საკითხები არ არის განსაზღვრული, თუმცა მოულოდნელი არ უნდა იყოს მსგავსი საკითხები დღის წესრიგში დამდგარი მოსახლეობის კუთვნილ ნაკვეთებთან მიმართებაში. მხოლოდ ცხრილში 6.11.3.1. „სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების შეჯამება“ არის ნახსენები ზემოქმედების სახედ „ზემოქმედება მეზობელი მიწის მესაკუთრეებზე - რაიმე ტიპის საქმიანობის განხორციელება მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გავლით, ან რაიმე ქონების დაზიანება“, ზემოქმედება აღიარებულია „შექცევადად“ და ზემოქმედება „დაბალი“, თუმცა საკითხი არ არის შეტანილი შემარბილებელ ღონისძიებების და ასევე მონიტორინგის გეგმებში, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე.</p> <p>ამდენად, პროექტს განსახლების სამოქმედო გეგმის ან ჩარჩო პოლიტიკის მომზადება არ ეხება და ეს არც განიხილება. თუმცადა, მიუხედავად იმისა, ზემოქმედება მეზობელი მიწის მესაკუთრეებზე და მათი ქონების დაზიანება აღიარებულია როგორც ზემოქმედება, საკითხი არ არის შეტანილი შემარბილებელ ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმებში არც მშენებლობის არც ექსპლუატაციის ეტაპებზე.</p>	
7	<p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმების / გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მართვის გეგმების ორგანიზაცია</p>	-1

	<p>ქვეთავში 7.2 „გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულების კონტროლის ინსტიტუციური მექანიზმები“ სამშენებლო კომპანიის საზედამხედველოდ მონიტორინგის პასუხისმგებლობით აღჭურვილია „ტექნიკური ზედამხედველი“, რაც არ ნიშნავს გარემოს დაცვის მენეჯერს. ამდენად დოკუმენტი არ ავალებს და ავალდებულებს დეველოპერს იყოლიოს „გარემოს დაცვის მენეჯერი“.</p> <p>აქვე გამოცხადებულია, რომ „მაკონტროლებელი ორგანოები შეიძლება იყოს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები“, თუმცადა, გაუგებარი რჩება, რა კავშირი აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ამ პროექტთან? ეს ფრაზა „გრინვოშინგს“ ემსახურება, რადგან დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები არ მონაწილეობენ პროექტის დაფინანსებასა და მონიტორინგში. (დასადგენია, ხადორი-2-ის მსგავსად, იხ. დანართი 2, მართლაც ხომ არ აფინანსებს ხადორ-3-საც გერმანიის KfW ბანკი?)</p> <p>აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ „მშენებელ კონტრაქტორის დაევალება მოამზადოს და დამკვეთს წარუდგინოს ძირითადი გარემოსდაცვითი დოკუმენტები და ჩანაწერები“. არადა დოკუმენტის შინაარსის მიხედვით მშენებელ კონტრაქტორს არ ეკისრება ვალდებულება იყოლიოს გარემოს დაცვის მენეჯერი. არც რაიმე ინსტიტუციური დიაგრამაა მოყვანილი იმის დასადასტურებლად, თუ როგორ იქნება გარემოს დაცვის მართვა განხორციელებული.</p> <p>ქვეთავის ბოლოს გამოცხადებულია, რომ „ოპერირების ეტაპზე გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების მაკონტროლებელი ძირითადი ორგანო იქნება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური“, რაც ისევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ოპერირების ეტაპზეც საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი მართვის ინსტიტუციური მოწყობა საერთოდ იგნორირებულია.</p> <p>ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს პროექტის მართვის ინსტიტუციური მექანიზმის სისუსტეს და არაადეკვატურობას გარემოსდაცვითი მართვის თვალსაზრისით.</p> <p>ამდენად, დოკუმენტი არ ავალებს და არ ავალდებულებს დეველოპერს და მის მშენებლებს იყოლიონ გარემოს დაცვის პერსონალი. არ არის შემუშავებული ელემენტარული ინსტიტუციური დიაგრამაა გზშ-ის და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოთხოვნების შესრულებაზე.</p>	
8	<p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმები – მონიტორინგი და შეფასება</p>	-1
	<p>მე-8 თავში „გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა“ ფრაზით „მშენებლობის ფაზაზე მშენებელი კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხს და გარემოსდაცვითი ნორმების შესრულების მდგომარეობას, ტექნიკური ზედამხედველის და კონტრაქტორების მეშვეობით გააკონტროლებს შპს „ალაზანი ენერჯი“ თავიდანვე დასტურდება, რომ გზშ-ის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგისთვის გარემოსდაცვითი პერსონალი ინსტიტუციურად გათვალისწინებული არ არის.</p> <p>ინსტრუმენტალური გაზომვები არ ჩანს მონიტორინგის გეგმაში გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (მაგ. გეგმის მიხედვით არ წარმოებს ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი).</p> <p>აქვე მითითებულია „ნარჩენების განთავსების ადგილების წერილობითი აღნიშვნები და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული ნარჩენების ტრანსპორტირების და დასაწყობების ნებართვები“. სამწუხაროდ აქ არ არის მითითებული ასრულებს თუ არა აღნიშნულს ნარჩენების მართვის სათანადო სპეციალიზებული კონტრაქტორი, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების განკარგვისას.</p>	

ცხრილში 8.1.1 „მონიტორინგის გეგმა-მშენებლობის ეტაპი“ ბოლო სვეტში მითითებულია მხოლოდ „ალაზანი ენერჯი“, ხოლო ინვესტორის მშენებელი კონტრაქტორი არ არის მითითებული არც როგორც შემარბილებელ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი, არც მონიტორინგზე.

ხმაურზე „კონტროლის/სინჯის ადების წერტილისთვის“ მითითებულია „სამშენებლო ბანაკი; სამშენებლო მოედნები (ძირითადად ძალური კვანძი)“. შესაბამისად, მშენებლობისას არ ხორციელდება ხმაურის მონიტორინგი ნაკრძალთან მიმართებაში.

ცალკე სტრიქონია მიძღვნილი საკითხისთვის „ზურმუხტის ქსელის კანდიდატ ბაწარას უბანზე მობინადრე სახეობებზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შესრულების კონტროლი“, რაც სასურველია, მაგრამ როგორც, ჩანს ავტორები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ზურმუხტის ქსელის დღეის მდგომარეობით არაოფიციალურ დეზიგნაციას, ვიდრე საქართველოს დაცული ტერიტორიების დეზიგნაციას, რადგან მსგავსი მიდგომა არ არის გაწერილი დაცული ტერიტორიებისთვის.

რაც შეეხება ცხრილს 8.1.2 „მონიტორინგის გეგმა ექსპლუატაციის ფაზა“, შემაშფოთებელია, რომ წყლის ხარჯი მდინარეში არ კონტროლდება, ცხრილში არსად არ არის ნახსენები „ეკოლოგიური ხარჯი“, თუმცა და ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან დოკუმენტი არ განიხილავს ამ საკითხს, რასაც ადასტურებს ეს მონიტორინგის გეგმა.

წყლის ხარჯი ალაზანში არ ექვემდებარება მონიტორინგს არც ზოგადად და არც წყლის ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებაში, როგორც ეს ცხადი ხდება ნაწილში „ბიოლოგიური გარემო“.

„წყლის ბიომრავალფეროვნებასთან“ მიმართებაში ისევ „საუბარია საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა“-ზე , თუმცადა ეს ღონისძიებები ვერ იქნება დამატებითი, ვინაიდან არანაირი შემარბილებელი ღონისძიებები ამ საკითხთან დაკავშირებით დოკუმენტში შემოთავაზებული არ არის.

ექსპლუატაციის ეტაპისთვისაც ზურმუხტის ქსელს უპირატესობა აქვს მინიჭებული დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში, რადგან იგი ცალკე სტრიქონში განიხილება, დაცული ტერიტორიები კი არა. ალბათ „ნაკრესი“ უფრო მეტად იყო შემფოთებული გზშ-ის ხარისხთან მიმართებაში, ვიდრე დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომელსაც სამწუხაროდ არანაირი შენიშვნა არ გააჩნია დოკუმენტის მიმართ და ავტორებმა, სავარაუდოდ, მეტი ყურადღება დაუთმეს „ნაკრესის“ თემატიკას.

მონიტორინგს „ექვემდებარება“ „სოფლის სარწყავი არხში წყლის კონტროლი“, მაგრამ მიზანს „წყლის ხარჯის შენარჩუნება“ არ ახლავს არანაირი რაოდენობრივი მაჩვენებლები, რაც მონიტორინგის წარმოებას რეალურ შინაარსს მოკლებულს ტოვებს.

დასკვნის სახით, მონიტორინგის გეგმა შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მსგავსი ხარვეზებით ხასიათდება. მნიშვნელოვანი პარამეტრებისთვის არ არის განსაზღვრული ინსტრუმენტალური გაზომვები მშენებლობის და ექსპლუატაცია ეტაპებზე (მაგ. მშენებლობის და ტრანსპორტის ხმაური ნაკრძალთან მიმართებაში და ჰესის საექსპლუატაციო ხმაური მოსახლეობასთან მიმართებაში). როგორც ჩანს, არ დაექვემდებარება მონიტორინგს „ეკოლოგიური ხარჯი“ (სათანადო ცხრილში არ არის მოთხოვნილი ხარჯის გაზომვა არც ჰიდროლოგიის და არც წყლის ბიოლოგიური გარემოს კონტექსტში).

9	გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ეკონომიკური და ფინანსური შეფასება	-1
<p>დოკუმენტის 225-ე გვერდზე გაცხადებულია: „შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარებისთვის საჭირო ხარჯების შეფასება. (ხარჯების შეფასება მოხდა მიახლოებით, 3 ბალიანი კლასიფიკაციის მიხედვით: „დაბალი“ - <25000\$; „საშუალო“ - 25000-100000\$; „მაღალი“ - >100000\$)“.</p> <p>მსგავსი მიდგომა მიუღებელია. საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს რაოდენობრივ მიახლოებით მაჩვენებლების დადგენას და ამით დეველოპერის ინფორმირებას გარემოსდაცვითი შემარბილებელი და სხვა ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო ხარჯების თაობაზე. რანჟირების შკალის მეთოდით ინვესტორს ვერ ეცოდინება, თუ კონკრეტულად რა ეღირება გარემოსდაცვითი და სხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. მსგავსი ფინანსური შეფასება ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად შესრულებულად.</p> <p>დასკვნა: გზშ-ში არ არის რაოდენობრივად შესრულებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმების ფინანსურ-ეკონომიკური შეფასება, ხოლო რანჟირებით შეფასებები რამდენიმე მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებისათვის აშკარად არარელევანტურია (მაგ. გეოტექნიკური).</p>		
III	გამჭოლი თემები	
1	პროექტის ზემოქმედების ზონა	-1
<p>დოკუმენტში არ არის მკაფიოდ შემოსაზღვრული დაგეგმილი საქმიანობის კონტურები, მხოლოდ ტექსტური აღწერილობებით და არადეტალური რუკებითაა სამშენებლო პროცესი განსაზღვრული, მკაფიო სივრცული საზღვრების რუკაზე დატანის გარეშე. არ არის დადგენილი არეალები, სადაც გარემოსდაცვითი ზემოქმედებების დადგენა განსაზღვრული და არ არის ასევე ნაჩვენები ფართო ბიო-გეოგრაფიული ზონა, რომელზეც შესაძლოა გავლენას ახდენდეს პროექტი ან რომელიც მოქმედებს პროექტის განხორციელების პირობებზე.</p> <p>ამდენად, დაკონკრეტებული არ არის პროექტის საქმიანობის, არც გარემოზე ზემოქმედების, არც ბიოგეოგრაფიული არეალის საზღვრები.</p>		
2	გზშ-ის მეთოდოლოგია	-1
<p>მეთოდოლოგიურ ქვეთავში 6.1.1 „ზემოქმედების რეცეპტორები და მათი მგრძობიარობა“ არ არის ნაჩვენები რის საფუძველზე დადგინდა ჩამოთვლილი რეცეპტორები (ანუ რეცეპტორების განსაზღვრისას არ არის კავშირი საბაზისო კვლევების შედეგებთან).</p> <p>აქვე რეცეპტორების ჩამონათვალში დასახელებულია „ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე“, მაგრამ წყლის ბიოლოგიური გარემო (უაღრესად მნიშვნელოვანი ჰესების პროექტებისთვის) სპეციფიკურად არ არის განხილული ამ ჩამონათვალში.</p> <p>ქვეთავში 6.1.2 „ზემოქმედების შეფასება“ არ არის ჰესებისთვის მნიშვნელოვანი ზემოქმედების ისეთი სახეობები, როგორებიცაა კუმულაციური და ინდუცირებული ზემოქმედებები (ამ სახის ზემოქმედებები მეთოდოლოგიაში საერთოდ ნახსენებიც არ არის).</p> <p>აქვე განსაზღვრულია რომ შეფასდება „ზემოქმედების არეალების“ მიმართ (ნახსენებია სამუშაო „უბანი, არეალი, რეგიონი“), მაგრამ როგორც აღინიშნა წინა პუნქტში, ამ არეალების საზღვრები მკაფიოდ დოკუმენტში არსად არის შემოსაზღვრული, არც ამის სივრცული გამოსახვაა</p>		

	<p>სადმე მოყვანილი.</p> <p>კუმულაციური ზემოქმედების კონტექსტში განსაკუთრებული განხილვის საკითხია კასკადის თემა. პროექტის დასახელებაში არ გვხვდება სიტყვა კასკადი, თუმცა ტექსტში ხადორი-3-ის პროექტი ხშირად მოიხსენიება როგორც ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის კასკადი. თუკი პროექტი კასკადია, იგი ერთიან გზშ-ში უნდა განხილულიყო როგორც კასკადი. მაგრამ დეველოპერი ცდილობდა საზოგადოების არასაკმარის ინფორმირებას, როდესაც კასკადი არ დასახელებულა ხადორი-1-ის გზშ-ში და პირველად მხოლოდ ხადორი-3-ს გზშ-ში იქნა გაქვრებული. ნუთუ დეველოპერმა არ იცოდა კასკადის 1-ლი ჰესის გაშენებისას, რომ საბოლოოდ კასკადთან გვექნებოდა საქმე? ეს ან არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს, ან ინფორმაციის დაფარვაზე შემდგომ გეგმებთან დაკავშირებით, რათა ერთიან გზშ-ში არ ყოფილიყო ყველა ჰესი განხილული. ამასთან, დოკუმენტი სამყურისწყალის კასკადს ცალკე განიხილავს ხადორის კასკადისგან. გაცილებით უკეთესი იქნებოდა ინვესტორს პროექტისთვის ალაზნის კასკადი ეწოდებინა თავიდანვე, მაგრამ როგორც ჩანს მცირე შენაკადების სახელები შეგნებულად იყო თავიდანვე მოფიქრებული, ან უბრალოდ მშენებლობის პროცესში „აღმოაჩნდა“ რომ კასკად(ებ)თან გვაქვს საქმე. არც არის, შესაბამისად, გასაკვირი კუმულაციური ზემოქმედების უხარისხოდ შესრულება განსახილველ დოკუმენტში - აღნიშნულის საუკეთესო ინდიკატორია ინდივიდუალურად აშენებული ჰესების „გაკასკადება“.</p> <p>ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია მთელი რიგი ხარვეზით ხასიათდება, მაგრამ განსაკუთრებით პრობლემას წარმოადგენს პროექტის განხილვა როგორც ინდივიდუალური საქმიანობისა, როდესაც რეალურად საქმე გვაქვს ჰესების კასკადთან მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედებებით, მათ შორის განსაკუთრებით ეკოლოგიური ხარჯთან და იქთიოფაუნაზე ზემოქმედებებთან მიმართებაში.</p>	
3	<p>ელექტროგადამცემი ხაზები</p>	-2
	<p>სხვაგანაც აღინიშნა, რომ არცერთ სქემაზე დატანილი არ არის ხადორი-1 ჰესის 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც სავარაუდოდ ყველა არსებული და დაგეგმილი სქემისთვის იქნება გამოყენებული. ელექტროგადამცემი ხაზების კუმულაციური ზემოქმედების საკითხი განხილული არ არის, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზშ-ის შემთხვევაში, განსაკუთრებით კასკადისთვის.</p>	
4	<p>გზები</p>	-1
	<p>ქვეთავში 3.3.2 „მისასვლელი გზები“ ნათქვამია რომ „გამ-ოყენებული იქნება „ხადორი-1“ და „ხადორი-2“ ჰესებთან მისასვლელი არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოხრეშილი გზა.“ გაუგებარია, რა საჭიროა ხადორი-1-ის მითითება, სადაც სამუშაოები არ იწარმოებს. საერთოდ, სად მდებარეობს ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის ინფრასტრუქტურა, ამის მაჩვენებელი სქემები დოკუმენტში საერთოდ მოცემული არ არის.</p> <p>იქვე ნათქვამია, რომ საპროექტო ჰესის „მშენებლობის და ექსპლუატაციისთვის ახალი გზის მოწყობა არ იგეგმება. მხოლოდ, სადამნო მილსადენის მოწყობისა და შემდგომი ექსპლუატაციისათვის გათვალისწინებულია 1.9 კმ სიგრძის არსებული გზის მოხრეშვა.“ ანუ იქვე დასტურდება, რომ გზის მოწყობა იგეგმება მაინც. მსგავსი განცხადებები მიუთითებს გზშ-ის ავტორების ტენდენციას დაკნინებული ფორმით წარმოადგინონ მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორებიცაა, მაგალითად, მისადგომი გზები, რომელთაც მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება გააჩნიათ ჰესების შემთხვევაში.</p> <p>ზურმუხტის ქსელის ქვეთავში 6.7.7.8 „სკრინინგის შედეგები“ ავტორები ხაზს უსვამენ, რომ პროექტის ტექნიკის გადაადგილებასთან ერთად „გაზა ასევე ინტენსიურად გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ“, თუმცა დუმან იმაზე, რომ მოსახლეობის მიერ გზის</p>	

	<p>"ინტენსიურად" გამოყენება გაცილებით ნაკლები ზემოქმედების მქონეა, ვიდრე მძიმე ტექნიკის გადაადგილება 3 წლის განმავლობაში. ამ საკითხის დაკნინება იმას ემსახურება, რომ ტექნიკის ტრანსპორტი და გადაადგილება არ იქნას განხილული მნიშვნელოვან ზემოქმედებად.</p> <p>აქვე მოყვანილი შეფასება „კანდიდატი ზურმუხტის უბნის ისეთ მახასიათებლებზე, რომლებიც მისი ნომინაციის საფუძველი გახდა, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. ამის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია დაცილება (რაც ზემოთაც იქნა აღნიშნული), რადგანაც ხადორი 3 ჰესის საპროექტო დერეფანი და მოქმედი ჰესების გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორიები მთლიანად ბაქარას კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებს გარეთაა მოქცეული“ არ შეესაბამება რეალობას მშენებლობის ეტაპზე, რადგან თვითონ დოკუმენტი აღიარებს, რომ ხმაური 1.0 და 1.5 კმ მანძილზე ვრცელდება.</p> <p>მისასვლელი გზებით ინდუცირებული, კუმულაციური და სხვა ზემოქმედებები (მაგ. ხმაურის ზემოქმედება ნაკრძალზე) განხილული არ არის სათანადოდ, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზმ-ის შემთხვევაში, განსაკუთრებით კასკადისთვის.</p>	
5	<p>კუმულაციური ზემოქმედებები</p> <p>ალაზნიდან წყალაღება არ ხდება და აღწერილია რომ ხადორი-3 ჰესი იმუშავებს ხადორი 2 ჰესის ნამუშევარ წყალზე. ტექნიკურად ეს ნიშნავს ხადორი-2-ის დერივაციის გაგრძელებას, და არა ახალ ჰესს. ზემოქმედებები რეალურად გაიზარდა ამის შედეგად. ეს თემა არ არის განხილული ხადორი-2-ის გზმ-ში როგორც კუმულაციური ეფექტი, რადგან ხადორი-2-ის გზმ არც დამტკიცებულა. ამასთან, ამ დოკუმენტში არ არის განხილული, ხომ არ შემცირდა ამით ჯამური სიმძლავრე და გაიზარდა ზემოქმედებების დონე (მაგ. აღარ იქნებოდა ხადორი-2-ის ჰესის ძალური კვანძის მშენებლობა საჭირო და შემცირდებოდა შესაბამისი ზემოქმედებები, პროექტიც უფრო ხარჯ-ეფექტური გახდებოდა). არ არის განხილული, იგივე ხომ არ მოგველის ხადორი-3-ის შემთხვევაში, ანუ გაგრძელდება თუ არა კასკადი ხადორი-4-ით და ა. შ., ამასთან, არ არის ნახსენები, რომ გვაქვს რეალურად ხადორის კასკადი და არა ცალკეული ჰესები. იგივე ეხება ახლად დაგეგმილ სამხურისწყალ-2-ს (I და II „საფეხურები“), რაც რეალურად ერთიანი კასკადის ნაწილია, ხადორის კასკადთან ერთად.</p> <p>ქვეთავში 3.3.3 „სამშენებლო ბანაკი“ ნათქვამია, რომ „ხადორი 3“ ჰესის სამუშაოების უზრუნველყოფისათვის სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია ტერიტორიაზე, რომელიც თავის დროზე გამოყენებული იყო ხადორი 1 და ხადორის 2 ჰესების მშენებლობისათვის და „მასზე დღემდეა შემორჩენილი ძველი ინფრასტრუქტურის ზოგიერთი შენობა ნაგებობა“. ამასთან, არ არის განმარტებული, რატომ არის შემორჩენილი ეს ნაგებობები? არ იყო მათი დემონტაჟი გათვალისწინებული ხადორი-1-ის გზმ-ში? სავარაუდოდ, როგორც ჩანს, უკვე იგეგმებოდა ხადორი-2, ასევე ხადორი-3 და ბანაკის ნაგებობების დემონტაჟი შეგნებულად არ განხორციელებულა. ამ კონტექსტში წინამდებარე დოკუმენტი ასევე არ განიხილავს კუმულაციურ ზემოქმედებებში, იგეგმება თუ არა რომელიმე დამატებითი ხადორი-„N“-ის მშენებლობა კასკადის გასაგრძელებლად. აღნიშნული საკითხის დადგენის და მასზე მკაფიო პასუხის გაცემის გარეშე კუმულაციური ზემოქმედების ანალიზი სრულფასოვნად და ხარისხიანად ვერ ჩაითვლება.</p> <p>ნახაზზე 3.3.3.2. „სამშენებლო ბანაკის გეგმა“ კარგად ჩანს სამშენებლო ბანაკის და სხვა დაკავშირებული ობიექტების კუმულაციური ზემოქმედების მასშტაბი, როდესაც არ ხორციელდება მათი დემონტაჟი შემდეგი პროექტის „მოლოდინში“.</p> <p>არცერთ სქემაზე დატანილი არ არის ხადორი-1 ჰესის 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც სავარაუდოდ ყველა არსებული და დაგეგმილი სქემისათვის იქნება გამოყენებული. ამასთან, ელექტროგადამცემი ხაზების კუმულაციური ზემოქმედების საკითხი განხილული არ არის, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზმ-ებისთვის.</p>	-2

ქვეთავის 6.13 „კუმულაციური ზემოქმედება“ დასაწყისშივე გაცხადებულია, რომ „ხეობაში განთვსებულია „ხადორი 1 და 2“ ჰესები, რომლებიც ექსპლუატაციაშია“, თუმცა, ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის გზშ-ში არის საუბარი ხადორი-3-ზე? თუმცა როგორ იქნება, ხადორი-2 გზშ-გან გათავისუფლებულია და მისი გზშ, თუკი არსებობდა, არ დამტკიცებულა სამინისტროს მიერ და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გზშ-ის გარეშე იქნა გაცემული.

ამ ქვეთავში მშენებლობის ფაზის განხილვისას ქვეპუნქტებში „ზემოქმედება მდ. ალაზანზე წყლის ხარისხზე“ და „ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე“ კუმულაციური ეფექტები განხილული რეალურად არ არის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნათქვამია, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში „მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორიებზე ადგილი ექნება მცენარეული საფარის განადგურებას, ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას, ჰაბიტატების განადგურებას“, თუმცა აღნიშნული არ დასტურდება მთლიანად დოკუმენტში, სადაც ყველგან საუბარია, რომ აღნიშნულ ძლიერ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ამდენად გაუგებარი რჩება, თუ საიდან გაჩნდა ძლიერი ზემოქმედება კუმულაციურ კონტექსტში.

აქვე „სოციალურ ეკონომიკური გარემო“-ს შემთხვევაში ენთუზიაზმით არის საუბარი დადებით კუმულაციურ ზემოქმედებებზე.

დამატებითი განხილვის საგანია კუმულაციური ზემოქმედებების განხილვა „ექსპლუატაციის ფაზაში“. მსჯელობისას სათაურით „ზემოქმედება ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და წყლის ხარისხზე“ საუბარია ხადორი-1-ის, ხადორი-2-ის და ხადორის 3-ის კაშხლებზე, მაგრამ გაუგებარი რჩება როდინდელ აშენებულ და რომელ კაშხლებზეა საუბარი. ხან მხოლოდ რიცხვშია საუბარი ხან მრავლობითში, მაგრამ მკაფიოდ აღწერილი არაა, თუ რომელი კაშხალი იგულისხმება. ამასთან, არც ამ ქვეთავში და არსად დოკუმენტში არ არის მოყვანილი მკაფიო ნახაზი/დიაგრამა, რომელიც გვიჩვენებდა, თუ მდინარეების რომელი მონაკვეთები იქნება შემცირებული დებიტით.

აქვე კასკადზე მსჯელობისას ნათქვამია, რომ „ხადორი 2 ჰესი სათაო გეზობის ქვევით მდ. ალაზანის შენაკადების დებეთი ხელუხლებელი რჩება, რაც კიდევ უფრო მოუმატებს მდინარის კალაპოტში მდინარის სველ პერიმეტრს“. ამ უმნიშვნელოვანესი ზემოქმედების ასეთ პოზიტიურ კონტექსტში დასრულება მიუთითებს კონსულტანტის მიკერძოებულობაზე. საგულისხმოა, ასევე, რომ მთელი გზშ-ის შინაარსისთვის მნიშვნელოვან ამ ერთ წინადადებაში მართლწერის სამი კურიოზული შეცდომაა დაშვებული. დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გასწორებული გრამატიკულადაც კი არ არის. ნუთუ არავინ გადაიკითხა ეს მნიშვნელოვანი აბზაცი? თანაც არსად არ არის ნახსენები კუმულაციურად რა სიგრძეზე ხდება ხარჯის დარეგულირება, რაც ძნელი დასაჯამებელი არ უნდა იყოს ავტორებისთვის. ამას მკითხველიც ადვილად დათვლიდა, მოყვანილი რომ იყოს საკმარისი ინფორმაცია ხადორის-1-ის და ხადორი-2-ის შესახებ.

„ზემოქმედება ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და წყლის ხარისხზე“ (სხვათა შორის, ამ პუნქტში წყლის ხარისხი საერთოდ არ განიხილება, იხ. შემდეგი პუნქტი) სრულდება მტკიცებულებით, რომ „კაშხლების ექსპლუატაცია მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს მყარი ნატანის ტრანსპორტირების პირობებზე, რადგან დაგეგმილია დაბალზღურბლიანი კაშხლების მოწყობა და მყარი ნატანი სრული მოცულობით იქნება გატარებული ქვედა ბიფის მიმართულებით, ხოლო ხადორი 3 ჰესის სათაო ნაგებობა მდინარის კალაპოტში არ შენდება“. ავტორები არსად არ განიხილავენ იმ ფაქტს, რომ სამაგიეროდ მცირდება მდინარის ხარჯი და შემცირებული ხარჯის გამო მდინარე სავარაუდოდ ვეღარ გადაიტანს სედიმენტების იმ ნაკადს, რაც მანამდე გადაჰქონდა.

	<p>შემდეგი ქვეპუნქტი, როგორც უკვე აღინიშნა, განმეორებითაა დასათაურებული როგორც „ზემოქმედება წყლის ხარისხზე“, მაგრამ არც ამ ქვეპუნქტში არის ჩატარებული კუმულაციური ანალიზი, ისევე როგორც შემდეგ ქვეპუნქტებში „ზემოქმედება ადგილობრივ და რეგიონულ კლიმატზე“ და სამწუხაროდ ასევე არც უაღრესად მნიშვნელოვან ქვეპუნქტში „ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე“.</p> <p>ქვეთავში 6.14 „ნარჩენი ზემოქმედება“ დადასტურებულია „მდინარის ჩამონადენის შემცირება“, თუმცა არ არის მოყვანილი შემცირებული ჩამონადენის მქონე მდინარის მონაკვეთის სიგრძის ჯამური ზრდა, მითუმეტეს რაოდენობრივი მაჩვენებლები, თუნდაც დარეგულირებული მონაკვეთების ჯამური სიგრძე ხადორის კასკადის ჰესების შემთხვევაში.</p> <p>ქვეთავის ბოლოს „დადასტურებულია“, რომ „ნარჩენი ზემოქმედებების მასშტაბები არ იქნება განსაკუთრებით მაღალი და ნაკლებად მოსალოდნელია გარემოს ცალკეული ობიექტების შეუქცევადი ცვლილება“. მსგავსი დასკვნა განცხადებულია იმ პირობებში, როდესაც უმარტივესი რაოდენობრივი ანალიზიც კი არ სრულდება, რითაც თვალსაჩინო გახდებოდა, რომ ნარჩენი ზემოქმედება მაღალი იქნებოდა ან ძალიან მაღალიც კი, რაც სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელი ჰქნის პროექტისთვის. დოკუმენტის აღნიშნული დასკვნა არ არის არც სანდო და არც მართებული.</p> <p>კუმულაციური ზემოქმედებები (განსაკუთრებით ალაზნის ხარჯსა და წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე ზემოქმედება, მისადგომი გზების და ელექტროგადამცემი ხაზების ზემოქმედებები) სუსტადაა შეფასებული და შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისად, ან არ არის დასახული, ან არასაკმარისია, იმ პირობებში, როდესაც კუმულაციური ზემოქმედებები უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მცირე და საშუალო ჰესების გზშ-ის შემთხვევაში, განსაკუთრებით კასკადისთვის, რომლის აღწერაც კი არ არის სრულყოფილად და სრულად წარმოდგენილი.</p>	
6	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები	na
	სავარაუდოდ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას ადგილი არ აქვს, მაგრამ დოკუმენტში აღნიშნული საკითხი განხილული არ არის.	
7	ეკოსისტემური სერვისები	-2
	დოკუმენტში აღნიშნული მიდგომები გამოყენებული არ არის.	
8	კავშირი სხვადასხვა ანგარიშებს და გეგმებს შორის	-1
	<p>დანართში 2. „ხადორი 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების მართვის გეგმა“ არანაირ კონკრეტულს არ შეიცავს, ხოლო გენერირებული ნარჩენების მოსალოდნელი მოცულობები, მცირე გამოწვევის გარდა, არარეალისტურად დაბალ რაოდენობებზე არის შეფასებული, იხ. ცხრილი 14.2.5.1. „მოსალოდნელი ნარჩენების სახეები და მიახლოებითი რაოდენობები“.</p> <p>ამავე ცხრილში ისეთ მნიშვნელოვან ნარჩენს, როგორცაა ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული გრუნტი, ავტორები ვერ აფასებენ, ხოლო მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი გრუნტი შეფასებულია როგორც 8-10 ათასი მ3 და 2-5 ათასი მ3 2017-2018 და 2018-2019 პერიოდში, ხოლო 2019-2020 პერიოდში ნულის ტოლია. ამასთან ტექსტში მითითებულია 20,000 მ3, ამდენად გეგმაში ჯამური მოცულობა შემცირებულად არის წარმოდგენილი. აღნიშნული გეგმა, სხვათა შორის, 3 წელზეა გაწერილი, რაც კიდევ ერთხელ ქმნის გაუგებრობას იმის თაობაზე, პროექტის სამშენებლო სამუშაოები 36 თვეს გრძელდება თუ 18 თვეს.</p> <p>სხვა შენიშვნები ნარჩენების მართვის გეგმის მიმართ შემდეგია:</p>	

ნარჩენების გატანის დოკუმენტაცია (ე. წ. waste transfer note-ი) 296-ე გვერდზე მოთხოვნილია მხოლოდ სახიფათო ნარჩენებისთვის, თუმცა აღნიშნული არასახიფათო ნარჩენებისთვისაც უნდა იყოს სავალდებულო, მითუმეტეს, რომ 299-ე გვერდზე სათანადო ფორმა აშკარად ამ სახის ნარჩენებისთვისაც არის მოყვანილი.

გეგმის 303-ე გვერდზე ნებადართულია „მშენებლობის პარალელურად ფუნდამენტური კვლევების (მათ შორის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, ჰიდროლოგიური კვლევები და სხვ.) ჩატარება“. ჩვენი შეხედულებით მსგავსი მნიშვნელოვანი კვლევების „მშენებლობის პარალელურად“ წარმოება მიუღებელი უნდა იყოს.

„სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციული ღონისძიებების“ ქვეპუნქტის შემდეგ ჩამონათვალში უამრავი არასატრანსპორტო ხასიათის ქმედებაა მითითებული 304-ე და 305-ე გვერდებზე. როგორც ჩანს, ავტორებმა უბრალოდ ერთად შეკრიბეს სტანდარტული ფრაზები, მაგრამ ეს ნაწილები არცერთი არ არის სპეციფიკური პროექტის და ხშირად შინაარსით არც შეესაბამება ამ ქვეპუნქტს.

ცხრილში 14.4.3.1. „ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით“ II დონედ განიხილება საშიში ნივთიერებების დაღვრა 0,3 ტ-დან 200 ტ-მდე. მიუღებელია 200 ტონა იყოს ჩაღვრის ზედა ზღვარი რეაგირების ამ დონისთვის, მითუმეტეს რომ ხადორი-3-ის წყალსაგდების ქვემოთ კალაპოტშია განთავსებული ბირკიანის და დუისის სასმელი წყლის ფილტრატები (რასაც დოკუმენტი არც იხილავს, იხ დაწართი 2).

200 ტონაზე გაცილებით უფრო მცირე მოცულობის ნავთობპროდუქტების (ტურბინების და ტრანსფორმატორების ზეთების) და სხვა სახიფათო ნივთიერებების ავარიული ჩაღვრაც ამ ორი დიდი დასახლებული პუნქტის წყალმომარაგების ძირითად წყაროს სავარაუდოდ სამუდამოდ გამოუსადეგარს გახდის, მითუმეტეს, რომ საქმე გვევლინება არა უკვე ორ არსებულ ჰესთან, არამედ სამი ჰესის კასკადთან. ამასთან, ხადორი-3-ის ტურბინებიდან და ქვესადგურიდან ზეთების დაღვრის ავარიაზე რეაგირება პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია, რადგან ორივე ეს ობიექტი და ჰესის წყალსაშვები კალაპოტში სასმელი წყალმომარაგების ჭების უშუალოდ წყალაღმა მდებარეობს.

ქვეთავში 14.3.5.1 „ჰიდროდინამიკურ ავარიაზე რეაგირება“ „ოპერატორი ან ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგული სამსახურის უფროსი“ არის დავალდებულებული „მოახდინოს მოსახლეობის შეტყობინება მოსალოდნელი სტიქიური უბედურების შესახებ“. ჩვენი შეხედულებით ოპერატორი ან ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგული სამსახურის უფროსი ვერ მოახდენს კვალიფიციურ კომუნიკაციას მოსახლეობასთან. აღნიშნული დადასტურებულია 310-ე გვერდზე, სადაც ჰესის უფროსის ფუნქციაა „გადასცეს ინფორმაცია მოსახლეობას“.

გაურკვეველია, ასევე, რამდენად მისაღებია და შესაძლებელი „მდინარის ზედაპირზე შეგროვებული ნავთობპროდუქტების ამოღება მოხდეს საასენიზაციო მანქანებით“. აღნიშნულის შემოქმედება ბირკიანის და დუისის წყალმომარაგების წყაროებზე ნახსენებიც კი არ არის.

ნუმერაცია დარღვეულია დაწართი 2-ის და დაწართი 3-ის შემთხვევაში, ორივეს მიუყვება მე-14 თავის ნუმერაცია.

მე-14 თავის ნუმერაციით გრძელდება ასევე ცხრილების სერია 14.4.1 „ჭაბურღილების და შურფების ლითოლოგიური სვეტები“, მითუმეტეს, რომ ჭაბურღილების მონაცემებს თითქმის არანაირი შეხება არ აქვს გზშ-თან და თუკი რაიმეს შეტყობინება უნდოდათ გზშ-ში ამ ცხრილების მეშვეობით ავტორებს, სათანადო საკითხების რეზიუმეს გაკეთება უმჯობესი იქნებოდა.

იგივე შეეხება ისევ მე-14-ე თავის ცხრილს 14.5.1 „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის პროგრამული ამონაბეჭდი“, მითუმეტეს, რომ ამ პროექტისთვის გაფრქვევების მოდელირებას ხმაურის მოდელირება აჯობებდა, რომ გაგვეგო ეკოსისტემებზე ზემოქმედება ჰესის მშენებლობისას და მოსახლეობაზე ზეწოლის დონე ჰესის ექსპლუატაციისას. გაფრქვევებს ვიზუალური მასალაც არ ერთვის, შესაბამისად, მოყვანილი ცხრილური მონაცემები მკითხველისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს.

რატომღაც დანართში 7-ია მოყვანილი „საპროექტო დერეფანში 2017 წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული ორნითოლოგიური კვლევის შედეგები“ და არა ძირითად ტექსტში, სადაც საბაზისო მონაცემები უნდა იყოს მოყვანილი. ამ შემთხვევაშიც ვერ ვიგებთ მონაცემების ავტორის, შესახებ, მითუმეტეს რომ აუცილებელია ვიცოდეთ, რომელი ექსპერტის მოსაზრებაა მოყვანილი 380-ე გვერდზე „სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების და სავლელ სამუშაოებისას შეგროვებული მონაცემების მიხედვით ხადორი ჰესის მიმდებარე ტერიტორია ნაკლებად მნიშვნელოვანია ფრინველების კუთხით“.

ამავე ავტორის გაცხადებულია, ასევე, რომ „თავად საკვლევი ტერიტორია არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სამიგრაციო მარშრუტს, ე.წ. 'ვიწრო ყელს', შესაჩერებელ, შესასვენებელ ან გამოსაზამთრებელ ადგილს (სურ.14.7.1.1.)“, თუმცაღა როგორც ამ რუკაზე ჩანს, ერთერთი სამიგრაციო მარშრუტი საკმაოდ ახლოს მდებარეობს პანკისის ხეობის მიმართ.

სურათზე 14.7.1.2. „ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ბაწარას უბის და საპროექტო ტერიტორიის ურთიერთ განლაგების სქემა“ დაცული ტერიტორიებია გამოსახული და არა ზურმუხტის საიტები, ყოველ შემთხვევაში წარწერას თუ ვენდობით რუკებზე. გაუგებრობას ქმნის ასევე ფრაზა „საპროექტო ტერიტორია დაცული ტერიტორიების საზღვრებში არ ხვდება, მაგრამ სადაწნეო მილსადენს ერთ მონაკვეთში დაახლოებით 100-120 მეტრით უახლოვდება ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ბაწარას უბანი“ - დაცული ტერიტორია, იგივე ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი, არ „უახლოვდება“ მილსადენს?

გაურკვეველია, ასევე, რა არის გამოსახული სურათზე 14.7.1.3. „ფრინველთათვის სპეციალურად დაცული ტერიტორიების განლაგების სქემა“ და რა არის ამ რუკის წყარო. აქვე ირკვევა, რომ „ფრინველებზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული შემაწუხებელი ფაქტორები (სურ.4)“, თუმცაღა გაურკვეველია რომელ სურ. 4-ზეა საუბარი და ასევე მიუღებელია იმის მტკიცება, რომ სოფლის მოსახელობა აწუხებს ფრინველებს და არა პროექტის მძიმე ტექნიკის ხმაური.

ასევე მიუღებელია ფრინველების შესახებ ქვეთავის, 14.7.3 „ზემოქმედების ანალიზი“, აშკარად ძირითადი ტექსტის მასალას, დანართში გადატანა. ცხრილი 14.7.3.1.1. „გამვლელ მიგრანტ ფრინველებზე ზემოქმედების შეფასება“ გვიჩვენებს, რომ ვერცერთ ფრინველზე პროექტი ვერ იქონიებს ზემოქმედებას.

ცხრილი 2 „ზემოქმედების შეფასება მაღალ ზონაში მობუდარ ფრინველებზე“ 384-ე გვერდზე „აღებულია ორნითოლოგიური ანგარიშიდან“, მაგრამ ეს ანგარიში არსად არ არის მოყვანილი, თანაც ცხრილის შეფასებები ისევ ასკვნის, რომ ფრინველთა არცერთ სახეობაზე პროექტი არ მოახდენს ზემოქმედებას.

დაბოლოს, დოკუმენტი მოულოდნელად მთავრდება ორნითოლოგიური ნაწილით და არანაირი დასკვნები ფრინველებთან დაკავშირებით არ კეთდება. შემარბილებელი ღონისძიებები ფრონელებისთვის საერთოდ არ აღმოჩნდა საჭირო, დანართშიც კი.

	<p>დასკვნის სახით, დოკუმენტის ზოგიერთი ნაწილები არალოგიკურადაა გადატანილი დანართებში, ნაცვლად იმისა რომ ძირითად ტექსტში განიხილებოდეს, ხოლო მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა მშენებლობის ეტაპზეა გადატანილი (მაგ. გოსაფრთხეებთან და ნაპირდაცვასთან დაკავშირებით). დოკუმენტი არ შეიცავს დანართების სახით, ან თუნდაც რეფერენსირებით, ისეთი მნიშვნელოვანი გეგმების განხილვას, რომელთა მომზადებაც აუცილებლად იგულისხმება ჰესების გზშ-ის და პროექტირების პროცესში. ასეთი გეგმები შეიძლება იყოს, მაგ. „ეკოლოგიური ხარჯის“ მონიტორინგის გეგმა; წყალდიდობის და ადრეული ავარიული გაფრთხილების სისტემა; ველური ბუნების მართვის გეგმა; ეროზიის და სედიმენტების კონტროლის გეგმა; აფეთქებების მართვის გეგმა; ინერტული მასალების და კლდოვანი ნარჩენების მართვის გეგმა; დაბინძურების კონტროლის გეგმა; საგანგებო სიტუაციების გეგმა (წყალდიდობების ჩათვლით); ავარიული გაჩერების და ევაკუაციის გეგმა; ჰესის ინფრასტრუქტურის საოპერაციო გეგმა; კაშხლის და სათავე ნაგებობების მონიტორინგის გეგმა; მილსადენის მონიტორინგის გეგმა; საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების მონიტორინგის და რეაგირების გეგმა; ნარჩენების მართვის გეგმა; ჰაერის ხარისხის და ხმაურის მართვის გეგმა; ლანდშაფტის აღდგენის, მცენარეული საფარის და ტყის გაშენების გეგმა; ნიადაგის საფარის აღდგენის გეგმა; ტრანსპორტის მოძრაობის მართვის გეგმა; ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების დაცვის გეგმა; განსახლების პოლიტიკა და განსახლების სამოქმედო გეგმა. დიდი უმრავლესობა ამ დოკუმენტებისა მოხსენიებულიც კი არ არის გზშ-ში.</p>	
9	<p>ავარიული და კატასტროფული მოვლენები</p>	-1
	<p>ძირითადი დოკუმენტის მე-9 თავში „შესაძლო ავარიული სიტუაციები“ მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების ჩამონათვალში არ არის ნახსენები წყალდიდობები და წყალმოვარდნები, ასევე მიწისძვრები.</p> <p>რაც შეეხება დანართს 3, „ხადორი 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, ხადორი-3-ის შესახებ აქ მართლ სათაურშია საუბარი: ეს არის ზოგადი გეგმა, სადაც რეალურად არაფერია ნათქვამი კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებით.</p> <p>ქვეთავში 3.2.3.2 „სატრანსფორმატორო ქვესადგური“ ნათქვამია რომ „ცალხაზოვანი ელექტრული სქემა სტანდარტების შესაბამისად, უნდა იყოს უსაფრთხო, საიმედო და სწრაფად რეაგირებადი სხვადასხვა საოპერაციო რეჟიმების მიმართ. ორივე გენერატორი მიუერთდება 6.3/110 6.3 მვტ ტრანსფორმატორს. სინქრონიზა-ცია მოხდება 6.3 კვ-ზე, სადგურის მომსახურების ყველა მოწყობილობის ძაბვა შეადგენს 0,4 კვტ, ამდენად საკუთარი მოხმარების ელ.ენერჯის მიწოდებაც ამ ძაბვით განხორციელდება. საკუთარი მოხმარების ძაბვის მიწოდება მოხდება გენერატორების ზეთიანი ამომრთველების ტრანსფორმატორების მხარეებიდან. საჭიროების შემთხვევაში ძაბვის მიწოდება განხორციელდება ენერჯის სისტემიდან, რაც იძლევა სადგურის საკუთარი მოხმარების ელექტროენერჯით უზრუნველყოფის შესაძლებლობას ორი დამოუკიდებელი წყაროდან. რამდენადაც შესაძლებელი იქნება ტურბინის ნელი გაშვება ამდენად, აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი მოხმარების დენის სისტემამ სიმძლავრე შეიძლება მიიღოს მომუშავე აგრეგატებიდან.“</p> <p>შესაბამისად, გაუთვალისწინებელია, თუ როგორ მოხერხდება ჰესის მექანიზმების ოპერირება, თუკი წყალდიდობის შემთხვევაში მწყობრიდან გამოვა აგრეგატებიც და გარეშე მომარაგების წყაროც. საქმიანობის განმახორციელებლებს გათვალისწინებული დიზელ-გენერატორი ან კვების რაიმე სხვა ავტონომიური წყარო საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში ჰესის აგრეგატების და მართვის სხვა დანადგარების უსაფრთხოდ რეჟიმში ასამოქმედებლად.</p> <p>მიუხედავად სამინისტროს შენიშვნისა, ალაზნის და მისი შენაკადების ღვარცოფული ნაკადების შესახებ არაფერია დოკუმენტში ნათქვამი.</p>	

	<p>ქვეთავში 5.2.2.3 „სეისმურობა“ აღნიშნული თემა არ არის განხილული სპეციფიკურად ამ პროექტისთვის. მხოლოდ ზოგადი ცნობებია მოყვანილი საქართველოს მასშტაბით, ხოლო ადგილმდებარეობისათვის აჩქარების ნორმატიული მონაცემი სამართლებრივი აქტიდან.</p> <p>დასკვნის სახით, გარდა იმისა, რომ ხადორი-3-ის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ზოგადი სახისაა და მასში არაფერია ნათქვამი კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებით, დოკუმენტი ასევე არ შეიცავს დანართების სახით, ან თუნდაც რეფერენსირებით, ისეთი მნიშვნელოვანი გეგმების განხილვას, რომელთა მომზადებაც აუცილებლად იგულისხმება ჰესების გზშ-ის და პროექტირების პროცესში და რომლებიც შეეხება ავარიულ და კატასტროფულ მოვლენებზე მზადყოფნას და რეაგირებას (იხ. ჩამონათვალი წინა პუნქტის ბოლოს).</p>	
10	დასკვნები	-1
	<p>გზშ-ის მე-12 თავში მოყვანილი დასკვნები ხშირ შემთხვევაში დამატებით გამოავლენს დოკუმენტის სისუსტეებს:</p> <p>გზშ-ის დასკვნითი ნაწილი 12.1 „ძირითადი დასკვნები“ იწყება ფრაზით „პროექტი შეიძლება განხილული იყოს, როგორც ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ჰარმონიული ნაწილი“. აღნიშნული განცხადება გზშ-ის ძირითადი დასკვნების ნაწილში ემსახურება მხოლოდ პროექტის გამართლების მიზანს და არა მისი ზემოქმედებების დადგენას.</p> <p>დოკუმენტით „დადგინდა, რომ საკვლევ არეალში ძირითად სენსიტიურ რეცეპტორებს წარმოადგენს მდ. ალაზნის, ხეობაში ღვარცოფი და ეროზიული მოვლენები“, რაც არ არის მართებული: მინიმუმ გამორჩენილია ალაზნის ხარჯი, მისი იქთიოფაუნა, დაცული ტერიტორიები.</p> <p>ავტორების განცხადებით გზშ „შესრულებულია პროექტის ორი ძირითადი ეტაპისათვის: მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზები“. კარგი პრაქტიკა ითვალისწინებს პროექტირების ფაზასაც და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ფაზას განსაკუთრებით, მაგრამ დასტურდება კიდევ ერთხელ რომ, ეს საკითხები დოკუმენტში არ არის განხილული (განსაკუთრებით ეს შეეხება ექსპლუატაციიდან გამოყვანის ფაზას).</p> <p>მე-4 დასკვნის თანახმად „ხმაურით და მავნე ნივთიერებათა ემისიებით გამოწვეული ზემოქმედება მნიშვნელოვანი იქნება ველურ ბუნებაზე“, მაგრამ აღნიშნული არ დასტურდება შემარბილებელი ღონისძიებებით, ხოლო ტრანსპორტის ხმაურის ზემოქმედება და შემარბილებელი ზომები საერთოდ იგნორირებულია დოკუმენტში, ამდენად ეს დასკვნითი ჩანაწერი მხოლოდ აბნევს მკითხველს.</p> <p>მე-8 დასკვნა „ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის დონის შეცვლით არსებობით იქთიოფაუნაზე გამოწვეული ზემოქმედება იქნება მაღალი, რის შესამცირებლად პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები“ არ შეესაბამება რეალობას, რადგან „ეკოლოგიური ხარჯის“ დადგენა და შემარბილებელი ღონისძიებები იქთიოფაუნისთვის დოკუმენტში განხილული არ არის.</p> <p>დასკვნებში სამშენებლო მოედნებზე სამუშაოები დაკავშირებულია „ხე-მცენარეული საფარის განადგურებასთან, რაც მნიშვნელოვან ნეგატიურ ემოქმედებად“ არის შეფასებული, თუმცაღა დოკუმენტში ყველგან იმაზეა საუბარი, რომ მნიშვნელოვანი ჰაბიტატები და მცენარეულობა დერეფანში არ ხვდება.</p> <p>მე-11 დასკვნის მიხედვით „საპროექტო ტერიტორიებიდან უახლოვდება ბაწარას დაცულ ტერიტორიას ამიტომ აუცილებელია ის შემარბილებელი ღონისძიებები გათარება, რომელიც მოცემულია გზშ-ს ანგარიშში“. თუმცა, არანაირი განსაკუთრებული შემარბილებელი</p>	

ლონისძიებები ბაწარას დაცული ტერიტორიის ან თუნდაც ზურმუხტის ქსელისთვის განვითარებული დოკუმენტში არ არის.

მე-13 დასკვნაში ისევ საუბარია „ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების“ შერჩევაზე, პროექტის აღწერაში კი ნათქვამია, რომ ახალი გზები დაგეგმილი არ არის. დასკვნა წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტში მოყვანილ პროექტის აღწერასთან.

მე-14 დასკვნაში ნათქვამია, რომ „ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები (ქვიშა-ხრემის მარაგები, წყლის რესურსები სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის, ტყის რესურსები და სხვ.)“ „საყურადღებოა ადგილობრივ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით“, თუმცა ამგვარი ქმედებების ზემოქმედება ადგილობრივ გარემოზე პროექტში დახასიათებული არ არის, მეტიც, ეს განიხილება დადებით სოციალურ ფაქტორად.

დასკვნით ნაწილში ასევე აღნიშნულია, რომ „მოსალოდნელია სხვადასხვა სახის კუმულაციური ზემოქმედება“, მაგრამ კუმულაციური ზემოქმედებების ანალიზი უაღრესად სუსტია და არ შეესაბამება ჰესების გზშ-ის კარგ პრაქტიკას. კერძოდ, არ არის აღწერილი წყლის ხარჯის და იქითოფაუნის ზემოქმედების არელების რაოდენობრივი მაჩვენებლები, არ არის აღწერილი გზების და ელექტროგადამცემი ხაზების ზემოქმედება და ცვლილებები მიწის ბუნებრივ დაფარულობაზე და ასევე სრულიად არ არის აღწერილი ის პროექტები, რომლებიც კუმულატიურად ახდენენ ზემოქმედებას განსახილველ პროექტთან ერთად.

დასკვნითი ნაწილი ასევე აღიარებს, რომ „ყველაზე მნიშვნელოვან ნარჩენ ზემოქმედებებზე შეიძლება ჩაითვალოს ბიოლოგიურ და ჰიდროლოგიურ გარემოზე ზემოქმედება“, ეს მტკიცებულება მართებულია, თუმცა დოკუმენტის 6.7.6 ცხრილში შესაბამისი ნარჩენი ზემოქმედება შეფასებულია როგორ „დაბალი“. ამასთან, არ არის დასახული არანაირი შემარბილებელი ღონისძიებები, ამდენად ეს ზემოქმედება ვერ ჩაითვლება „ნარჩენ“ ზემოქმედებად, რადგან არაფერია შემოთავაზებული მის შესარბილებლად.

დასკვნით ნაწილში 12.2 „საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები“ ნახსენებია, რომ „განმახორციელებელი კომპანია და მშენებელი კონტრაქტორი დაამყარებენ მკაცრ კონტროლს“ გზშ-ის და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიმართ, მაგრამ მშენებელი კომპანია არსად არ არის მითითებული უშუალო პასუხისმგებლად გარემოსდაცვით საკითხებში, იხილეთ გარემოსდაცვითი მართვის გეგმების უმნიშვნელოვანესი ცხრილები, სადაც ყველგან მხოლოდ „დარიალი ენერჯია“ მითითებული.

ნათქვამია, ასევე, რომ „ხე-ტყის მოჭრის საკითხები შეთანხმდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე მართვის უფლების მქონე ორგანოსთან“, თუმცაღა სამინისტროს შესაბამის შეკითხვაზე პასუხად ნათქვამია, რომ ტყის ფონდთან გადაფარვას ადგილი არ აქვს. სინამდვილეში, როგორც ჩანს, ეს საკითხი განხორციელების ეტაპზე აქვს განზრახული ინვესტორს, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო საკითხის გზშ-ზე დამტკიცებამდე ითხოვდა პასუხის გაცემას. შესაბამისად, არც ამ კითხვაზეა სათანადო პასუხი გაცემული გზშ-ში.

გათვალისწინებულია, რომ „საქმიანობა განხორციელდება მონიტორინგის შედეგად დადგენილი ახალი გაზრდილი ხარჯის შესაბამისად“, მაგრამ „ახალი გაზრდილი ხარჯი“ ვერ დადგინდება, რადგან სამართლებრივი ძალის მქონე დადგენილი „ეკოლოგიური ხარჯი“ უბრალოდ არ არის დოკუმენტში მითითებული.

დასკვნების შესაბამისად გათვალისწინებულია, რომ მოეწყობა გაბიონები, სიტყვა გაბიონი დოკუმენტში სხვაგან არსად არ არის ნახსენები

	<p>გარდა ამ წინადადებისა. შესაბამისად, გარემოზე არც გაბიონების ზემოქმედებაა შეფასებული და არც შემარბილებელი ღონისძიებები.</p> <p>გათვალისწინებულია, ასევე, რომ „სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჩატარდება სამშენებლო მოედნების რეკულტივაციის და გამწვანების სამუშაოები“. აღნიშნული პრაქტიკა არ დასტურდება ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის შედეგებიდან გამომდინარე. მაგალითად, არ მომხდარა სამშენებლო ბანაკის დემონტაჟი და რეკულტივაცია ამ პროექტების განხორციელების შემდეგ, რასაც გზშ-ის შინაარსი უშუალოდ ადასტურებს.</p> <p>გზშ-ის დასკვნების ნაწილი ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტის რეალურ შინაარსთან, იგი ცდილობს დადებითად წარმოადგინოს უარყოფითი ფაქტორები, თუმცა დასკვნების რეალური შეფასება დამატებით გამოავლენს დოკუმენტის სუსტ მხარეებს.</p>
IV	პროექტის შესახებ ტექნიკური ინფორმაცია / მონაცემები
1	<p>დაგეგმილი პროექტის სივრცული გეგმა -1</p>
	<p>პროექტის ძირითადი მაჩვენებლების უმარტივესი და უმთავრესი ინფორმაცია არ იყო შეტანილი საჯაროდ გამოქვეყნებულ თავდაპირველ ანგარიშში და მხოლოდ სამინისტროს კომენტარის შემდეგ იქნა შეტანილი დოკუმენტში ერთერთი ცხრილის სახით.</p> <p>მნიშვნელოვან ნახაზი 3.2.2.3. „სადამნო მილსადენის ტრასა“, სადაც პროექტის ნახაზებია გამოსახული, არ იკითხება, ტექსტები არ ჩანს, უმეტეს შემთხვევებში ამოტრიალებულია, ამ ნახაზს (რუკას) არ ერთვის ლეგენდა, სხვადასხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურები ვიზუალურად არ აღიქმება და მკაფიოდ არ არის ნაჩვენები არსებული და პროექტის მშენებლობით დასამატებელი ობიექტები (მკითხველი თვითონვე უნდა მიხვდეს რომ, სავარაუდოდ, შავ ფერში არსებული ობიექტებია და წითლად კი დამატებული ობიექტები გამოსახული).</p> <p>ელექტროგადამცემი ხაზების სქემა არ არის მოცემული არც ამ სქემაზე და არც სხვაგან.</p> <p>პროექტის აღწერის 21-ე გვერდის მე-2 აბზაცში მითითებულია, რომ მილსადენის დასაცავად „11 დეზის მოწყობა მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროს მხარეს“ არის დაგეგმილი, როდესაც სინამდვილეში დეზები მარჯვენა სანაპიროზეა დაგეგმილი.</p> <p>ქვეთავში 3.2.3 ჰესის შენობის ფართობი მითითებულია როგორც 25.6 x 16.66 x 10.41 მ, თუმცა შეიპფაილის გაზომვებით 30 მ x 20 მ-ზე ფართობი ჩანს. არ არის განმარტებული, რატომ არის ეს ზომები შემცირებულია წარმოდგენილი ტექსტში.</p> <p>ზოგად მიმოხილვაში ნახსენებია სატრანსფორმატორო ქვესადგური, მაგრამ არსად არ არის ნაჩვენები სქემაზე 3.1.1. ან სადმე სხვაგან (არც გის-შეიპფაილშია წარმოდგენილი). არადა ქვეთავში 3.2.3-ში მითითებულია, რომ მისი საერთო სიგრძეა 15 მ, სიგანე - 20 მ, ანუ ფართობი თითქმის ისეთივეა, როგორც ჰესის შენობას უკავია, მაგრამ განლაგება ნაჩვენები არაა. სატრანსფორმატორო ზეთები ტოქსიკური ბიოლოგიურად პერსისტენტული კანცეროგენია, ამდენად სატრანსფორმატოროს პარამეტრების ჩვენება მნიშვნელოვანია ჰესების გზშ-ში.</p> <p>ნახაზზე 3.2.3.1. „ჰესის შენობის გეგმა“ არცერთი შიდა დანადგარი გაწერილი არ არის თუ რას წარმოადგენს. იგივე შეეხება ნახაზებს 3.2.3.2. და 3.2.3.3. - „ჰესის შენობის ჭრილი“.</p>

	<p>ქვეთავში 3.3.3 „სამშენებლო ბანაკი“ მოყვანილია ტერიტორიის განაპირა წერტილების გეოგრაფიული კოორდინატები, მაგრამ ეს მონაცემები არ არის მითითებული გის-ფაილებში, არადა სწორედ ასეთი ობიექტებია გარემოსდაცვითი მართვის სუბიექტები. ამდენად, ეს ინფორმაცია არასრულყოფილად არის წარდგენილი სამინისტროსადმი.</p> <p>არცერთ სქემაზე დატანილი არ არის ხაღორი-1 ჰესის 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც სავარაუდოდ კასკადის ყველა არსებული და დაგეგმილი სქემისთვის იქნება გამოყენებული.</p> <p>ნახაზზე 3.3.3.3. „სამშენებლო ბანაკის განთავსების სიტუაციური სქემა“ დატანილია „გამონამუშევარე ქანების სანაყარო“, ხოლო ქვეთავში 3.3.6 ნარჩენების მართვა არასწორადაა ნახაზის ნომერი მითითებული როგორც 3.3.3.1. არ არის მოცემული სანაყაროს ფართობი, არ არის მოწოდებული სანაყაროს კონტურის შეიპფაილი და მხოლოდ 4 წერტილია ნაჩვენები საზღვრებად, რაც არ შეესაბამება ნახაზზე 3.3.3.3 გამოსახულ კონტურს.</p> <p>პროექტის ნაპირდაცვით ნაწილზე მხოლოდ ორიოდ სიტყვით არის საუბარი, რომ განსაზღვრულია 11 დეზის მოწყობა მარჯვენა სანაპიროზე (და არა მარცხენაზე, როგორც ეს ტექსტში შეცდომითაა მითითებული 21-ე გვერდზე). პროექტის ნაპირდაცვის ნაწილის აღწერა არასაკმარისია გზშ-ის მიზნებისთვის, თუკი გავითვალისწინებთ მნიშვნელოვან მოსალოდნელ გეოტექნიკურ სირთულეებს ამ მონაკვეთზე.</p> <p>თუკი შევაჯამებთ, ჰესის შესახებ ინფორმაცია არსებითად ხარვეზებით არის წარმოდგენილი, პროექტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გზშ-ის მიზნებისთვის არასაკმარისი დეტალობითაა აღწერილი, სრულად არ არის აღწერილი და სივრცულად წარმოდგენილი მთლიანი კასკადის სქემა, რომლის ნაწილად სამყურისწყალი-2 არც განიხილება. გეოსაფრთხეების კონტროლის აღწერა არასაკმარისია.</p>	
2	ოპერირების გეგმები	-2
	დოკუმენტი არ შეიცავს ჰესის ექსპლუატაციის აღწერას.	
3	წყალსაცავი	na
	ხაღორი-3 ჰესისთვის არ შენდება კაშხალი და სათაო ნაგებობა, შესაბამისად არ ეწყობა წყალსაცავი.	
4	კაშხლის ტიპი, სიმაღლე, წყალსაგდები	na
	ხაღორი-3 ჰესისთვის არ შენდება კაშხალი და სათაო ნაგებობა.	
5	პროექტის თოთოეული დაგეგმილი ობიექტის მიერ ათვისებული მიწის რესურსები	0
	<p>წარმოდგენილია ზოგიერთი ფართობები (ჰესის შენობა, მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენის განთავსების ადგილი) და გადმოცემულია შეიპფაილების სახით (ჰესის შენობის ფართობი განსხვავებულია), მათ შორის ხაზოვანი ობიექტების კონტურები, მშენებლობის შემომსაზღვრელი კონტურების ფართობების გარეშე, გარდა ქვესადგურის ფართობისა, რომელს ზომები დასახელებულია ტექსტში, მაგრამ არ არის წარმოდგენილი შეიპფაილის სახით და არ არის ცნობილი სად მდებარეობს. ზოგიერთი კონტური დატანილია (სანაყარო) მაგრამ კიდური წერტილების კოორდინატებია მხოლოდ წარმოდგენილი, შეიპფაილი კი არ არის გადმოცემული. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ობიექტების დაგეგმილი ფართობების მონახვა ტექსტში გართულებულია, შეიპფაილები კი არ არის სრულად და ზუსტად გადმოცემული.</p>	

	ამდენად, პროექტის ობიექტების მიერ ათვისებული მიწის რესურსები ხარვეზებითაა წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთი ობიექტის მდებარეობა რუკებზე არც არის დატანილი.	
6	მიწის რესურსების მთლიანი ათვისება	-1
	თავმოყრილი სახით მიწის ფართობების გამოყენების ბალანსი არსად არ არის მოცემული ანგარიშში.	
V	ფიზიკური	
1	ტოპოგრაფია, ჰიდროლოგია, მიწის გამოყენება	-2
	როგორც უკვე აღინიშნა, ჰიდროლოგიური მოდელირებისთვის საჭირო მონაცემებთან დაკავშირებით დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ისეთი ელექტრონული მონაცემების ან ამ მონაცემებზე წვდომის დამადასტურებელი ფაქტები, როგორებიცაა ნიადაგების დაფარულობა, დიგიტალური სიმაღლეების მოდელი, მიწის გამოყენება და მიწის დაფარულობა. არც მაღალი რეზოლუციის აერო და კოსმოსური სურათები და მათი ანალიზია წარმოდგენილი. ამდენად, პროექტის გეოგრაფიული არეალი არასაკმარისადაა დახასიათებული.	
2	გეოლოგია და გეოტექნიკური საფრთხეები	-1
	<p>ქვეთავში 5.2.2.2 „გეოლოგიური აგებულება“ აღნიშნულია, რომ „ხადორი-3 ჰეს“-ის სათავე ნაგებობის უბანზე ლითოლოგიურად დგინდება აგრეთვე ტექნოგენური ნალექების საკმაოდ სქელი ფენების არსებობა, რომელთა წარმოქმნა აქ დაკავშირებულია ადამიანის ტექნოგენურ მოქმედებასთან „ხადორი-2 ჰეს“-ს ნაგებობათა მშენებლობის დროს.“ როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, ხადორი-2-ის "ტექნოგენური ნალექები" არც აქ არის ნაჩვენები რუკაზე, რის გარეშეც ვერ ხერხდება წინა პროექტის გამოცდილების შეფასება კასკადის კუმულაციური ზემოქმედების კონტექსტში.</p> <p>გზმ-ში მოკლედ რამდენჯერმე მოხსენიებული ნაპირდამცავი ნაგებობების საჭიროება და ერთერთ რუკაზე ნაჩვენებია 11 დეზი, მაგრამ საკმარისი დეტალები ნაპირდაცვის პროექტის, ზემოქმედებების შეფასების და რაც მთავარია შემარბილებელი ღონისძიებების არ არის საკმარისი დეტალობით წარმოდგენილი დოკუმენტში.</p> <p>57-ე გვერდზე აღნიშნულია მნიშვნელოვანი მეწყერი პკ 4+70-დან პკ 6+00-მდე მონაკვეთზე და სხვა მცირე მასშტაბის მეწყერები, რომლებიც ავტორების დასკვნით ვერ მოახდენს გავლენას მილსადენზე, მაგრამ აქ არ არის შეფასებული, მოახდენს თუ არა ძირითადი მეწყერი ზემოქმედებას უეცარი ჩამოცურების შემთხვევაში, რის ალბათობაც ამავე გვერდზე მითითებულია, რომ არ არის გამორიცხული და რომ შესაძლებელია პროცესის კატასტროფულ რეჟიმში განვითარება.</p> <p>საშიში გეოდინამიკური პროცესების ზემოქმედებების დახასიათებისას ქვეთავში 6.4.2.2 „ექსპლუატაციის ეტაპზე“ საუბარია, რომ „მდ. ალაზნის ადიდების შემთხვევაში, ეროზიული პროცესების განვითარების რისკი“ არსებობს, თუმცა საუბარი არ არის წყალდიდობების და წყალმოვარდნების ასევე მნიშვნელოვან რისკებზე.</p> <p>აქვე განცხადებულია შემდეგი: „პკ 4+70-დან პკ 6+00-მდე შედარებით დიდი მეწყრული მოვლენა, თუმცა ისინი მილსადენის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე არსებით გავლენას ვერ იქონიებენ.“ აღნიშნული მტკიცებულება არ ემყარება ფაქტების ობიექტურ ანალიზს და</p>	

უაპელაციოდ არის განცხადებული.

შემდეგ ქვეთავში, 6.4.3 „შემარბილებელი ღონისძიებები“, ამგვარად დასახელებულია „მდ. ალაზნის გვერდითი ეროზიის ზემოქმედების პრევენციის მიზნით, კვ 0+38 დან კვ 12+28 მდე მონაკვეთზე დაგეგმილია დეზების მოწყობა“, თუმცა დოკუმენტში არსად არ არის დასახულებული, ალტერნატივების ანალიზის სახით, თუ რატომ გადაწყდა დეზების მოწყობა და არა რიპრეპების ან ნაპირების ეროზიის კონტროლის რაიმე სხვა ღონისძიებების.

აქვე შემარბილებელ ღონისძიებად შემოთავაზებულია: „რთულ რელიეფურ უბნებზე მიწის სამუშაოების შესრულებას ზედამხედველობას გაუწევს ინჟინერ-გეოლოგი. წინასწარ მოხდება ფერდობის მდგრადობის გამოთვლა და პროგნოზირება“. ისმის შეკითხვა: რატომ არ არის აღნიშნული შესწავლა-შეფასებები განხილული როგორც გზშ-ის და ასევე საინჟინრო პროექტირების შემადგენელი ნაწილი?

ასევე შემოთავაზებულია, რომ „სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჩატარდება სამშენებლო მოედნების რეკულტივაციის და გამწვანების სამუშაოები“, თუმცა, თუკი ამგვარი სამუშაოები არ ჩატარებულა ხადორი-2-ის შემთხვევაში? რამდენადაც დოკუმენტი ამ ფაქტს არ აკრიტიკებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ღონისძიება არც ხადორი-3 პროექტის შემთხვევაში ჩატარდება.

ღონისძიება „ძირითადი ნაგებობების ფუნდირება მოხდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე.“ ისევ მიუთითებს იმაზე, რომ მსგავსი მნიშვნელოვანი კვლევები პროექტირების და გზშ-ის ეტაპზე არ ჩატარებულა, რაც მიუღებელია.

მსგავსად ამისა, ნაპირდაცვის ნაგებობების „პროექტირებისას, მათი პარამეტრები დადგენილი იქნება ფსკერისა და ნაპირების წარეცხვის ინტენსივობის ჰიდროლოგიურ-ჰიდრაულიკური გაანგარიშებების საფუძველზე“. აღნიშნული ისევ გულისხმობს იმას, რომ ნაპირდაცვის პროექტის საკმარისი დეტალები არ არის ცნობილი გზშ-ის მომზადების პროცესში.

იგივე მიდგომაა გაცხადებული საშიში გეოდინამიკური პროცესების „გამაგრებითი სამუშაოების“ მიმართაც.

ცხრილში 6.4.4.1. „გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკების შეჯამება“ საუბარი არ არის წყალდიდობებზე, წყალმოვარდნებზე და ღვარცოფებზე არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ეტაპზე.

ამავე ცხრილში „ნარჩენი ზემოქმედება“ „საშუალოც“ და „დაბალი“ ზემოქმედებაც ორივე შემარბილებელი ღონისძიებების დასახვითაა მითითებული, ამდენად გაუგებარია, რომელი მათგანია „ნარჩენი“.

გეოლოგიური და გეოტექნიკური, ასევე წყალდიდობების, წყალმოვარდნების და ღვარცოფების საფრთხეები არ არის დამაკმაყოფილებლად განხილული, საფრთხეების კონტროლის შემოთავაზებული გადაწყვეტილებები (ნაპირდაცვა, მეწყერები) დეტალური აღწერების და საპროექტო-საინჟინრო ალტერნატივების ანალიზის გარეშე წარმოდგენილი, ხოლო მნიშვნელოვანი საინჟინრო და გარემოსდაცვითი კვლევები პროექტირების და გზშ-ის ეტაპის ნაცვლად სავარაუდოდ მშენებლობის პროცესშია გათვალისწინებული. მდინარისმიერი საფრთხეები უმეტესად არ განხილვება.

3	<p>კლიმატი – ნალექიანობის მახასიათებლები</p> <p>მიუხედავად იმისა რომ მოყვანილია ზოგადი მეტეოროლოგიური მახასიათებლები, აშკარაა, რომ პროექტის გზშ-ის განკარგულებაში არ არის სათანადო სიხშირის დროითი რიგის მონაცემები ისეთი აუცილებელი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორებიცაა ტემპერატურა, ქარი, ტენიანობა, ევაპოტრანსპირაცია და ა. შ. (იგულისხმება დღიური პერიოდულობის მონაცემები). ამდენად, ეს პარამეტრები უბრალოდ ობიექტის ზოგად დახასიათებას ემსახურება, რეალურად შეუძლებელია ჰიდროლოგიური მოდელირების მიზნებისთვის მათი გამოყენება.</p>	0
4	<p>ჰიდროლოგია – მდინარის დინების დონეები</p> <p>დოკუმენტში არ არის მოყვანილი ალაზნის აუზის რუკა, თუნდაც ხადორის-3-ის ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობისათვის.</p> <p>არ არის ასევე გრაფიკულად ნაჩვენები ხადორი-1-ის, ხადორი-2 და ხადორი-3-ის სქემები, რომ შესაძლებელი იყოს მათი ოპერირების და ზემოქმედების დახასიათება ერთობლივად და ცალ-ცალკე.</p>	0
5	<p>ჰიდროლოგია – შენაკადების წვლილი</p> <p>საპროექტო დერივაციული მილსადენის მიერ ალაზნის შენაკადების, ირიგაციული არხის და გზის გადაკვეთის და ხარჯების საკითხები მხოლოდ სამინისტროს შენიშვნების შემდეგ იქნა დადასტურებული ანგარიშში და მხოლოდ უხეში შეფასებით იქნა დადგენილი, რომ “შენაკადების საშუალო ხარჯი არ იქმენა 1.5-2.0 მ3/წმ-ზე ნაკლები”, თუმცა მრავალჯერაა აღნიშნული შენაკადების დადებითი როლი საპროექტო მონაკვეთზე ალაზნის შემცირებული ხარჯის ნაწილობრივ შევსებაში.</p>	-1
6	<p>ზემოქმედების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან</p> <p>თავში 6.6 “ზემოქმედება მიწისქვეშა/ გრუნტის წყლებზე”, სხვა შემთხვევების მსგავსად, კრიტერიუმებად ერთად განიხილება გრუნტის წყლების „დებიტის ცვლილება“ და წყლის ხარისხის კრიტერიუმები, რაც ზემოქმედების დონის შეფასებისას მანიპულირების შესაძლებლობას იძლევა. მართლაც, მიუხედავად ხარჯის მნიშვნელოვანი შემცირების აღიარებისა ექსპლუატაციის ეტაპზე (ქვეთავი 6.6.2.2), ზემოქმედება მაინც განიხილება როგორც დაბალი. (იხ. ცხრილი 6.6.4.1. „მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედების შეჯამება“, ოპერირების ეტაპი).</p> <p>დოკუმენტის სუსტ მხარეს წარმოდგენს გეოლოგიური და გეოტექნიკური საფრთხეების საპროექტო გადაწყვეტილებების არასაკმარისი აღწერა, ზემოქმედების შეფასების და შემარბილებელი ღონისძიებების არასათანადო განსაზღვრა.</p> <p>(შენიშვნა: გრუნტის წყლების ხარისხთან დაკავშირებით 173-ე გვერდის მე-3 სქოლიოში შესაბამისი ევროდირექტივა გამოიყენება. ამდენად, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ სათანადო ევროპული დირექტივები და აქედან გამომდინარე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა აღიარებულია დოკუმენტის ავტორების მიერ როგორც შეფასების კრიტერიუმი, როდესაც სათანადო საკითხი არ არის დარეგულირებული საქართველოს კანონმდებლობით და ნორმატიული ბაზით. ჩვენ ვეთანხმებით აღნიშნულ მიდგომას და ვსარგებლობთ საუკეთესო პრაქტიკის მიდგომებით დოკუმენტის ხარისხის შეფასებისას.)</p>	-1
7	<p>კლიმატის ცვლილება</p>	-2

	როგორც უკვე აღინიშნა გზშ-თვის საჭირო მონაცემების ანალიზისას, დოკუმენტში საერთოდ არ არის საუბარი კლიმატის ცვლილებაზე, მისი ზემოქმედებების ანალიზი პროექტის მნიშვნელოვან პარამეტრებზე და მის სიცოცხლისუნარიანობაზეც კი, შესაბამისად, ასევე არ არის საერთოდ განხილული. არ არის განხილული მონაცემებიც მყინვარების, მათგან მომდინარე საფრთხეების შესახებ. კლიმატის ცვლილების მახასიათებელი მონაცემების განხილვის გარეშე ჰესების პროექტის არცერთი გზშ არ შეიძლება ჩაითვალოს რამდენადმე სრულყოფილად.
VI	ნიადაგები
1	მეთოდოლოგია / მეთოდები 0
	<p>ნიადაგის მოხსნა განსაზღვრულია მხოლოდ 10 სმ სიღრმის ფენისთვის, თუმცა ჩვეულებრივ 30 სმ მაინც უნდა მოიხსნას. სათანადო კონტური არ არის მოყვანილი. ასევე არსად არის მტკიცებულება იმისა, რომ მხოლოდ 10 სანტიმეტრია ჰუმუსის ფენის სისქე და არა 30 სმ, როგორც ეს ჩვეულებრივ არის მიღებული, რაც ფაქტიურად ასამბაგებს ნაყოფიერი ფენის მოცულობას დოკუმენტში წარმოდგენილთან შედარებით. 30 სმ სისქის ჰუმუსის სამჯერ ნაკლები სისქით მოხსნა უნდა ემყარებოდეს ნიადაგის კვლევას ადგილზე და ლაბორატორიული ანალიზით დადასტურებულ შედეგებს, რაც არ განხორციელებულა, ამდენად 10 სმ ნიადაგის ფენის მოხსნა და შენახვა შერჩევა მხოლოდ ინვესტორის/დეველოპერის ხარჯების შემცირებას ემსახურება, რადგან თუკი მოცულობის შეფასება მართებულია, რეალურად სამჯერ მეტი მოცულობა იქნებოდა მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი 30 სმ-იანი ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის შემთხვევაში ნაცვლად 10 სმ ფენისა.</p> <p>დოკუმენტში არსად არ არის საუბარი კალაპოტის გრუნტის ზედა ფენის მოხსნის და დასაწყობების შესახებ, რათა იგივე მასალა გაიშალოს სამუშაოების დასრულების შემდეგ, რაც ასევე საუკეთესო პრაქტიკა იქნებოდა (მაგალითად მილსადენების მშენებლობის მრავალი პროექტი საქართველოში ამ პრაქტიკას მიმართავდა).</p> <p>დასკვნა: არ არის ნიადაგების ანალიზით დასაბუთებული თუ ნაყოფიერი ფენა რატომ იხსნება მხოლოდ 10 სმ და არა საუკეთესო პრაქტიკით განსაზღვრული 30 სმ სისქით. არ არის მოცემული მოხსნას და რეკულტივაციას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რუკა. არ არის შედგენილი რეკულტივაციის გეგმა.</p>
2	სოფლის მეურნეობის და სატყეო კონტექსტი -1
	<p>ქვეთავში 5.2.7.3 „2017 წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული დამატებითი კვლევის შედეგები“ როგორც ჩანს მოყვანილია განმეორებითი ბოტანიკური კვლევის შედეგები, რადგან პირველი კვლევა (მარტის თვეში) სავარაუდოდ არაკვალიფიციურად იყო ჩატარებული სხვა ექსპერტის მიერ და კვლევის მეორედ ჩატარება გახდა საჭირო. ეს ნაწილი მეთოდოლოგიით იწყება, რომელიც პირველი კვლევის წინ უნდა მომზადებულიყო. ამდენად პირველი ბოტანიკური კვლევის შედეგები არარელევანტურად უნდა ჩაითვალოს. არადა სწორედ ამ კვლევის შედეგებითაა დადგენილი ბუნებიდან ამოსაღები ხეების და ტყის რაოდენობრივი პარამეტრები.</p> <p>აღნიშნული მარტის კვლევის შედეგად ქვეთავში 5.2.7.2.1.1 „პროექტის გავლენის ზონაში მოსაჭრელი ხე მცენარეების აღრიცხვა“, სადაც მოსაჭრელი ხეების ინვენტარიზაციაა გადმოცემული, არ არის მოყვანილი რაიმე გრაფიკული მასალა, რომელიც გვიჩვენებდა, თუ სად არის განსაზღვრული ხეების და ტყის ჭრა პროექტი „გავლენის ზონაში“. არც ეს „გავლენის ზონა“ გამოყოფილი სადმე დოკუმენტში.</p> <p>ახმეტის მუნიციპალიტეტში ტყის ჭრის შესახებ მონაცემები მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის წყაროს ეყრდნობა.</p>

	<p>ტყის ხანძრების შესახებ ზოგადი ფრაზაა მოყვანილი, თუმცა დეტალური მონაცემების მოძიება შეიძლება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო წყაროებიდან (საერთაშორისო მონაცემები უფასოდაა ხელმისაწვდომი).</p> <p>მთლიანობაში სოფლის და სატყეო მეურნეობის მონაცემები ძალზე ზოგადი მასალებითაა წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის დონეზე, მოსახლეობის სასოფლო ნაკვეთების ათვისების შესახებ მონაცემები წარმოდგენილი არ არის, ხოლო ტყის ჭრის მოცულობები მხოლოდ რაოდენობრივი სახითაა წარმოდგენილი, რუკის მომზადების გარეშე.</p>	
3	<p>ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?</p>	-1
	<p>ქვეთავში 3.3.4 ბოლოს მითითებულია, რომ ნაყოფიერი ფენა დასაწყობებული იქნება ძალური კვანძის საპროექტო ტერიტორიაზე. ეს უზუსტობაა, რადგან რეკულტივაცია სამუშაოების ბოლოს ხორციელდება, როდესაც ძალური კვანძი უკვე აშენებული უნდა იყოს და ამ აღწერილობით დასაწყობებული ნიადაგის დაკარგვის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდება.</p> <p>აქვე ბოლო წინადადებაში მითითებულია, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და შემდგომი აღდგენა მოხდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>ამ რეგლამენტის შესაბამისად "ყოველგვარი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ეხება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს რეკულტივაციის გეგმა/პროექტი ან ინფორმაცია კონსერვაციის შესახებ ადგილმდებარეობისა (GIS გეოინფორმაციული სისტემები კოორდინატები) და ნიადაგის მოცულობის მითითებით." მსგავსი დოკუმენტის სასურველია გზშ-ის ნაწილი იყოს, რათა მოხერხდეს საჯაროდ შეფასება ზემოქმედების, მაგრამ ეს აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის და არც ვადებია მითითებული, თუ როდის უნდა მომზადდეს.</p> <p>ცხრილში 6.8.4.1. „ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედების შეჯამება“ მშენებლობის ეტაპზე ნახსენებია „ნარჩენების (მ.შ. ფუჭი ქანების) მართვა“, არადა ფუჭ ქანებზე ამავე ქვეთავში ზემოთ არ ყოფილა საუბარი, ამდენად ეს ჰესებისთვის მნიშვნელოვანი თემა დოკუმენტში გაუანალიზებელი რჩება.</p> <p>არ განიხილება ასევე სედიმენტების მართვის/კონტროლის თემა, რაც უადრესად მნიშვნელოვანია კალაპოტში მშენებლობის წარმოების დროს წყლის ეკოსისტემაზე და ბინადრებზე ზემოქმედების თვალსაზრისით.</p> <p>კალაპოტის მასალის ზედა ფენის მოხსნა ასევე არ იგეგმება როგორც ჩანს, რათა ეს მასალა გამოყენებული იქნას კალაპოტის საფარის აღდგენის დროს.</p> <p>ნიადაგების დასკვნასთან (პუნქტი VI-1) დამატებით აღსანიშნავია, რომ არ განიხილება სათანადოდ ფუჭი ქანების და სედიმენტების მართვის საკითხები.</p>	

VII	ხმაური და ჰაერის დაბინძურება	
1	მეთოდოლოგია / მეთოდები	-1
<p>ხმაური მშენებლობის ეტაპზე ქვეთავში 6.3.2.1 „მშენებლობის ეტაპი“ ნათქვამია რომ „გაანგარიშება ჩატარდა ორი სამუშაო უბნისთვის, კერძოდ: სადამნო მილსადენის მშენებლობის დროს სოფ. ძიბახევის მიმართებაში და ჰესის შენობის სამშენებლო მოედნისთვის სოფ ბირკიანის მიმართებაში“. შესაბამისად, გზის გასწვრივ სატრანსპორტო ხმაური არ განიხილება, ამდენად ეს ზემოქმედება ან უგულვებელყოფილია, ან შეფასება არ ემყარება არანაირ კრიტერიუმს, რადგან კრიტერიუმები დოკუმენტში აქ არ არის მოყვანილი.</p> <p>იგივე შეეხება ველურ სამყაროს - მხოლოდ ადამიანის სამოსახლოეზე ზემოქმედებებია შეფასებული (უბანი №1 ძიბახევი და უბანი №2 ბირკიანი), ამდენად ზემოქმედება ნაკრძალის ველურ ბუნებაზე, რომელიც მილსადენიდან უშუალო სიახლოვეს მდებარეობს (ხმაური 1-1.5 თვის განმავლობაში) და 0 მ მანძილზე სატრანსპორტო გზიდან (ხმაური 36 თვის განმავლობაში) უბრალოდ არ ფასდება ამ ნაშრომში. შესაბამისად, ყველა მტკიცებულება აღნიშნულთან დაკავშირებით მოკლებულია კრიტერიუმების არსებობას და არბიტრარულ ხასიათს ატარებს.</p> <p>158-ე გვერდზე ნათქვამია, რომ №1 ძიბახევის უბნის მონაკვეთზე „მუშაობა მაქსიმუმ 4-6 დღის განმავლობაში გაგრძელდება“. ანალოგიურ შემთხვევაში ბაწარას ნაკრძალის სიახლოვეს, ბაწარას შესართავთან, ნათქვამია სამუშაოები 1-1.5 თვის განმავლობაში გაგრძელდება. ნაკრძალის ბინადრები საჩივარს ვერ გამოთქვამენ, ამდენად იქ სავარაუდოდ რეალისტური დროა მითითებული, მაგრამ ჰესის შენობის შემთხვევაში მცირე დროა მითითებული, სავარაუდოდ რათა მოსახლეობამ ვერ შეაფასოს სამუშაოების წარმოებისთვის საჭირო რეალური დრო და დროულად ვერ გამოთქვას პრეტენზია (მაგ. დოკუმენტის განხილვის ეტაპზე).</p> <p>ხმაური ექსპლუატაციის ეტაპზე ქვეთავში 6.3.2.2 „ექსპლუატაციის ეტაპი“ (ხმაურის თემა) მეორე აბზაცში ნათქვამია, რომ „ტურბინები მოთავსებული იქნება დახშულ კორპუსში“ და ამით ხმაურის დონე შემცირდება.</p> <p>არ არის გათვალისწინებული, რომ თუკი ჰესის შენობის კარების დიობი მოსახელობის მხარეს არის მოთავსებული და კარები ღიაა (მაგალითად სიციხეში, ან თუკი პერსონალი შეეცდება კარების გაღებით ხმაურის დონე შეამცირონ დახურულ სივრცეში), ამ შემთხვევაში ზემოქმედება მაღალი იქნება (შეგვიძლია წარმოვადგინოთ ვიდეო "გამას" მიერ შესრულებული გზმ-ს შემთხვევაში დარიალის ხეობის საპატრიარქოს კომპლექსზე მიმართული ბროლისწყლის ტურბინა როგორ აუტანლად ხმაურობს - თუკი საეკლესიო ობიექტებს არ უფრთხილდება ჰესი, გაუფრთხილდება სოფლის მოსახლეობას? რაც მთავარია, შეგვიძლია ასევე წარმოვადგინოთ ვიდეო ხადორი-2-ის შემთხვევაში, გადაღებული 2018 წლის 17 აგვისტოს საველე ვიზიტის დროს, რომლითაც დადასტურდა ჰესის აგრეგატების მუშაობა შენობის გაღებული კარების პირობებში, იხ. ასევე ფოტომასალა საველე ვიზიტის ამსახველ დანართში 2).</p> <p>ჰაერის დაბინძურება ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული არ არის გზაზე სატრანსპორტო მოძრაობის ზემოქმედება (თუმცა მტკრის გავრცელების ფაქტორად მოგვიანებით ცხრილში 6.2.4.1. ტრანსპორტის ზემოქმედება განხილულია).</p>		

	<p>მილსადენის მშენებლობისას ზემოქმედება ჩათვლილია „მცირედ“ საქმიანობის მცირე მასშტაბის გამო (მითითებულია 3-4 დღის ხანგრძლივობა, თუმცა დოკუმენტის სხვა ნაწილში 1-1.5 თვეზეც არის საუბარი). ორივე ეს დაშვება არ შეესაბამება რეალურ მოსალოდნელ ზემოქმედებებს.</p> <p>დასკვნა: ტრანსპორტის და მილსადენის მშენებლობის ხმაურის ზემოქმედება დაცული ტერიტორიების ველურ გარემოზე და ჰესის აგრეგატების ხმაურის შესაძლო მუდმივმოქმედი ზემოქმედება მოსახლეობაზე ექსპლუატაციის პროცესში არ არის გათვალისწინებული ხმაურის ზემოქმედების გაანგარიშებისას. სამწუხაროდ არ შესრულდა ხმაურის მოდელირება.</p>
2	<p>ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?</p>
	<p>ხმაური მშენებლობის ეტაპზე შეიპვავილის გის-კოორდინატების და დოკუმენტის მიხედვით სოფ. ბირკიანის უახლოესი სახლი 100 მ მანძილზეა (გვ. 156).</p> <p>158-ე გვერდზე ნათქვამია, რომ ბირკიანის N2 უბნის შემთხვევაშიც „წარმოდგენილია საკმაო სიმძლავრის ხე-მცენარეული საფარი“, მაგრამ ჰესის შენობის მიმდებარე მონაკვეთის შემთხვევაში მცენარეულობა გაცილებით ნაკლებია (რეალურად ბარიერად ერთი ან ორი ხე დგას მხოლოდ), ამდენად ავტორების დაშვება არ შეესაბამება რეალობას და შესაბამისად ხმაურის დონეც სავარაუდოდ არარეალისტურად არის შეფასებული.</p> <p>აღსანიშნავია ისიც, რომ აეროფოტოების ანალიზით „ხე-მცენარეული“ საფარის არსებობა არც ძიბახევის N1 უბნის შემთხვევაში დასტურდება. აქაც მანძილი უახლოეს რეცეპტორამდე დაახლოებით 90 მ-ია მითითებული.</p> <p>შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშაა ცხრილში 6.3.2.1.1 „ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები“ მოყვანილი შედეგები (90 მ და 100 მ მანძილები რეალურად მცენარეული ბარიერის გარეშე), შესაბამისად არასაიმედოა ხმაურის მოსალოდნელი ექვივალენტური დონეების შეფასება 53 დბა და 52 დბა.</p> <p>ამასთან, დოკუმენტში მოყვანილი შეფასების კრიტერიუმი საცხოვრებელისთვის ღამით >45 შეესაბამება მაღალ ზემოქმედებას, ამ ცხრილში კი წერია "ნორმა" ღამის საათებში 60 დბა-თვის. ამდენად, უშუალოდ გზში-ში მითითებული შეფასების კრიტერიუმებიც კი არ არის მართებულად გამოყენებული.</p> <p>აქვე ქვემოთ მითითებულია, რომ „ტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის გამო სოფლის ზოგიერთ ადგილებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის შეწუხებას“ და შემდეგ „ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია ველურ ბუნებაზე“, თუმცაღა, ტრანსპორტით გამოწვეული ხმაური არ არის შეფასებული არც ადამიანზე და არც ველურ ბუნებაზე ზემოქმედების თავალსაზრისით და აღნიშნული მართებული დასკვნები მხოლოდ ვარაუდებს ემყარება და არ ფასდება რაოდენობრივად.</p> <p>ასევე არ აქვს ადგილი ხმაურის ზემოქმედების მოდელირებას, არადა ჰაერის დაბინძურების მოდელირებაზე მეტად (რაც შესრულდა, თუმცა ხარვეზებით, გრაფიკული მასალის გარეშე) ამ პროექტის შემთხვევაში ხმაურის მოდელირება უფრო მეტად აქტუალურია, მაგრამ არ შესრულებულა.</p>

-2

ამ 159-ე გვერდზე დადასტურებულია, რომ ხმაური მილსადენიდან 1.0 კმ რადიუსზე იმოქმედებს ველურ ბუნებაზე, თუმცა გამორჩენილია მძიმე ტრანსპორტის და ტექნიკის გზაზე გადაადგილების ხმაური, თანაც, ზემოქმედების ცხრილში 6.3.4 „ზემოქმედების შეფასება“ სამშენებლო უბნიდან ბუნებრივ არეალებზე ხმაურის გავრცელებისთვის 1.5 კმ მანძილია მითითებული და არა 1.0 კმ.

ამ გვერდის ბოლოს გაცხადებულია, რომ „სამშენებლო ბანაკის ტერიტორია ძლიერ ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშაა ინტენსიურად მიმდინარეობს სამუშაოები ხადორი 2 ჰესის ექსპლუატაციისათვის. ასე რომ სამშენებლო ბანაკის მიმდებარედ მობინადრე სახეობები შეგუებულები არიან ადამიანის საქმიანობას, ამიტომ შეილება ითქვას, რომ სამშენებლო ბანაკიდან ხმაურით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება არ იქონიებს დიდ გავლენას იქ არსებულ ველურ გარემოზე.“

მსგავსი განცხადებები მიუღებელია გზშ-ში. საექსპლუატაციო (თუ სამშენებლო - არ ჩანს დოკუმენტიდან - თავი სამშენებლო ეტაპის ზემოქმედებებს შეეხება) საქმიანობების ხმაური გაცხადებულია როგორც "დადებითი" ფაქტორი და ხადორი-2-ის ზემოქმედების "არსებობის" გამო არ განიხილება ხადორი-3-ის დამატებითი ზემოქმედება. ამ ლოგიკით საერთოდ არ არის საჭირო გზშ და კერძოდ კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, რაც წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტის დანიშნულებასთან.

ხმაური ექსპლუატაციის ეტაპზე

ამ შემთხვევაშიც 160-ე გვერდის დასაწყისში ჰესის შენობიდან მანძილი უახლოეს რეცეპტორამდე 100 მ-ია მითითებული.

ამავე 160-ე გვერდზე მოყვანილი გათვლები ჩვენი გადათვლით 44.78 დბა შედეგს იძლევა და არა 42 დბა-ს (გამოვიყენეთ ექსელი ფორმულა: $=78-15*\text{LOG}(100)+10*\text{LOG}(2)-10.5*120/1000-10*\text{LOG}(3.14)$). აღნიშნული ისევ მიუთითებს გათვლების არასანდოობაზე თანაც სწორი მნიშვნელობა ძლიერ უახლოვდება ზღვრულად ჩათვლილ 45 დბა-ს, ამდენად ღამის ზემოქმედება (ტურბინები ღამითაც იმუშავებს) ძლიერად შეიძლება ჩაითვალოს კარებების გაღების გარემოც და შედეგად დასკვნა ამ გვერდზე რომ ხმაურის ზემოქმედება „ღამის საათებისთვის დაშვებულ ნორმებზე დაბალი“ იქნება საეჭვოა. ასევე საეჭვოა დასკვნა, რომ „ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება არ იქნება მაღალი“, რადგან ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმში ამ გზშ-ში არ არის ჩამოყალიბებული, არც შესაბამისი სამართლებრივ-ნორმატიული მოთხოვნებია ჩამოყალიბებული და აღწერილი.

ბოლო ქვეთავში 6.3.3 „შემარბილებელი ღონისძიებები“ აღწერილი შემარბილებელი ღონისძიებები არ შეესაბამება საოპერაციო/საექსპლუატაციო ფაზას და ძირითადად სამშენებლო შემარბილებელ ღონისძიებებს შეიცავს.

მაგალითად, ღონისძიებებში არ არის მითითებული გაფრთხილება, რომ ჰესის შენობის კარებები არ იყოს გახსნილი, ამდენად არაფერი ზღუდავს პერსონალს გაუფრთხილდნენ თავის ჯანმრთელობას და გამოაღონ კარებები, შესაბამისად დააზიანონ ბირკიანის მაცხოვრებლების ჯანმრთელობა.

უკვე ითქვა, რომ ცხრილში 6.3.4 „ზემოქმედების შეფასება“ ტექსტისგან განსხვავებით 1.5 კმ რადიუსია მითითებული ბუნებაზე ხმაურის ზემოქმედებისთვის, თუმცა არ არის კრიტერიუმები განსაზღვრული, მიუხედავად იმისა, რომ ამ მანძილში ხვდება უნიკალური ნაკრძალი, მითუმეტეს რომ მშენებლობის ხმაური დოკუმენტის მიხედვით 1.5 თვის განმავლობაში გრძელდება, ხოლო განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრანსპორტის ხმაური, რაც უკვე 36 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

	<p>ამ ცხრილში ასევე საუბარია სატრანსპორტო ხმაურის მაღალ ზემოქმედებაზე, თუმცა მეთოდოლოგიურ ნაწილში ამ მნიშვნელოვანი წყაროსთვის ზემოქმედების ეფექტი გათვლებში არ განიხილება.</p> <p>რამდენადაც ღამის ხმაური ჩვენი გადათვლებით თითქმის ტოლია 45 დბა-ის, ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპისთვის საშუალოდ (როგორც ეს გაცხადებულია ცხრილში 6.3.4) არ უნდა ჩაითვალოს, არამედ ღამის ფაქტორის გამო იგი უნდა განიხილებოდეს როგორც „მაღალი“. ამ ზემოქმედების „მოხდენის ალბათობა“ ასევე ვერ უნდა შეფასდეს „დაბალ რისკად“, აგრეგატები 24 საათს მუშაობენ და წარმოქმნიან ხმაურს დღისით და ღამით.</p> <p>ამ მნიშვნელოვან ცხრილში უკვე 0.1-02 კმ-მდე, ანუ უკვე 200 მეტრამდე ფასდება მანძილი უახლოეს რეცეპტორამდე (სინამდვილეში, დოკუმენტის შესაბამისად, უახლოეს შენობამდე რეალური მანძილი 100 მეტრამდეა).</p> <p>ამასთან, ექსპლუატაციის ეტაპზე უკვე აღარ არის უკვე საუბარი 1.0 თუ 1.5 კმ რადიუსის ზემოქმედების არეალზე ველური სამყაროსთვის, თუმცა ცხრილში 6.3.4. ზემოქმედების შეფასება „მოხინადრე ცხოველები“ დასახელებულია ზემოქმედების რეცეპტორებად.</p> <p>ჰაერის დაბინძურება</p> <p>ქვეთავში 6.2.2.1.1 „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგები“ და არც დანართში 5 „გაბნევის ანგარიშის გრაფიკული ასახვა“ წარმოდგენილი არ არის და შეუძლებელია „№ 1 2, 3, 4, 5“ წერტილებზე ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების სიდიდის სივრცული ინტერპრეტირება.</p> <p>6.2.2.1.2 დასკვნით ცხადი ხდება თუ რატომ არ განიხილება სატრანსპორტო გზის და მილსადენის მშენებლობის ფაქტორი - ნორმირებულ 500 მ მანძილზე ზემოქმედების განხილვით შესაძლებელი გახდებოდა ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე, რომლებიც ამ „ნორმატიულ“ მანძილზე ბევრად უფრო ახლოს მდებარეობს გზის და მილსადენის შემთხვევაში.</p> <p>დოკუმენტით „ჰესის ოპერირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიის წყაროები არც სათავე და არც ძალური კვანძის ტერიტორიაზე არ იარსებებს“. აღნიშნული არ ითვალისწინებს საავარიო გენერატორის საჭიროებას ძალური კვანძის ტერიტორიაზე და შესაბამის გაფრქვევებს მოსახლეობის უშუალო სიახლოვეს.</p> <p>დასკვნა: ტრანსპორტის და მილსადენის მშენებლობის ხმაურის ზემოქმედება დაცული ტერიტორიების ველურ გარემოზე და ჰესის აგრეგატების ხმაურის შესაძლო მუდმივმოქმედი ზემოქმედება მოსახლეობაზე ექსპლუატაციის პროცესში არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად არ არის შეფასებული ზემოქმედებები და დასახული შემარბილებელი ზომები. ამასთან, მანძილები კრიტიკულ რეცეპტორებამდე (ნაკრძალი, მოსახლეობა) და სხვა ფაქტორები არ არის სრულფასოვნად შეფასებული, ხოლო შემარბილებელი ფაქტორები (მაგ. ხე-მცენარეულობა, როგორც ბარიერი) გაზვიადებულადაა წარმოდგენილი.</p>
VIII	კულტურული მემკვიდრეობა
1	<p>ლანდშაფტის არეალები</p>

ქვეთავში 6.9.1 „ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია“ თავიდანვე გაცხადებულია, რომ „ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შეფასება მეტ-ნაკლებად სუბიექტურ ხასიათს ატარებს“. მსგავსი განცხადება მიუღებელია გზშ-თვის. სპეციალისტის მოვალეობაა სუბიექტური მოსაზრებები თავიდან აიცილოს და ობიექტურ ფაქტებზე მსჯელობით მოახდინოს ზემოქმედებების შეფასება. აღნიშნული ფრაზა მხოლოდ პროექტის ლანდშაფტურ-ვიზუალური ზემოქმედებების გამართლებას ემსახურება და არა მათ ობიექტურ (და არა სუბიექტურ) შეფასებას.

ამ თემაზე ქვეთავში 6.9.2.1 „მშენებლობის ეტაპი“ განცხადებულია, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ მოხდება სამშენებლო ბანაკიდან და სამშენებლო მოედნიდან მანქანა-დანადგარების, მასალის და ნარჩენების გატანა, დაშლილი და გატანილი იქნება დროებითი კონსტრუქციები, გაყვანილი იქნება მუშახელი, მოხდება ტერიტორიის რეკულტივაცია“.

სამწუხაროდ, ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხეობაში მიყრილ-მოყრილია და კალაპოტში ვიზუალურად ჩანს მილსადენები, მიტოვებულია ადგენის გარეშე პროექტის სამშენებლო ბანაკი. ეს ყველაფერი ინტერნეტშიც კი მშვენივრად ჩანს სატელიტური სურათებიდან, ველზე გადამოწმების გარეშეც. თანაც, დოკუმენტშიც დადასტურებულია, რომ არ მომხდარა ხადორი-2-ის ბანაკის დემონტაჟი.

ამდენად, ზემოაღნიშნული შემარბილებელი ქმედება რეალურად არ განხორციელებულა ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის შემთხვევაში, სავარაუდოდო ანალოგიური მოთხოვნის მიუხედავად. დარწმუნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რამდენადაც არ არის გაანალიზებული წინა გაკვეთილები, იგივეს ექნება ადგილი ხადორი-3-ის შემთხვევაში - არც დეველოპერი შეცვლილა და არც მისი კონსულტანტი.

მართლაც, ქვეთავში 6.9.2.2 „ექსპლუატაციის ეტაპი“ განცხადებულია, რომ ხადორი-2 ჰესის შენობის მიმდებარედ ტერიტორიაზე „მრავლადაა სხვა და სხვა შენობა ნაგებობები“. სავარაუდოდ "სხვა და სხვა" შენობები ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის დატოვებული და მიტოვებული შენობებია. აღნიშნული უნდა განვიხილოთ როგორც კუმულაციური ზემოქმედება და არა შემარბილებელი ღონისძიება. მსგავსი მიდგომა ავტორების მიდგომების კიდევ ერთი გამოვლინებაა, სადაც წინა პროექტის ნარჩენ ზემოქმედებას განიხილავენ როგორც შემარბილებელ ფაქტორს: ახალი შენობები თურმე იმიტომ არ გამოჩნდება რომ წინა პროექტის შენობებმა უკვე დააზიანეს ლანდშაფტი. მსგავსი არგუმენტები მიუღებელია გზშ-ში.

თუმცადა, რას გააანალიზებდა კონსულტანტი, თუკი ხადორი-2, სავარაუდოდ უკანონოდ, გათავისუფლებულ იქნა გზშ-გან (იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2094094>), ხოლო ხადორი-2 პროექტის დამტკიცებული გზშ არ არსებობს (იხ. http://www.osgf.ge/files/publications/2013/Energy_project.pdf). როგორც ჩანს არც გერმანიის KfW-ს ბანკს მოუთხოვია ხადორი-2-თვის გზშ.

რაც შეეხება იმავე ცხრილში ზემოქმედებებს ექსპლუატაციის ეტაპზე, ავტორები უნდა დაგვეთანხმონ, რომ მდინარის დებიტის ცვლილებას (იგივე შეეხება ჰესის ინფრასტრუქტურას და ნაგებობებს) ექნება არა **დაბალი**, არამედ **მაღალი** ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება.

დასკვნა: ხადორი-2-ის მსგავსად მოსალოდნელია, რომ არ მოხდება სამშენებლო ბანაკის დემონტაჟი და რეკულტივაცია. ამასთან, კასკადის წინა საფეხურების (ხადორი-1 და ხადორი-2) შემდეგ დატოვებული ბანაკის კუმულაციური ზემოქმედება ლანდშაფტზე შემარბილებელ ფაქტორად არის წარმოდგენილი. მდინარის დებიტის ცვლილების ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება უმართებულოდაა შეფასებული

	როგორც დაბალი, შესაბამისად, არ არის დასახული შემარბილებელი ღონისძიებები, მაგ. "ეკოლოგიური ხარჯის" გზით.	
2	სალოცავი ადგილები / ობიექტები	-2
	<p>ზემოქმედებების დახასიათებისას თავიდანვე განცხადებულია, რომ „ლიტერატურული წყაროებისა და სავსე სამუშაოების შედეგების მიხედვით პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურულ ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დადასტურებულა“.</p> <p>საინტერესოა, იყო თუ არა ჯგუფის შემადგენლობაში სათანადო სპეციალისტი კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიის მიმართულებით? რას ეფუძნება მსგავსი უარყოფითი დასკვნა? საქართველოში ძნელად მოიძებნება ისეთი ტერიტორიები, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები არ დასტურდება. არ არის წარმოდგენილი რაიმე მასალა იმის დამადასტურებელი, რომ კვლევებში მოყვანილი დასკვნა „საკვლევ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაფიქსირებული არ ყოფილა და საპროექტო დერეფნის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (საპროექტო დერეფანი წარმოადგენს ნამდინარე ტერიტორიას), არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენის რისკი მინიმალურია“ კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის მიერ არის მოწოდებული.</p> <p>შეფასებაში კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის მონაწილეობის გარეშე ნდობას არ იმსახურებს შეფასება, რომ პროექტის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურული ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დადასტურებულა.</p>	
3	ტრადიციები და რიტუალები	-2
	<p>აღნიშნულზე საუბარი დოკუმენტში არ არის. ავტორებმა როგორც ჩანს ვერ „შენიშნეს“, რომ პროექტი ქისტი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების არეალში ხორციელდება, რომლებიც უნიკალურ მრავალფეროვნებას მატებენ საქართველოს ეთნიკურ და რელიგიურ პალიტრას. სიტყვა ქისტი საერთოდ მოხსენიებული არ არის არც ტრადიციების და რიტუალების კონტექსტში, და არც ეთნიკური შემადგენლობის, უმცირესობის ან თვითმყოფადი (indigenous) მოსახლეობის კონტექსტში.</p> <p>დოკუმენტში არ არის დახასიათებული საქართველოს ადგილობრივი ქისტი მოსახლეობის ტრადიციები და რიტუალები.</p>	
4	კონსულტაციები თემებთან / დაინტერესებულ მხარეებთან	-2
	დოკუმენტი არ შეიცავს კონსულტაციებს თემებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე.	
5	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-2
	<p>ხადორი-2-ის უარყოფითი გამოცდილებიდან გამომდინარე, საექვოა ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედებების ქვეთავში 6.9.3 „შემარბილებელი ღონისძიებები“ შემოთავაზებული ქმედებების შესრულება:</p> <p>ციტატა: „როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივი ნაგებობების ფერის და დიზაინის შერჩევა მოხდება ისე, რომ შეხამებული იყოს გარემოსთან“</p> <p>კომპანია "ფერის" და მისი ხელმძღვანელის გამოცდილება დარიალის ხეობაში ჰესის სტრუქტურებისთვის ფერის შერჩევაში უარყოფითია - იქ ნაგებობები და მეტალის კონსტრუქციები ყვითელ ფერად არის შეღებილი და იჟანგება კიდევ. იგივე მიდგომას ექნება სავარაუდოდ ადგილი ხადორი-3-ზე. (დადასტურდა სავსე ვიზიტით - ხადორ-2-თან მოწყობილი ახალი ხიდი ალაზანზე ისევ ყვითლადაა შეღებილი.)</p>	

	<p>ციტატა: „დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების განთავსებისთვის შეძლებისდაგვარად შერჩეული იქნება შეუმჩნეველი ადგილები“</p> <p>ხადორი-2-ის შემთხვევაში აღნიშნულს აშკარად არ აქვს ადგილი და საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ იგივე გამოვრდება ხადორი-3-ის შემთხვევაშიც.</p> <p>ციტატა: „მშენებლობის დასრულების შემდგომ ძალური კვანძის ირგვლივ მოხდება კულტურული და დეკორატიული ხე-მცენარეების დარგვა-გახარება“</p> <p>აღნიშნულს ბევრად აჯობებდა ადგილობრივი სახეობების დარგვა, მაგრამ კონსულტანტის წინადადება საუკეთესო პრაქტიკის ამ მიდგომას არ იზიარებს.</p> <p>შემაჯამებელ ცხრილში 6.9.4.1. „ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შეჯამება“ მშენებლობის ეტაპზე ზემოქმედების რეცეპტორებს შორის დასახელებულია „მახლობლად მოხინაძრე ცხოველები“. შეგვიძლია დანამდვილებით ვივარაუდოთ, რომ ცხოველებზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედებას ვერ ექნება "სუბიექტური" ხასიათი.</p> <p>ცხრილში 6.12.1.1. „კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები“ „საშუალო“ კატეგორიის ზემოქმედებაა და განხილული „შესაძლოა დაზიანდეს /განადგურდეს ადგილობრივად მნიშვნელოვანი ობიექტის 10-25%“. ნამდვილად გაუგებარია, ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტის 10-25 პროცენტით <i>განადგურება</i> რატომ უნდა მივიჩნიოთ <i>საშუალო</i> და არა <i>მაღალ</i> ზემოქმედებად?</p> <p>შეგვიძლია შეჯამების სახით დავასკვნათ, რომ ხადორი-2-ის გამოცდილებით მოსალოდნელია, რომ არ მოხდება სამშენებლო ბანაკის დემონტაჟი და რეკულტივაცია შესაბამისი ნარჩენი ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედებით. „ეკოლოგიური ხარჯის“ დადგენის პრობლემატურობის კონტექსტში მდინარის დებიტის ცვლილების ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედებისა შერბილება დიდი ალბათობით ვერ მოხერხდება. სავარაუდოდ დაკნინებულია საპროექტო ტერიტორიის ღირებულება კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით. ასევე იგნორირებულია, შეუფასებელი რჩება და შესაბამისად არ შემუშავებულა ქისტების ადგილობრივი თემის ღირებულებებზე ზემოქმედების შერბილების გეგმა.</p>
IX	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებები
1	<p>პროექტის არეალი და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მოსახლეობის / პირების განსაზღვრა</p> <p style="text-align: right;">na</p>
	<p>აღნიშნული საკითხები დოკუმენტში განხილული არ არის. არეალი შემოსაზღვრული არ არის. არ ჩატარებულა სათანადო აღწერა.</p>
2	<p>შინამეურნეობების რაოდენობები და შემოსავლები</p> <p style="text-align: right;">na</p>

	აღნიშნული კვლევები ჩატარებული არ არის, რადგან პროექტი ფორმალურად არ ითვალისწინებს განსახლების საკითხების გადაჭრას.	
3	მეთოდოლოგია და მეთოდური შეზღუდვები	-1
	სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებების მეთოდოლოგიური საკითხები დეტალურად განხილული არ არის. დადგენილია პროექტის ზემოქმედებების გარკვეული სახეები, თუმცა შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმებში ისინი ასახული არ არის.	
4	მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდოლოგია / ტიპი ა) შინამეურნეობების ინტერვიუები ბ) შინამეურნეობების ინტერვიუები გ) დაინტერესებული მხარეები დ) შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან ე) ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან ვ) ბაზრები ზ) კითხვარები თ) შეზღუდვები / შემზღუდველი ფაქტორები	na
	პროექტი არ ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, ამდენად მსგავსი სოციალური კვლევები არ განხორციელებულა.	
5	მიწის საკუთრება და მიწათსარგებლობა	-1
	მიწის გამოყენების და დაფარულობის რუკები, ისევე როგორც ინფორმაცია მიწის საკუთრების შესახებ დოკუმენტში მოცემული არ არის.	
6	დემოგრაფიული პროფილები	-2
	დოკუმენტში დემოგრაფიული კვლევების მონაცემები მოყვანილი არ არის.	
7	ეთნიკური შემადგენლობა, უმცირესობები, თვითმყოფადი ხალხის სტატუსი (indigenous status)	-2
	მაღლა უკვე აღინიშნა და აქაც გავიმეორებთ, რომ ამ თემებზე საუბარი დოკუმენტში არ არის. ავტორებმა ვერ „შენიშნეს“, რომ პროექტი ქისტი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების არეალში ხორციელდება, რომლებიც საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების უნიკალური წარმომადგენლები არიან, უაღრესად გამართული ქართული მეტყველებით და თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორიით. სიტყვა „ქისტი“ საერთოდ მოხსენიებული არ არის დოკუმენტში არც ადგილობრივი ტრადიციების და რიტუალების, არც ეთნიკური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობის ან თუნდაც თვითმყოფადი (indigenous) მოსახლეობის კონტექსტში.	
8	შინამეურნეობების შემოსავლები და პროექტის არეალის აღწერა	na
	პროექტი არ ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ, ამდენად შინამეურნეობების კვლევები არ განხორციელებულა.	
9	ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ და ძირითადი დასახლებული პუნქტები	-1

	აღნიშნული საკითხები განხილულია უაღრესად განზოგადოებულად, მუნიციპალიტეტის და არადეტალურ დონეზე.	
10	ადმინისტრაციული მოწყობა	-1
	აღნიშნული საკითხები ასევე განხილულია უაღრესად განზოგადოებულად, მუნიციპალიტეტის და არადეტალურ დონეზე.	
11	დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა	-2
	დაინტერესებული მხარეები (სტეიკჰოლდერები) არც სოციალურ-ეკონომიკური კუთხით არის განხილული დოკუმენტში.	
12	მიწის რესურსების ათვისება პროექტის მიერ	-2
	სოციალურ-ეკონომიკური და არც გარემოსდაცვითი კუთხით ეს საკითხები არ არის განხილული დოკუმენტში.	
13	ტყეების მოხმარება და დამოკიდებულება ტყის რესურსებზე	-2
	სოციალურ-ეკონომიკური კუთხით ეს საკითხები არ არის განხილული დოკუმენტში.	
14	სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა	-1
	ახმეტის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 142-ე გვერდზე მოყვანილი მონაცემებით 80266 ჰა უკავია, თუმცა ქვემოთ სხვა რაოდენობრივი მაჩვენებელია მოყვანილი: 143-ე გვერდზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობია 23314 ჰა, ხოლო 145-ე გვერდზე სათიბ-სამოვრებით ფართობი შეადგენს 62113 ჰა-ს. ამ ორი რიცხვის დაჯამებით მაინც არ მიიღება სათანადო მაჩვენებელი. აღნიშნული საკითხები ძალზე განზოგადებულად არის დოკუმენტში განხილული. სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის საკითხები ზოგადაა განხილული დოკუმენტში, ისიც მხოლოდ მუნიციპალიტეტის დონეზე.	
15	მეთევზეობა პროექტის ქვედა და ზედა წელში	0
	ცხრილში 5.2.9.3.2.1. „ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები“ წარმოდგენილია ადგილობრივი მეთევზეების გამოკითხვის შედეგები. იმ პირობებში, როდესაც იქთიოფაუნისთვის საბაზისო მონაცემების შეკრება ვერ მოხერხდა საკონტროლო ჭერების გზით (იხ. საკითხის აღწერა ანალიზის სხვა ნაწილში), ალაზნის საპროექტო მონაკვეთზე თევზის სახეობები გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა.	
16	მდინარის ნაპირები, მიმდებარე მიწათსარგებლობა	-1
	განხილულია ზედაპირულად, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მოსახლეობის და მათი საქმიანობების დეტალური აღწერის გარეშე.	
17	ძოვება	-1
	განხილულია ზედაპირულად, დეტალური აღწერის გარეშე. ზოგ შემთხვევაში გარემოზე პროექტის ზემოქმედების შეფასების ნაცვლად განხილულია უარყოფით კონტექსტში მოსახლეობის საქმიანობების (მაგ. ძოვება და ნიადაგების ეროზია) ზემოქმედება გარემოზე.	
18	გზები	-1

	ადგილობრივი გზებისთვის განსაზღვრულია „გზის ყველა დაზიანებული უბნის მაქსიმალური აღდგენა“, თუმცა ჩვეულებრივ საუკეთესო პრაქტიკით აუცილებელია აღდგენა თავდაპირველ ან უკეთეს მდგომარეობამდე. ამასთან, გზების აღდგენა დაბალ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, როგორც ეს ამ ღონისძიებებისთვის არის მითითებული შემარბილებელი ღონისძიებების შეფასების ცხრილში.	
19	მოსახლეობის შემოსავლების წყაროები და სერვისები	-2
	განსაზღვრულია უაღრესად ზოგადად და სქემატურად.	
20	სოციალური სტრუქტურა. ქსელი, ინსტიტუციები	-2
	აღნიშნული საკითხი არ არის განხილული, მითუმეტეს რომ საქმე გვაქვს პანკისის ხეობის სპეციფიკურ თემებთან.	
21	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-2
	<p>ცხრილში 6.11.1.1. „სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები“ კრიტერიუმით „ადგილი აქვს ხანგრძლივ, თუმცა მოსახლეობისთვის ადვილად შეგუებად ზემოქმედებას გარემოზე“ გარემოსდაცვითი ფაქტორი მხოლოდ დაბალი უარყოფითი ზემოქმედებისთვის არის ნახსენები და არ განიხილება მაღალი ზემოქმედების კრიტერიუმად.</p> <p>არ განიხილება პროექტის მიერ სოციალური კომპენსაციის ღონისძიებები, მაგალითად სოფელ ბირკიანისთვის ირიგაციის "კუსტარული" სათაო ნაგებობის მოწყობა "არაკუსტარულად".</p> <p>სოციალური ზემოქმედებების შეფასების ქვეთავი 6.11.2.1 „ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, რესურსების შეზღუდვა“ სრულდება განცხადებით, რომ „მდინარე ალაზანს უერთდება მდ. ხოროჯოსწყალი, მდ. ბაწარა და რამოდენიმე უსახელო ხევი იხ. ნახაზი 6.11.2.1.1., ასევე ხელუხლებელი რჩება ხადორი 2 ჰესის ეკოლოგიური ხარჯი. ამრიგად სარწყავი არხისათვის შესაძლებელი იქნება საკმარისი წყლის აღება.“</p> <p>ამასთან, არსად არ არის გათვალისწინებული დოკუმენტში, რომ სარწყავი წყალაღება შეამცირებს "ეკოლოგიურ ხარჯს", რომლის გაანგარიშება არ ხდება, მაგრამ ენთუზიაზმით არის ყველგან საუბარი ბაწარას და რამდენიმე "უსახელო" შენაკადის დადებით ფაქტორზე. სიმპტომატურია, რომ „ეკოლოგიური ხარჯზე“ ზემოქმედების დადებითი ფაქტორი მრავალჯერაა ნახსენები და უარყოფითი ფაქტორი ერთადერთხელ და იქაც "ეკოლოგიური ხარჯი" არ არის გათვალისწინებული. კიდევ ერთხელ უსვამს აღნიშნული ხაზს იმ გარემოებას, რომ კონსულტანტი კი არ გამოავლენს, არამედ დაკნინებულად წარმოადგენს მნიშვნელოვან ზემოქმედებებს.</p> <p>იგივე მიდგომა მეორდება ნახაზზე 6.11.2.1.1. „მდინარე ალაზანის შენაკადები“, სადაც ნაჩვენებია შენაკადები (დადებითი ფაქტორი), მაგრამ არ არის ნაჩვენები ირიგაციის არხი (უარყოფითი ფაქტორი მდინარის ხარჯის შემცირების მიმართ).</p> <p>კატეგორიული უარია გაცხადებული ზემოქმედებების საკომპენსაციოდ გამომუშავებული ელექტროენერჯის შემოსავლებით მოსახლეობის ელექტროენერჯის დანახარჯების გარკვეული მექანიზმით თუნდაც მცირედ სუბსიდირებაზე ინვესტორის მხრიდან.</p> <p>ქვეთავში 6.11.2.2 „დასაქმებასთან დაკავშირებული დადებითი და ნეგატიური ზემოქმედებები“ საუბარია იმაზე, რომ „სხვადასხვა</p>	

მასალების შესყიდვისას უპირატესობა მიენიჭება ადგილობრივი პროდუქციას (მათ შორის, ინერტული მასალები, ხე-ტყე) და მოხდება ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერა“, თუმცა არ არის საუბარი იმაზე, რომ ტყის ჭრას და ინერტული მასალების მოპოვებას უარყოფითი ზემოქმედება ექნება ადგილობრივ გარემოზე.

ქვეთავში 6.11.2.3 „წვლილი ეკონომიკაში“ ოპტიმისტურადაა განცხადებული, რომ პროექტის მიერ გამოიმუშავებულ ენერჯიას „დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის“, თუმცა, გაურკვეველია, რა „დიდი მნიშვნელობა“ უნდა ჰქონდეს ქვეყნის ენერგეტიკისთვის 5.4 მეგავატთან ჰესს? ეკოლოგიურ-ეკონომიკური დასაბუთებით შეიძლება ადვილად აღმოჩნდეს, რომ ეკოლოგიური ხარჯები ბევრად აჭარბებს ეკონომიკურ სარგებელს, მაგრამ კანონმდებლობის ეს მოთხოვნა არ არის გაანალიზებული წარმოდგენილ გზშ-ში.

აქვე აღნიშნულია ისიც, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში შევა დამატებითი თანხები, მაგ. ქონების გადასახადის სახით, მაგრამ რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის მოყვანილი.

ქვეთავში 6.11.2.4 „ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, გადაადგილების შეზღუდვა“ აღიარებულია გზის საფარის დაზიანება და ამით მოსახლეობის შესაძლო უკმაყოფილება, მაგრამ სამწუხაროდ გარემოზე ზემოქმედება გაზრდილი მძიმე ტექნიკის გადაადგილების და სატრანსპორტო ნაკადების შედეგად სათანადოდ შეფასებული არ არის დოკუმენტში.

ამავე ქვეთავში საუბარია იმაზეც, რომ „შერჩეული იქნება სამუშაო უბნებზე მისასვლელი ოპტიმალური - შემოვლითი მარშრუტები“, თუმცადა ქვეთავში 3.3.2 „მისასვლელი გზები“ ნათქვამია, რომ ახალი გზების მოწყობა არ იგეგმება.

ქვეთავში 6.11.2.5 „ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები“ არაპირდაპირ ზემოქმედებადაა დახასიათებული პროექტის მიერ „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესება, ხმაურის გავრცელება და სხვ“, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს საფუძველს ეჭვი გამოვთქვათ დოკუმენტის ხარისხთან მიმართებაში.

ცხრილი 6.11.3.1. „სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების შეჯამება“ განიხილავს „წყლის რესურსების გამოყენების შეზღუდვა“-ს მხოლოდ მშენებლობის ფაზაზე, ამასთან არანაირი შემარბილებელი ღონისძიებები არ არის დასახული, მაგალითად კომპენსაციის სახით ირიგაციის არხის შეკეთება-მოწყობა, მითუმეტეს, რომ წყლის რესურსების ხელმისაწვდომობის შემცირების ხანგრძლიობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მშენებლობის ფაზით, როგორც ეს ამ ცხრილითაა განსაზღვრული. ეს ზემოქმედებები მუდმივად გაგრძელდება „ეკოლოგიური ხარჯთან“ და ბირკიანის და დუისის წყალმომარაგებასთან მიმართებაში (მდინარის ნაცვლად ნამუშევარი სასმელი წყარო).

აქვე „ეკონომიკაში შეტანილი წვლილი და დასაქმება“ განხილულია როგორც „საშუალო დადებითი“ ზემოქმედება, თუმცა დოკუმენტში არსად არ არის დასაბუთებული, თუ როგორია ხადორის კასკადის მოქმედი ჰესების (1-ლი და მე-2) გამოცდილება ამ მიმართებით.

ამავე ცხრილში, კერძო მანქანების გადაადგილების ნაცვლად მძიმე ტექნიკის მოძრაობით გამოწვეული შეფერხებები ვერ ჩაითვლება **საშუალო ან დაბალი** ზემოქმედების მქონედ.

თუკი შევაჯამებთ, **რაოდენობრივი მაჩვენებლების მოყვანის გარეშე ზედმეტი ოპტიმიზმით არის შეფასებული პროექტის სოციალურ-**

	<p>ეკონომიკური სარგებელი. გადაჭარბებულადაა შეფასებული ჰესის წვლილი ქვეყნის ენერგოსისტემაში, ზოგიერთ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების ხარჯზე (ხე-ტყის და ინერტული მასალის ადგილობრივი მოპოვების წახალისება). უარია ნათქვამი სოციალური კომპენსაციის პასუხისმგებლობაზე (ადგილობრივების ელექტრო მოხმარების ნაწილობრივი სუბსიდირება), არ არის გამოყენებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შესაძლებლობები (საირიგაციო წყალადება). დასაქმების ზრდის შეპირება არ არის ილუსტრირებული კასკადის წინა სქემების დადებითი ან უარყოფითი გამოცდილებით. არ არის რეალური შემარბილებელი ღონისძიებები დასახული.</p>	
X	ფლორა	
1	კვლევის მეთოდოლოგია - დეტალური მონაცემები პროექტის ობიექტების და არელების მიხედვით	0
	<p>ქვეთავში 5.2.7.3.2 „ფლორისა და მცენარეულობის აღწერის და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომები“ საუბარია „ეკოკომპენსაციაზე“ „ექვივალენტური ტყის ჰაბიტატების“ აღსადგენად, მაგრამ დოკუმენტში ეკოკომპენსაციის ღონისძიებები არ არის შემოთავაზებული. (შენიშვნა: მართლწერის შეცდომა „ექვივალენტური“ სხვა მრავალ გზშ-ის დოკუმენტში იმეზნება ზუსტად იგივე შეცდომის გამეორებით.)</p> <p>ეკოკომპენსაციისთვის შემოთავაზებულია „ჰაბიტატ-ჰექტრის“ მეთოდოლოგია, მაგრამ ლიტერატურული წყარო მკითხველის საყურადღებოდ მითითებული არ არის (მხოლოდ ავსტრალიის შტატის მითითება საკმარისი არ უნდა იყოს მკითხველისთვის). თუმცადა, „ჰაბიტატ-ჰექტრის“ მეთოდოლოგიით გზშ-ში არაფერი არ არის გათვლილი - ეს მეთოდი რეალურად არ გამოიყენება.</p> <p>ფლორის თანამედროვე შეფასების და საკომპენსაციო მეთოდოლოგიების შემოთავაზების და დეტალური ფლორისტული კვლევის მიუხედავად, ვერ იქნა დადგენილი მნიშვნელოვანი სახეობები, ყურადღება არ არის გამახვილებული დაცულ ტერიტორიებზე შესაძლო ზემოქმედებებზე, არ არის საკომპენსაციო ღონისძიებების შემოთავაზების საჭიროება და შესაძლებლობა გამოყენებული.</p>	
2	ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	0
	<p>პუნქტში 3.2.2 ნათქვამია, რომ „გადაკვეთების შემცირების მიზნით, პროექტი აღნიშნულ მონაკვეთზე ითვალისწინებს არხისათვის ახალი თხრილის მოწყობას ისე, რომ გადაკვეთა მოხდეს მხოლოდ 1 წერტილში“. არსად ნახაზე არ არის გამოსახული, მაგრამ ლოგიკური ანალიზით ეს იმას ნიშნავს (დასტურდება შეიპფაილებითაც), რომ საირიგაციო არხის თხრილი მიუახლოვდება მდინარის ნაპირს და ზემოქმედებას იქონიებს მიმდებარე ჭალის ტყეებსა და ჰაბიტატებზე. აღნიშნული ზემოქმედება არც დაფიქსირებულია და არც შეფასებული, ამდენად არც შერბილებული.</p>	
XI	ფაუნა	
1	კვლევის მეთოდოლოგია	-1

	<p>ქვეთავში 5.2.8.3.2 „საველე კვლევის მეთოდები“ ბოლო აბზაცში მოცემულია ფაუნის სპეციალისტის კვლევის მარშრუტი, რომელიც არ მოიცავს ბაწარას ნაკრძალის ტერიტორიას, თუმცა იგი უშუალოდ ესაზღვრება პროექტის ტერიტორიის (მაგ. სატრანსპორტო გზას). აღნიშნული მნიშვნელოვანი სისუსტეა, რადგან ვერ შეფასდა დაცული ტერიტორიის მდგომარეობა ფაუნის სახეობების მიმართ და მხოლოდ ლიტერატურული წყაროებია გამოყენებული.</p> <p>დაცული ტერიტორიების ქვეთავში 5.2.10.2 „ფაუნა“ მდიდარი სახეობრივი აღწერილობაა მოყვანილი, მაგრამ არ არის ნაგარაუდები, გადმოდიან თუ არა ფაუნის სახეობები საპროექტო არეალში.</p> <p>დასკვნა: საველე კვლევებით ობიექტის მიმდებარე დაცული ტერიტორიების ველური ბუნება არ შეფასებულა.</p>	
2	<p>მონაცემები</p>	-1
	<p>ზურმუხტის ქსელის საიტის განხილვისას განცხადებულია, რომ წავის შემთხვევაში „არ არსებობს ზუსტი მონაცემები ხეობაში ამ სახეობის ზუსტი ლოკაციის ან პოპულაციის სტრუქტურის და რიცხოვნების შესახებ“. არადა, ამ მნიშვნელოვანი საკითხების დადგენა საბაზისო კვლევების ამოცანაა, ასე რომ ამ ინფორმაციის არარსებობა კვლევების უხარისხობაზე მიუთითებს.</p> <p>საბაზისო კვლევების დასკვნები მნიშვნელოვანი სახეობების მიმართ გამოტანილ იქნა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით.</p>	
3	<p>დაცული ტერიტორიები</p>	-1
	<p>დაცულ ტერიტორიებზე ფაუნისტური საველე კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა ექსპერტის დასკვნით „პანკისის ხეობის ბაწარას, ბაბანეურის და ილტოს დაცულ ტერიტორიებთან ახლოს მდებარეობის გამო მაღალია მათი ხშირი შეხვედრიანობის ალბათობა“ (გვ. 103). აღნიშნულით დასტურდება ნაკრძალებთან სიახლოვის გამო ზემოქმედება ფაუნაზე. ამ პირობებში გაუგებარია, რატომ თვლის დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე და იქ ბინადარ ფაუნის სახეობებზე პროექტის ზემოქმედებას არ აქვს ადგილი?</p> <p>ქვეთავში 6.7.5 „ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე“ ავტორები ხაზს უსვამენ, რომ „ბაწარას დაცული ტერიტორია შექმნილია მირითადად, დენდროფლორის რელიქტის, უთხოვრის ტყის კორომის დასაცავად“ და არ საუბრობენ ნაკრძალის ბინადართა დაცვაზეც. ამით ავტორები სავარაუდოდ ცდილობენ გაამართლონ ფაუნისთვის შემარბილებელი ღონისძიებების საჭიროების არარსებობა (იხ. ქვემოთ).</p> <p>აქვე ნათქვამია, რომ მილსადენის „აღნიშნულ მონაკვეთზე მშენებლობა წარმართება მოკლე ვადაში, მხოლოდ მილსადენის ტრანშეის ამოღება და მილსადენის ჩადების პროცედურები მაქსიმუმ 1 კვირის მანძილზე განხორციელდება“. ამდენად, აქ მითითებულია რომ ნაკრძალთან სამუშაოები მაქსიმუმ 1 კვირის მანძილზე გაგრძელდება, ხილო ზურმუხტის ქსელის საიტის იგივე ბაწარას უბანზე სამუშაოები 1-1.5 თვე გრძელდება, რაც მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა.</p> <p>რაც შეეხება გზაზე ტრანსპორტის და მძიმე ტექნიკის მოძრაობას, ნათქვამია, რომ მასზე „აქტიურად გადაადგილდება სატრანსპორტო საშუალებები, შესაბამისად იქაური ველორი ბუნება ანთროპოგენულ ზემოქმედებას გარკვეულწილად შეგუებულია“. მსგავსი ფრაზები მიუღებელია ეკოლოგიური კვლევისას, რომლის მიზანია შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და არა პრობლემასთან შეგუების</p>	

	<p>კონსტატაცია.</p> <p>შემდგომი დასკვნა „ხადორი 3 ჰესის სადაწნეო მილსადენის მშენებლობა იმ მოკლე ვადაში, რაც ამ მონაკვეთზე სამუშაოების წარმართვა იქნება, ვერ შეცვლის არსებულ ფონს და უარყოფითი ზემოქმედება ბაწარას დაცულ ტერიტორიაზე არ იქნება მნიშვნელოვანი“ უმართებულოა, რადგან არ არის გათვალისწინებული მძიმე ტექნიკის და სატრანსპორტო გადაადგილება 36 თვის განმავლობაში, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელოდ და ხანმოკლედ.</p> <p>შემდგომი რეკომენდაციის შესრულება „აუცილებელია მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხდეს დაცული ტერიტორიის სიახლოვეს დაგეგმილი სამუშაოების წარმართვა“ შეუძლებელია, რადგან მანქანა-დანადგარები გზაზე და კალაპოტში 36 თვის განმავლობაში იმოძრავენ.</p> <p>დაცული ტერიტორიები სავლეთ კვლევების მიღმა დარჩა. მის ველურ სამყაროზე ზემოქმედება ახლოს მიმდებარე გზაზე მძიმე ტექნიკის ხანგრძლივი გადაადგილებით იგნორირებულია, თანაც მიჩნეულია, რომ ველური ბუნება “შეჩვეულია” საგზაო ხმაურს, იმ პირობებში, როდესაც ბაწარას ნაკრძალი უშუალოდ ემიჯნება გზას, ხოლო მილსადენიდან ნაკრძალის საზღვრამდე მანძილი 100 მეტრია. შემცირებულადაა ნაჩვენები ჰესის მილსადენის მშენებლობის ხანგრძლიობა ნაკრძალის მახლობლად.</p>	
4	<p>ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?</p> <p>ფაუნის სპეციალისტი გრძლად აღწერს მოსახლეობის მხრიდან ბრაკონიერობის და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მის აღკვეთასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მოვების ზემოქმედებას მეწყერების წარმოშობაზე (გვ. 206-107), მაგრამ არ საუბრობს ფაუნაზე ზემოქმედებაზე უშუალოდ პროექტის მხრიდან.</p> <p>მშენებლობის ეტაპზე ზემოქმედება ფაუნაზე 179-ე გვერდზე მოხსენიებულია როგორც „არაპირდაპირი“, თუმცა ზემოქმედება თანაც არა მარტო დროებითი, არამედ მუდმივიც (მაგ. თევზებზე, ნაკრძალის ველურ სამყაროზე). ის რომ ზემოქმედება „პირდაპირია“ აღიარებულია შემდეგ გვერდზე, ხელფრთიანების შემთხვევაში.</p> <p>ამავე 180-ე გვერდზე ნათქვამია, რომ „მშენებლობისას გაიზრდება ხმაური და ვიბრაცია, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მტვრისა და სხვა მავნე ნივთიერებათა ემისიები. ზემოქმედებას დაექვემდებარება დერეფანში მობინადრე თითქმის ყველა სახეობა“.</p> <p>არადა დოკუმენტში ნაჩვენებია, რომ ხმაური მოქმედებს 1.5 კმ (იყოს თუნდაც 1.0 კმ) მანძილზე, ხოლო ბაწარამდე მანძილი გზიდან და მილსადენიდან, შესაბამისად, 0 და 100 მეტრია, ამდენად ზემოქმედება არა მხოლოდ "დერეფანში მობინადრე" სახეობებზეა მოსალოდნელი: დაცულ ნაკრძალში ველური სამყაროს შემოფოთება თუნდაც 1.0 კმ მანძილზე მხოლოდ "დერეფანში მობინადრე" სახეობებზე ზემოქმედებად ვერ განიხილება.</p> <p>ცხრილში 6.7.6.1. „ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეჯამება“ მშენებლობის ეტაპზე ხმაური 36 თვის განმავლობაში განხილულია როგორც „აკუსტიკური ფონი“, ამდენად იგი აღარ არის მიჩნეული როგორც მაღალი ან ძალიან მაღალი. ამასთან, ნათქვამია, რომ „ხანგრძლივობა შემოიფარგლება მშენებლობის ფაზით“, მაგრამ არ არის განსაზღვრული. რა ხანგრძლიობის არის ზემოქმედება ამ ფაზაში: 4-5 დღე, 1.0-1.5 თვე, თუ სულაც 36 თვე.</p>	-1

	<p>ზურმუხტის ქსელის განხილვისას მიყვანილია ცხრილი 6.7.7.6.1, მაგრამ სათაურში არ არის განმარტებული ცხრილის დანიშნულება. ასევე არ არის დასათაურებული ზემოქმედების შეფასების ცხრილი 6.7.7.7.1, თუმცადა, ამ უკანასკნელში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზურმუხტის ქსელში დეზიგანიციის განმსაზღვრელ ველური სამყაროს ვერცერთ წარმომადგენელზე პროექტი ზემოქმედებას ვერ ახდენს (ზემოქმედება უარყოფილია ყველა აქ განხილულ სახეობაზე). შესაბამისად, ან დეზიგანიცია არასწორი, ან ავტორები ცდებიან შეფასებებში.</p> <p>ამავე ცხრილში ნათქვამია, რომ „მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოების შესრულებას არ თვალისწინებს“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება: თვითონ დოკუმენტშია აღიარებული, რომ მდინარის გადაადგმის სამუშაოები იწარმოებს და მას ზემოქმედება ექნება წყლის ხარისხზე და წყლის ჰაბიტატებზე და ბინადრებზე, მათ შორის წავზე და იქთიოფაუნაზე.</p> <p>ცხოველთა სამყაროს შემთხვევაშიც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ არის შემუშავებული რამდენადმე ფასეული შემარბილებელი ღონისძიებები ფაუნაზე ზემოქმედების შესამცირებლად სამშენებლო არეალში, მითუმეტეს დაცულ ტერიტორიებზე, რომელზეც ზემოქმედება არ არის შეფასებული, შესაბამისად არც შერბილებულია.</p>	
XII	ინფორმაცია წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე	
1	<p>კვლევის მეთოდოლოგია (სეზონური, საკონტროლო ჭერები მდინარეში და სხვ.)</p> <p>ქვეთავში 5.2.9 „იქთიოფაუნა“ 108 გვერდის ბოლო და 109 გვერდის პირველ აბზაცში ავტორები აღიარებენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტებს და არა მარტო საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას, რომელიც ამ პერიოდში ძალზე სუსტი იყო და 2018 წლიდან ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსია ძალაში შესული. კერძოდ, მოხსენიებულია EBRD-ის სტანდარტების მე-6 თავი (ბიომრავალფეროვნება). შესაბამისად, საუკეთესო (მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების) პრაქტიკის მიდგომებს ავტორები აღიარებენ, მათ შორის წყლის ბიოლოგიური რესურსებზე ზემოქმედების შეფასების და შერბილების საკითხებთან მიმართებაში.</p> <p>ამასთან, კვლევის ძირითად მეთოდებად გამოყენებული იყო ადგილობრივ მეთევზეთა გამოკითხვები და საკონტროლო ჭერები, თუმცა ეს უკანასკნელი წარუმატებელი აღმოჩნდა გაურკვეველი პროექტის ხმაურის ზემოქმედების შედეგად. შესაბამისად, იქთიოფაუნისთვის საბაზისო მონაცემები ვერ იქნა შეგროვებული.</p>	-1
2	<p>ჰიდროლოგია – მდინარის და შენაკადების ხარჯები, სეზონური მახასიათებლები</p> <p>იქთიოლოგიურ ანგარიშში ნახსენებია მხოლოდ, რომ ხადორი-3-ის მონაკვეთზე ალაზანს ერთვის რამდენიმე მცირე შენაკადი. აღწერა აქ არ არის განმტკიცებული სათანადო რუკებით, რეალური რიცხვებით და მაჩვენებლებით.</p> <p>გვერდზე 169 ქვეთავში 6.5.2.2 „ექსპლუატაციის ეტაპი“ ნათქვამია რომ „აუდიტის პერიოდში ჩატარებული დაკვირვების მონაცემების მიხედვით შენაკადების საშუალო ხარჯი არ იქმნა 1.5-2.0 მ³/წმ-ზე ნაკლები“. ისევ საუბარია „აუდიტის კვლევა“-ზე, რომელიც არ არის წარმოდგენილი დოკუმენტში, ხოლო შენაკადების ხარჯის შეფასება დაუსაბუთებელია და რაოდენობრივი შეფასება გაურკვეველია, 1.5 მ³/წმ-ია თუ 2.0 მ³/წმ.</p> <p>ალაზანის ხარჯების შესახებ ძველი მონაცემები იქნა მოძიებული, ხოლო შენაკადების ხარჯები საექსპერტო შეფასებით იქნა მხოლოდ</p>	-1

	დადგენილი.	
3	საბაზისო მონაცემები და ზემოქმედების შეფასება	-1
	როგორც აღინიშნა მაღლა, საკონტროლო ჭერებით იქთიოფაუნისთვის საბაზისო მონაცემები ვერ იქნა შეგროვებული.	
4	სახეობები – თევზები	-2
	თევზის ყველა შესაძლო სახეობები დოკუმენტში აღწერილია, თუმცა იქთიოლოგიისთვის საბაზისო მონაცემების დადგენის შეუძლებლობის პირობებში (საკონტროლო ჭერები გაურკვეველი საპროექტო ხმაურის გამო წარუმატებელი აღმოჩნდა) მსგავსი აღწერილობა პრაქტიკული თვალსაზრისით ნაკლებად ღირებულია. სამწუხაროდ იქთიოფაუნის საბაზისო (პროექტამდე) მდგომარეობა დოკუმენტში დადგენილი არ არის.	
5	მეთოდები	-1
	<p>ქვეთავში 5.2.9.3.1 „ვიზუალური აუდიტი“ მოხსენიებულია ვიზუალური აუდიტი ხადორი-1-ის კაშხლიდან ხადორი-3-ის წყალჩამოვებამდე, მაგრამ აუდიტის ანგარიში წარმოდგენილი არ არის დამატებით, ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ აუდიტის ანგარიში მხოლოდ 1/2 გვერდს მოიცავს 111-ე გვერდზე.</p> <p>„აუდიტის“ ნახევარგვერდიანი ანგარიში სრულდება დასკვნით, რომ „თევზჭერის შედეგად ვერ მოხერხდა იქთიოლოგიური მასალის მოპოვება. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით მდინარის ამ მონაკვეთზე თევზის არსებობა დადასტურებულია.“</p> <p>შემდგომ ქვეთავში 5.2.9.3.4 „იქთიოლოგიური კვლევის შედეგები“ გაცხადებულია, რომ კვლევისას 20-21/03/2017 პერიოდში იქთიოლოგიური მასალის მოპოვება ვერ მოხერხდა „იმიტომ რომ მდინარის ეს მონაკვეთი უკვე დატოვებს იქ მოზინადრე თევზის სახეობებმა, ამის მიზეზი გახდა მდინარის კალაპოტთან მიმდინარე სამუშაოების ჩატარების დროს გამოწვეული ხმაური, რის შედეგად თევზი დაფრთხა და გადაადგილდა მდინარის შუა ნაწილისკენ“.</p> <p>ზემოაღნიშნული ფაქტი შესაძლოა წარმოადგენდეს მტკიცებულებას, რომ სავარაუდოდ სამუშაოები მიმდინარეობდა გზშ-ის მომზადების დროს. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნულმა სამუშაოებმა იმოქმედა საბაზისო მონაცემების მოპოვების პროცესზე და ვერ მოხერხდა საბაზისო პირობების დადგენა ყველაზე მნიშვნელოვანი გარემო ფაქტორებისთვის, როგორცაა წარმოადგენს დაკვირვება თევზის რესურსებზე. შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული სავლე კვლევა არ მიმდინარეობდა იმ პირობებში, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების დადგენა, ამდენად სავლე კვლევა არარელევანტურად უნდა ჩაითვალოს.</p> <p>ამასთან ერთად, ავტორების მიერ არ არის დოკუმენტირებული და არ არის ფოტოზე ასახული ეს ხელისშემშლელი „სამუშაოები“, მიუხედავად იმისა, რომ სურათზე 5.2.9.3.3.1.2 გამოსახულია „თევზაობის ამსახველი ფოტო-საილუსტრაციო“ მასალა, თუმცა არ ჩანს სამუშაოები. აღნიშნულ შემთხვევაში კონსულტანტი არ გვაწვდის გზშ-თვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას.</p> <p>შემდეგი სურათი 5.2.9.3.3.1.3 „ხადორი 3 ჰესის საპროექტო მონაკვეთზე ჩატარებული თევზჭერის ადგილების სქემა“ ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული საკონტროლო თევზჭერა მიმდინარეობდა ხადორი-3-ის მონაკვეთზეც, აქაც ვერ მოხერხდა იქთიოფაუნის ნიმუშების დაჭერა, ამ მონაკვეთზეც მიმდინარეობდა კალაპოტში გარკვეული სამუშაოები და შესაბამისად აქაც „უკვე დატოვებს იქ მოზინადრე თევზის სახეობებმა“</p>	

	<p>მიმდინარე სამუშაოების გამო. შედეგად აღნიშნულით დასტურდება, რომ გზშ-ის მომზადებისას მდინარის კალაპოტში უკვე მომდინარეობდა სამუშაოები. გარკვეულ ეჭვს იწვევს ხომ არ იყო ეს ხადორი-3-ის პროექტთან დაკავშირებული სამუშაოები, რამეთუ დოკუმენტის არცერთ სხვა ნაწილში რაიმე სხვა მიმდინარე გარეშე პროექტი მოხსენიებული არ არის (იხ. მაგ. ქვეთავი 5.3.5 „პროექტები და სერვისები“, სადაც არ ჩანს აქ რაიმე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა).</p> <p>იგივე დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ქვეთავი 5.2.9.3.6 „დასკვნები“, სადაც გამეორებულია ტექსტში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები იქთიოლოგიური საკონტროლო ჭერების კვლევისას კალაპოტში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით.</p> <p>გზშ-ის ციტირებაზე დაყრდნობით ვასკვნი, რომ „თევზჭერის შედეგად ვერ მოხერხდა იქთიოლოგიური მასალის მოპოვება“ რადგან “მდინარის ეს მონაკვეთი უკვე დატოვებს იქ მოხინაძრე თევზის სახეობებმა, ამის მიზეზი გახდა მდინარის კალაპოტთან მიმდინარე სამუშაოების ჩატარების დროს გამოწვეული ხმაური”. განმეორებით საკონტროლო ჭერებს ადგილი არ ჰქონია, ამდენად ჰესების პროექტის გზშ-თვის უმნიშვნელოვანესი საბაზისო მონაცემების შეგროვება იქთიოფაუნის მდგომარეობის დასადგენად პრაქტიკულად არ შესრულდებულა.</p>	
6	სახეობები – წყლის (გარდა თევზებისა)	-2
	<p>დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის წყლის სხვა ბინადრების (იქთიოფაუნის გარდა) კვლევის შედეგები. კვლევა მხოლოდ საკვები ბაზის ვიზუალური შეფასებით შემოიფარგლა.</p>	
7	ზემოქმედების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?	-2
	<p>ცხრილში 6.7.1.1. „ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები“ ისევ გაერთიანებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები - მაგალითად არ არის განხილული ცალკე წყლის ბინადარი. ერთად განიხილება ფლორა და ფაუნა. მათთან ერთად განიხილება ჰაბიტატებიც. აქვეა გაყვანილი დაცული ტერიტორიებიც, რომლებიც ასევე ცალკე უნდა განიხილებოდეს (აღნიშნული შენიშვნა ეხება არა მხოლოდ წყლის ბიოლოგიური რესურსებს, არამედ ვრცელდება ფაუნის, ფლორის, დაცული ტერიტორიების და ჰაბიტატების თემებზეც).</p> <p>ამავე ცხრილში თევზები და წყლის სხვა ბინადრები აღარაა ნახსენები საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი ზემოქმედების კრიტერიუმების აღწერაში. კერძოდ, „მაღალი“ ზემოქმედების ქვეშ მითითებულია მხოლოდ „ხმელეთის ჰაბიტატები“, თუმცა აშკარაა ჰესების პროექტის მხრიდან მაღალი ზემოქმედება წყლის ჰაბიტატებზე.</p> <p>ქვეთავში 6.7.3.2 „ექსპლუატაციის ეტაპი“ განიხილება მხოლოდ წავი და ხელფრთიანები. თევზებს ავტორები საოპერაციო ეტაპზე პრინციპულად არ განიხილავენ შეუქცევადი ზემოქმედების მიუხედავად, თუმცა განიხილავენ სამშენებლო ეტაპზე, როდესაც ზემოქმედება შექცევადია.</p> <p>ქვეთავში 6.7.4 „იქთიოფაუნაზე ზემოქმედების დახასიათება“, კერძოდ 6.7.4.2 „ექსპლუატაციის ეტაპი“ გაცხადებულია, რომ „ხადორი 2 ჰესის სათაო ნაგებობის ქვედა ბიფში მდ. ალაზანს ემატება გარკვეული რაოდენობის წყლის ხარჯი, რაც გარკვეულად არბილებს იქთიოფაუნაზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების ხარისხს.“</p>	

აღნიშნული დასკვნა დადებით კონტექსტში ცდილობს წარმოაჩინოს პროექტის უარყოფითი ზემოქმედება. დღეს ხადორი-2-დან წყალი 11.5 მ3/წმ ხარჯით ეშვება ალაზანში. აღნიშნული ხარჯი 9 მ3/წმ-ით შემცირდება ხადორი-3 პროექტის შედეგად და მხოლოდ 2.5 მ3/წმ "გარკვეული" რაოდენობის წყლის ხარჯი გადავა წყალნაკლებ მდინარეში, რაც „გარკვეულ“ შემარბილებელ ღონისძიებადაა გასაღებული და არა ძლიერ ზემოქმედებად, რამეთუ სინამდვილეში დიდი რაოდენობის (9 მ3/წმ) ხარჯი აკლდება მდინარეს.

ცხრილში 6.7.6.1. „ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეჯამება“ მშენებლობის ეტაპზე ზემოქმედება იქთიოფაუნაზე შეფასებულია როგორც „დაბალი“, რაც უმართებულოა: ჰესის მშენებლობის ეტაპზე მდინარის გადაგდების და კალაპოტში მიმდინარე სხვა სამუშაოები ვერ ჩაითვლება დაბალ ან საშუალო ზემოქმედებად.

ამავე ცხრილში 6.7.6.1. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის ეტაპზეც ზემოქმედება იქთიოფაუნაზე შეფასებულია როგორც „დაბალი“. აქ კომენტარიც კი ზედმეტია - ჰესის ოპერირების შედეგად მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლა დახასიათებულია, როგორც დაბალი ზემოქმედების მქონე (ამასთან, აღიარებულია, რომ ზემოქმედება გრძელვადიანია და შეუქცევადი), მითუმეტეს რომ არ არის გათვალისწინებული რაიმე შემარბილებელი ღონისძიება. საერთოდ არ არის საუბარი ასევე "ეკოლოგიურ ხარჯზე". ყოველივე ეს არც არის გასაკვირი, რადგან შეფასების კრიტერიუმებში საერთოდ არ არის საუბარი ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებაზე, შესაბამისად სავარაუდოდ ეს ფაქტორი არ განიხილება ზემოქმედების ხარისხის შესაფასებლად.

მაღლა საუბარი გვექონდა კანონმდებლობის შესაძლო დარღვევაზე საქმიანობის განმახორციელების, სამინისტროს და მისი ექსპერტის მხრიდან „ეკოლოგიურ ხარჯთან“ მიმართებაში. მსგავსი მდგომარეობა გვაქვს იქთიოფაუნაზე ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ისეთივე მნიშვნელობის და მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხზეც, როგორც „ეკოლოგიური ხარჯია“. გადაწყვეტილების მიმღები უწყების მიერ შექმნილი საექსპერტო კომისიის (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2017 წლის 06 ოქტომბრის ბრძანება №674) შემადგენლობაში დამტკიცებული წევრის, ქ-ნი ზელა ჯაფოშვილის (იქთიოლოგიის ექსპერტი) მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, მართებულად არის მოთხოვნილი, რომ ზემოქმედება იქთიოფაუნაზე ჩაითვალოს როგორც „მაღალი“, თუმცადა საექსპერტო კომისიის აღნიშნულმა წევრმა „ვერ შენიშნა“, რომ ცხრილში 6.7.6.1. ექსპლუატაციის ეტაპზეც ზემოქმედება იქთიოფაუნაზე "დატოვებულია შეფასებით „დაბალი“. აღნიშნული არ გახლავთ უყურადღებობის ან არაკვალიფიციურობის შედეგი (მითუმეტეს, რომ აღნიშნული „უზუსტობა“ უნდა გადაემოწმებინა სახელმწიფო უწყებასაც), არამედ სავარაუდოდ ფაქტების დამახინჯებას აქვს ადგილი, რამდენადაც სახელმწიფო საექსპერტო კომისიის წევრი თავის დასკვნაში მიიჩნევს, რომ „მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც მისაღებია და რომელთა დაცვაც მკაცრად უნდა გაკონტროლდეს“. აღნიშნული მტკიცებულება არ შეესაბამება რეალობას, რადგან დოკუმენტში რეალური შემარბილებელი ღონისძიებები იქთიოფაუნაზე მაღალი ზემოქმედების შესამცირებლად ფაქტიურად დასახული არაა. ექსპერტი-იქთიოლოგი ამ შემთხვევაში ან შეგნებულად ამახინჯებს ფაქტებს, რაც კანონდარღვევაა, ან არასაკმარისი კვალიფიკაციისაა შემარბილებელი ღონისძიებების ანალიზის გამოცდილებასთან მიმართებაში, რაც ნიშნავს კანონდარღვევას პასუხისმგებელი სახელმწიფოს ორგანოს მხრიდან საექსპერტო კომისიის არასათანადოდ დაკომპლექტებით. ჩვენი მოსაზრების გარდა აღნიშნული ფაქტიურად დასტურდება მეორე სახელმწიფო ექსპერტ-ჰიდროლოგის მიერ, რომელიც დარწმუნებულია, რომ „ეკოლოგიური ხარჯის“ დოკუმენტში განსაზღვრული არ არის, შესაბამისად რეალურად ვერ გატარდება შემარბილებელი ღონისძიება იქთიოფაუნის მიმართ, რის უზრუნველყოფაც ამ კონკრეტულ პროექტში ეკოლოგიური ხარჯის გატარების გარეშე რეალურად ვერ მიიღწევა, რათა მაღალი ზემოქმედება რამენაირად შემცირდეს. აღნიშნულის აუცილებელი პირობა კი სწორედ „ეკოლოგიური ხარჯის“ დადგენა და დანერგვაა.

	შესაბამისად, არ არის სათანადოდ შეფასებული ჰესების პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქთიოფაუნაზე და ასევე არ არის შემუშავებული რამდენადმე ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები, განსაკუთრებით ექსპლუატაციის ეტაპისთვის, რომლისთვისაც არ არის დადგენილი "ეკოლოგიური ხარჯი". ამასთან, სავარაუდოდ ადგილი აქვს კანონმდებლობის დარღვევას, როგორც საქმიანობის განმახორციელებლის, ისე კომპეტენტური სახელმწიფო უწყების და მის მიერ შექმნილი საქსპერტო კომისიის ექსპერტ-იქთიოლოგის მხრიდან.	
8	ნატანის / სედიმენტების ტრანსპორტი, ეროზია, სედიმენტაცია	-1
	სამინისტროს შეკითხვების მიუხედავად, არც თავდაპირველ და არც საბოლოო ანგარიშში აღნიშნული საკითხები განხილული ან არ არის, ან განხილულია არასაკმარისად და არაადამაკმაყოფილებლად. ასე მაგალითად, ნატანის რაოდენობრივი შეფასებები 71-ე გვერდზე მოყვანილია მხოლოდ მოძველებული ისტორიული მონაცემების საფუძველზე (1954-75 წ. წ. და უფრო ძველი მონაცემები).	
9	წყლის ხარისხი და ნიმუშების აღების წერტილები	-1
	წყლის ხარისხი მხოლოდ 1 წერტილში იქნა გაზომილი მარტივი ფიზიკური პარამეტრებით, რაც სრულიად არასაკმარისია საბაზისო მდგომარეობის დასადგენად.	
10	მდინარით სარგებლობა	-1
	წყალსარგებლობის შესახებ მონაცემები უაღრესად მწირია და მხოლოდ საირიგაციო წყალაღების ზოგადი აღწერით შემოიფარგლება.	
11	წყალმომარაგების წყაროები (მდინარის გარდა, სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით)	-2
	აღნიშნულზე, სამინისტროს შენიშვნის მიუხედავად, დოკუმენტში საუბარი არ არის. (იხ. ამ საკითხზე ჩვენი სავლე ვიზიტის შედეგები, სადაც ნაჩვენებია, რომ დუისის და ბირკიანის წყალმომარაგების ქუბი ალაზნის კალაპოტში უშუალოდ ხადორი-3 ჰესის დაგეგმილი წყალსაშვების ქვედა ბიეფში მოხვდება და ჰესის მშენებლობის შემდეგ მოსახლეობას სასმელად კასკადის ყველა ჰესში გავლილი წყლით სარგებლობა მოუწევს და არა ბუნებრივი კალაპოტიდან. ამასთან, რომელიმე ჰესზე ავარიის შემთხვევაში წყალმომარაგების ამ წყაროებზე დრამატულ ზემოქმედებას იქონიებს ტურბინების საპოხი და/ან ქვესადგურების სატრანსფორმატორო ზეთებით ავარიული დაბინძურება.)	
12	გარემოსდაცვითი ხარჯი (მეთოდოლოგია, გამჭოლი თემების გათვალისწინება)	-2
	ცხრილში 6.5.1.1. „ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები“ ერთიანად ფასდება (1) მდინარეების წყლის დებიტის ცვლილება; (3) ზემოქმედება მდინარეების ნატანის მოძრაობაზე, კალაპოტის დინამიკასა და ნაპირების სტაბილურობაზე; (3) მდინარეების წყლის ხარისხის გაუარესება. ეს სამივე თემა სრულიად განსხვავებულია და მნიშვნელოვანი ჰესებისთვის და ისინი ცალ-ცალკე უნდა განიხილებოდნენ შეფასების მეთოდოლოგიის და კრიტერიუმების თვალსაზრისით. ასე მაგალითად, შეიძლება წყალი არ ბინძურდებოდეს, მაგრამ ხარჯი დრამატულად იცვლებოდეს და წყლის კარგი ხარისხი ზემოქმედებას წარმოაჩენს როგორც დაბალს ან საშუალოს, მაშინ როდესაც წყლის ხარჯის შემცირება შეიძლება ძალიან მაღალი იყოს და ძლიერ ზემოქმედებას იწვევდეს. შედეგად, შემარბილებელი ღონისძიების "საჭიროება" არ დადგება წყლის ხარჯის ძლიერი ცვლილების, შემცირების მნიშვნელოვანი ზემოქმედების მიმართ.	

	<p>ამავე თავის ზემოქმედებების შეფასებისას ქვეთავში 6.5.2.2 „ექსპლუატაციის ეტაპი“ ცხრილში 6.5.2.2.1. საშუალო წლიური მონაცემები მხოლოდ ერთი პარამეტრისთვის არის მოცემული. ასევე არ არის მოცემული საშუალო წლიური მაჩვენებელი და ასევე პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით ხადორი-3 ჰესის ეკოლოგიური ხარჯისთვის.</p> <p>ცხრილის მომდევნო პირველ აბზაცში განცხადებულია, რომ „როგორც ცხრილიდან ჩანს, ხადორი 3 ჰესის წყალმიმღების (ხადორი 2 ჰესის გამყვანი არხი) ქვერდა ბიეფში წყალუხვობის პერიოდში გატარებული იქნება უფრო მეტი ეკოლოგიური ხარჯი, ვიდრე ხადორი 2 ჰესის დამბის ქვედა ბიეფში, რაც მცირედით მაგრამ მაინც შეამცირებს იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზემოქმედების ხარისხს.“</p> <p>აღნიშნული დასკვნით ჰესის მშენებლობა და წყალაღება აღმოჩნდა, რომ შეამცირებს ნეგატიურ ზემოქმედებას საოპერაციო ეტაპზე. ავტორების ლოგიკით არანაირი ქმედებების გატარება არ არის საჭირო, რადგან თურმე ჰესის მშენებლობით ზემოქმედებები "მცირდება", როდესაც დებიტის შემცირებით გამოწვეული ზემოქმედების არეალი სინამდვილეში მნიშვნელოვნად იზრდება, 4.5 კმ-ით.</p> <p>აღნიშნულ თავის დასკვნით ქვეთავში 6.5.3 „შემარბილებელი ღონისძიებები“ ჩამოთვლილი შემარბილებელი ღონისძიებები (როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე) შეეხება მხოლოდ წყლის ხარისხს (თუმცა ესეც არ შეიცავს სედიმენტებით დაბინძურების მართვას), ხოლო წყლის ეკოლოგიური ხარჯის თემა საერთოდ არ განიხილება, ისევე როგორც ნაპირების და მდინარის ფსკერის ეროზიის თემები. განსაკუთრებით საყურადღებოა და შემაშფოთებელი, რომ არაფერია ჰესის პროექტის შემთხვევაში ნათქვამი წყლის ხარჯის შემცირების კუმულაციური ზემოქმედებების შემარბილებელ ღონისძიებებზე მდინარის 4.5 კმ-იან მონაკვეთზე, წყალაღებიდან ჰესამდე.</p> <p>ცხრილში 6.5.4.1. „ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედების შეჯამება“ სვეტში „ზემოქმედებისა და ზემოქმედების წყაროების აღწერა“ საუბარია მხოლოდ წყლის დაბინძურებაზე, და არ არის საუბარი წყლის და სედიმენტების ხარჯის შემცირებაზე. გაუგებარი რჩება, რაღა საჭირო იყო კრიტერიუმებად წყლისა და სედიმენტების ხარჯის შემცირების დასახელება, თუკი არაფერია მოყვანილი ამ თემებზე ზემოქმედებების შეფასების ცხრილში?</p> <p>სედიმენტების გადატანის შეფერხდება შემცირებული ხარჯის გამო ალაზნის კალაპოტში მნიშვნელოვანი ზემოქმედებაა, მაგრამ იგი არ განიხილება ამ გზშ-ში.</p> <p>“ეკოლოგიური ხარჯის” მეთოდოლოგია გზშ-ში შემოთავაზებული არაა, რაც ჰესის გზშ-ის ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ სისუსტეს წარმოადგენს და სხვა მრავალრიცხოვან პრობლემებთან ერთად, რაც ამ ანალიზშია წარმოდგენილი, გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ დოკუმენტი არ არის მომზადებული მისაღები ხარისხით.</p>	
13	<p>ზემოქმედებების დასაბუთებულობა და კავშირი შემარბილებელ ღონისძიებებთან?</p>	-1
	<p>იქთიოლოგიურ კვლევაში დაკნინებითი ფორმითაა დახასიათებული ზოგადად ჰესებს პროექტების ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რასაც წარმოადგენს ზემოქმედება წყლის ბინადრებზე, რის შესახებაც ნათქვამია რომ „მდ. ალაზნის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება <i>მხოლოდ</i> პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთის სიგრძის გაზრდით, დაახლოებით 4.5 კმ-ით“ (ციტატაში ჩვენს მიერ ხაზგასმულია სიტყვა „მხოლოდ“).</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იქთიოლოგიის საბაზისო კვლევის დასკვნით ქვეთავში 5.2.9.3.6, კერძოდ 1-ლ დასკვნაში ნახსენებია,</p>	

	<p>რომ შემუშავდა შემარბილებელი ღონისძიებები, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან იქთიოლოგიის საბაზისო კვლევების თავში შემარბილებელი ღონისძიებები არ განიხილება. უფრო მეტიც, ქვეთავის ბოლო მე-5 დასკვნაში შემარბილებელი ღონისძიებები შემოთავაზებულია არა პროექტისთვის, არამედ პროექტის „კრიტიკულ წერტილისთვის“, რომელიც ხადორი-3-ის მონაკვეთზე სულაც არ მდებარეობს. აღნიშნული ფაქტი ისევ მეტყველებს ავტორების პროფესიონალიზმზე და დოკუმენტის ხარისხზე: ჰესების ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებისთვის შემარბილებელი ღონისძიება არ შეეხება ამ კონკრეტული პროექტის ზემოქმედებას.</p> <p>ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებების ქვეთავში 6.7.4.3 „შემარბილებელი ღონისძიებები“ ექსპლუატაციის ეტაპზე რაიმე შემარბილებელი ღონისძიება მოყვანილი არ არის. რაც მთავარია, არ არის საუბარი "ეკოლოგიური ხარჯზე". შესაბამისად, ყველა პრობლემა, რაც სავარაუდოდ წარმოქმნა ხადორი-2-მა, გავრცელდება ხადორი-3-ზეც. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არსად დოკუმენტში არ არის ნაჩვენები, როგორ მეთოდოლოგიით იქნა გათვლილი და როგორ ხდება „ეკოლოგიური ხარჯის“ მართვა ხადორი-2-ის შემთხვევაში, ან როგორია ხადორი-2-ის შედეგები (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) „ეკოლოგიურ ხარჯთან“ მიმართებაში.</p> <p>ამავე ქვეთავში ნათქვამია, რომ „ოპერირების დაწყებიდან პირველი 2 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება იქთიოფაუნის სახეობების მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით;“. შესაბამისად, იგულისხმება, რომ 2 წლის შემდგომ აღარ მოხდება იქთიოფაუნის მონიტორინგი და აღარ დაისახება შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნული მიდგომა მიუღებელია პროექტის მხრიდან ყველაზე ძლიერი შეუქცევადი ზემოქმედებისთვის იქთიოფაუნის შემთხვევაში.</p> <p>“ეკოლოგიური ხარჯის” არც მეთოდოლოგიაა შემოთავაზებული გზშ-ში, არც განსაზღვრულია რეალურად ალაზნის 4.5 კმ სიგრძის სადერივაციო მონაკვეთისთვის. აღნიშნული ორი გარემოება ხადორი-3 ჰესის გზშ-ის ყველაზე მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენს და როგორც უკვე აღინიშნა მაღლა, დიდი ალბათობით ადგილი აქვს კანონმდებლობის დარღვევას როგორც საქმიანობის განმახორციელების, ისე კომპეტენტური სახელმწიფო უწყების და მის მიერ შექმნილი საექსპერტო კომისიის ექსპერტ-ჰიდროლოგის მხრიდან.</p>
XIII	სხვა აღსანიშნავი დამატებითი საკითხები
1	<p>მართლწერის შეცდომები na</p>
	<p>გზშ-ის დოკუმენტში მრავლადაა მართლწერის უმარტივესი შეცდომები, იმ ადგილებშიც კი, სადაც ავტორები წესით სიფრთხილით უნდა მოკიდებოდნენ გადმოცემის სიზუსტეს (მაგ. 222-ე გვერდზე მე-3 აბზაცის ბოლო წინადადებაში ექსპლუატაციის ეტაპის ჰიდროლოგიურ რეჟიმსა და წყლის ხარჯზე მსჯელობისას მართლწერის 3 შეცდომაა დაშვებული: „სატაო“, „გებობის“, „ დებეთი“, ასევე იქთიოფაუნაზე ზემოქმედების დახასიათებისას ექსპლუატაციის ეტაპზე 183-ე გვერდის აბზაცში 6.7.4.2: „გამომდინარე აღნიშნულისა“, „მდიონარის“, „მწმენელოვან“). როგორც ჩანს, ავტორებს დოკუმენტი არ გადაუკითხავთ ტექსტის საბოლოოდ გასასწორებლად, ქართული სპელჩეკი კი არ გამოუყენებიათ საბოლოო ვერსიის მიმართ, მითუმეტეს რომ მთელი დოკუმენტის გავლა, თუნდაც სიტყვების მართლწერის კომპიუტერული გასწორებით, დაახლოებით 30 წუთში იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნული ასევე მეტყველებს იმაზე, რომ ავტორებს არ გააჩნიათ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რაც დამატებით ამყარებს დასკვნას, რომ დოკუმენტი უხარისხოდაა მომზადებული.</p>
2	<p>გამეორებები na</p>
	<p>ქვეთავში 3.3.5.2 „ექსპლუატაციის ეტაპი“ ბოლო წინადადებაში ნახსენებია „სასენერიზაციო“ ორმო. როგორც ჩანს შეცდომაა, „სასენიზაციო“</p>

	უნდა იგულისხმებოდეს. მსგავსი შეცდომა დოკუმენტის ავტორების მრავალ ანგარიშში ფიქსირდება (საკმარისია ინტერნეტში მოვიძიოთ სიტყვა "სასენერიზაციო"). უფრო მეტიც, მეორდება ფრაზა "პროექტით გათვალისწინებულია სასენერიზაციო ორმოს", რაც სავარაუდოდ შეიძლება მიუთითებდეს კონსულტანტის მუშაობის სტილზე. ანალოგიური ვითარებაა დოკუმენტის მრავალ სხვა ნაწილში, რაც ნიშნავს იმას, რომ განხილვა ხშირად არ გახლავთ სპეციფიკური კონკრეტული ობიექტისთვის და პროექტისთვის. მრავალი მსგავსი მაგალითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივასაც“ მოჰყავს თავის შენიშვნებში, რომლის დასკვნებს ჩვენც სრულად ვეთანხმებით.	
XIV	ჯამური შეფასება (საშუალო)	-1.1

R	ჰესების გზშ-ის ანალიზის საკითხის რეიტინგის/რანჟირების დონე/ქულა (შეფასების გამართება/ლეგენდა):
+2	= საუკეთესო (ყოველმომცველი და საკმარისი)
+1	= კარგი (ხარვეზები და ნაკლოვანებები უმნიშვნელოა)
0	= საშუალო (მცირე ხარვეზები და ნაკლოვანებები)
-1	= სუსტი (მნიშვნელოვანი ხარვეზები და ნაკლოვანებები)
-2	= ძალიან სუსტი (ფუნდამენტური ხასიათის შეცდომები და სისუსტეები)
?	= შეფასების გარეშე (არასაკმარისი საფუძველი / მონაცემები შესაფასებლად, 0 ქულა)
na	= არ ეხება (კრიტერიუმი არ ეხება პროექტს ან გზშ-ს, 0 ქულა)

დანართები

დანართი 1

შენიშვნები გზშ-ის მიმართ და საქმიანობის განმახორციელების პასუხები, რომლებშიც შენიშვნები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული

ცხრილში 11.1. სახელწოდებით „ინფორმაცია ხადორი 3 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვის“, საზოგადოდ, არ არის ნაჩვენები, შეკითხვა საჯარო განხილვისას დაისვა თუ მანამდე, ან შემდეგ, წერილობით. ჩვენი ვარაუდით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინადადებები და შენიშვნები წერილობით იქნებოდა მიწოდებული საქმიანობის განმახორციელებისადმი, ისევედასევე გაუგებარი რჩება საჯარო შეხვედრამდე, თუ საჯარო შეხვედრის შემდეგ. შესაბამისად, ცხრილის სათაური არასრულყოფილად არის ფორმულირებული.

ქვემოთ ცხრილში პირველ ორ სვეტში წარმოდგენილია საქმიანობის განმახორციელებისადმი დასმული ის შეკითხვები, რომლებიც პასუხები არასათანადოდ იქნა გაცემული. მესამე სვეტში მოყვანილია ასევე ჩვენი დასაბუთება, თუ რატომ უნდა ყოფილიყო ეს პასუხები მიუღებელი.

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წინადადებები და შენიშვნები			
1	წარმოდგენილი კოორდინატების განხილვით დადგინდა, რომ ჰესთან მისასვლელი გზა 9,6 მ ³ ფართობზე კვეთს ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიას. გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ თანახმად აღნიშნული საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე იკრძალება. შესაბამისად, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილული უნდა იყოს პროექტის განხორციელების ისეთი ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ კვეთს ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალის საზღვრებს. გარდა აღნიშნულისა, ტერიტორია კვეთს „ზურმუხტის ქსელი“-ს	შენიშვნა გათვალისწინებულია: ხადორი 3 ჰესის საპროექტო დერეფანი ბაწარას დაცული ტერიტორიის საზღვარს უახლოვდება მხოლოდ ერთ წერტილში და საზღვრიდან დაცილებების მინიმალური მანძილი შეადგენს არანაკლებ 150 მ-ს, კერძოდ: დაცული ტერიტორიის საზღვრის შემდეგ გადის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა და შემდეგ ხადორი 3 ჰესის საპროექტო დერეფანი. საპროექტო დერეფნის SHP ფაილების მომზადების დროს დაშვებული იყო უზუსტობა, რაც გასწორებულია და კორექტირებული ვერსია თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს.	არ არის სათანადოდ გათვალისწინებული: მილსადენის დერეფანი დაცულ ტერიტორიებს ახლო მანძილზე უახლოვდება. ამასთან, გზა უშუალოდ ნაკრძალის კიდეზე გადის და ხმაურს უფრო მეტი ზემოქმედება ექნება ნაკრძალის ბინადრებზე, ვიდრე რაიმე სხვა ფაქტორს. მაგრამ ეს ზემოქმედება არ განიხილება ავტორების მიერ. შენიშვნა არ სცემს სრულყოფილ პასუხს დასმულ შეკითხვას. სამინისტრო კი რეალურად აღიარებს მიღებულ პასუხს ეკოლოგიური დასკვნის გაცემით. სამინისტრომ ყურადღებით არ შეამოწმა პასუხის მართებულობა ხმაურის ზემოქმედებასთან მიმართებაში. შენიშვნა: სამინისტროს უზუსტობა აქვს განზომილებაში (ფართობის შემთხვევაში ალბათ კვადრატული მეტრი იგულისხმება

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
	კანდიდატ საიტს.		და არა კუბური მეტრი).
2	იმ შემთხვევაში თუ ჰესის მშენებლობა დაცული ტერიტორიის სიახლოვეს განხორციელდება, უდიდესი ზიანი მიადგება ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალში არსებულ ცხოველთა სახეობებს და შესაბამისად ზემოქმედება იქნება „ზურმუხტის ქსელი“-ს კანდიდატ საიტზეც. გზშ-ს ანგარიშში მითითებული ფაუნის შემარბილებელი ღონისძიებები არასაკმარისია. შესაბამისად, საჭიროა განხორციელდეს სათანადო კვლევები, მათ შორის „ზურმუხტის ქსელი“-ს კანდიდატ საიტისთვის ზემოქმედების შეფასების მიზნით;	შენიშვნა გათვალისწინებულია: გზშ-ის ანგარიშში მოცემულია „ზურმუხტის ქსელი“-ს კანდიდატ საიტზე ზემოქმედების შეფასება იხილეთ გზშ-ის ანგარიში პარაგრაფი 6.7.7.	შენიშვნა არ არის გათვალისწინებული. დაცულ ტერიტორიებზე ხმაურის ზემოქმედების ფაქტორი არ არის გადაჭრილი ანგარიშში. შემარბილებელი ღონისძიებები არ არის დასახული ამ ფაქტორის მიმართ, ხოლო მოთხოვნილი „სათანადო კვლევები“ არ არის შესრულებული. ავტორების რეაგირებაში ზურმუხტის ქსელზეა პასუხი გაცემული, თუმცა არც მითითებულ თავშია აღნიშნულ საკითხებზე საუბარი. დაცული ტერიტორიები პასუხში მოხსენიებულიც კი არ არის. სამინისტრომ დაინახა ანგარიშის სისუსტე, ადვილი შესამოწმებელია, რომ შენიშვნა არ არის გათვალისწინებული, მაგრამ დასტურია გაცემული მასზე, რაც ბუნებრივია, კანონდარღვევაა ამ და ყველა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც სამინისტროს მართებული შენიშვნა არც დასაბუთებულადაა უგულვებელყოფილი და არც შესრულებული.
5	გზშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ხადორი 3 ჰესის ძირითადი მაჩვენებლები ერთიანი ცხრილის სახით;	შენიშვნა გათვალისწინებულია: იხილეთ გზშ-ის ანგარიში პარაგრაფი 3.1., ცხრილი 3.1.1.	შენიშვნა გათვალისწინებულია, მაგრამ ეს პასუხი მეტყველებს იმაზე, რომ პროექტის ძირითადი მაჩვენებლების აღწერი იეს უმარტივესი და უმთავრესი ინფორმაცია არ იყო შეტანილი საჯაროდ გამოქვეყნებულ თავდაპირველ ანგარიშში და მხოლოდ სამინისტროს კომენტარის შემდეგ იქნა შეტანილი დოკუმენტში.
6	ეკონომიკურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში უნდა მიეთითოს, საპროექტო ჰესის განთავსების ტერიტორიის	შენიშვნა გათვალისწინებულია: როგორც გზშ-ის ანგარიშშია მოცემული ხადორის 3 ჰესის გავლენის ზონაში ექცევა	შენიშვნა არ არის პასუხგაცემული, მითუმეტეს, რომ შენიშვნა წყალმომარაგებას შეეხებოდა და არა სარწყავ არხს.

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
	<p>ფარგლებში ფიქსირდება, თუ არა სოფელ ბირკიანის ან სხვა მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების ობიექტები. ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალმომარაგების ობიექტებზე, ხადორიჰ ჰესის შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები;</p>	<p>მხოლოდ სოფ. ბირკიანის ერთი უბნის სარწყავი არხი. სოფ. ბირკიანის ან სხვა მეზობელი სოფლების წყალმომარაგების სისტემები პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული არ არის.</p> <p>პროექტის მიხედვით სოფ. ბირკიანის სარწყავი არხის გადაკვეთა სადაწნეო მილსადენით მოხდება მხოლოდ ერთ წერტილში. გათვალისწინებულია არსებული არხის გაწმენდა და წესრიგში მოყვანა, რაც გააუმჯობესებს სარწყავი წლის მიწოდების პირობებს.</p>	<p>დოკუმენტის თანახმად "სარწყავი არხის არსებული მარშრუტი სამ წერტილი გადაკვეთს საპროექტი სადაწნეო მილსადენს", თუმცა აქ ნათქვამია, რომ გადაკვეთა ერთ წერტილში მოხდება. არსად არ არის დოკუმენტში ნახსენები, რომ „გათვალისწინებულია არსებული არხის გაწმენდა და წესრიგში მოყვანა“ და არც ის რომ „პროექტი გააუმჯობესებს სარწყავი წლის მიწოდების პირობებს“. არც სარწყავი არხის გარანტირებული დებიტის შესახებ არის მონაცემები მოყვანილი. სამინისტროს დამატებითი დამაზუსტებელი შენიშვნა უნდა მიეწოდებინა დოკუმენტის წარმდგენებისთვის, როგორც წყალმომარაგებასთან, ისე სარწყავ არხთან მიმართებაში.</p>
7	<p>ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში უნდა მიეთითოს, წყლის რომელი ობიექტებიდან ხდება სოფ. ბირკიანის სარწყავი არხისთვის წყალაღება, უნდა დაზუსტდეს წლის განმავლობაში არხისთვის საჭირო წყლის ხარჯი (სეზონების მიხედვით). ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინების შემდგომ უნდა მოხდეს ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშება;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: როგორც გზმ-ის ანგარიშშია მოცემული წყალაღება ხდება მდ. ალაზნიდან, კუსტარულად მოწყობილი სათაო ნაგებობის საშუალებით. არხის გამტარუნარიანობის მიხედვით მდ. ალაზნიდან აღებული წყლის ხარჯი მერყეობს 0.06-0.08 მ³/წმ-ის ფარგლებში.</p>	<p>შენიშვნა არ არის პასუხგაცემული (იხ. ასევე კომენტარი წინა, მე-6 შენიშვნაზე), თანაც ავტორები მანიპულირებენ სამინისტროს შეკითხვით ორ საკითხზე და პასუხს, თანაც არასრულყოფილად, ერთ საკითხზე სცემენ (სარწყავი არხი), ხოლო წყალმომარაგების თემას ისევ არ განიხილავენ.</p> <p>საველე ვიზიტისას ჩვენს მიერ დადგენილი იქნა (იხილეთ დანართი 2), რომ ბირკიანის და დუისის წყალმომარაგება ჰესის კასკადის ნამუშევარი წყლით მოხდება, მაგრამ ადგილობრივი თემებისთვის ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ზემოქმედება და სათანადო აუცილებელი შემარბილებელი ღონისძიებები დოკუმენტში დასახული არ</p>

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
			არის.
8	<p>გზმ-ს ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე უნდა განხორციელდეს სადაწნო მილსადენის ტრასაზე კვ 4+70დან კვ 6+00 მდე არსებული მეწყრული უბნის დეტალური კვლევა და დადგინდეს: მისი მდგრადობის პირობები; აქტიურობის ხარისხი; განზომილების პარამეტრები და სხვა; გარდა აღნიშნულისა, განხილულ უნდა იყოს, როგორც მეწყრული სხეულის შესაძლო ზემოქმედება დერივაციის მონაკვეთზე, ასევე სამშენებლო სამუშაოებით (ტრანშეის ამოღება, გზის მოწყობა) გამოწვეული შესაძლო ზემოქმედება მეწყრულ სხეულზე. აქედან გამომდინარე, ანგარიშში მითითებულ უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები;</p>	<p>სადაწნო მილსადენის კვ 4+70დან კვ 6+00 მდე არსებული მეწყრული უბნის აღწერა მოცემულია გზმ-ის ანგარიშის პარაგრაფში 5.2.4.2. პროექტის მიხედვით, მილსადენი გადის მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მეწყრული ფერდობის ძირში. მეწყრული სხეულის გააქტიურების პრევენციის მიზნით, გათვალისწინებულია შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მილსადენის თარო ღრმად არ იქნება შეჭრილი მეწყრული ფერდობის ფუძეში, რომ არ მოხდეს დიდი მეწყრული მასის დამკვრის პროვოცირება ზედა ფერდობიდან; • მილსადენი განთავსდება მეწყრული გრუნტების ქვეშ განლაგებულ ჭალის ალუვიურ ნალექებში (ფენა-3-ში) ისეთ სიღრმეზე, რომელიც დაიცავს მის უსაფრთხოებას მეწყრული მასის შემდგომი გადაადგილების შემთხვევაში. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მილსადენი განთავსებული იქნება არანაკლებ 2.0 მ. სიღრმეზე ფენა-3-ის ზედაპირიდან მილის ზედა კიდემდე; • მილსადენის აღნიშნული მონაკვეთი (ისევე, როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში), საიმედოდ ოქნება დაცული მდ. ალაზნის ეროზიული მოქმედებისაგან. • მდ. ალაზნის გვერდითი ეროზიის ზემოქმედების პრევენციის მიზნით, კვ 0+38 დან კვ 12+28 მდე მონაკვეთზე 	<p>შენიშვნა არ არის პასუხაცემული. ავტორები შეგნებულად არ წერენ, რომ შეკითხვა გათვალისწინებულია, რადგან იგი არ არის გათვალისწინებული და ავტორებმა ეს კარგად იციან: სამინისტროს მიერ მოთხოვნილი კვლევა უბრალოდ არ არის წარმოდგენილი ნაშრომში და სავარაუდოდ არც ჩატარებულა. შესაბამისად, შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები არ ეყრდნობა კვლევის შედეგებს.</p>

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
		დაგეგმილია დეზების მოწყობა.	
9	<p>გზმ-ს ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე უნდა განხორციელდეს საპროექტო ზონაში, განსაკუთრებით სენსიტიურ უბნებთან (სარწყავი არხი, საავტომობილო გზა, მდ. ბაწარას და სხვა წყლის ობიექტების გადაკვეთის ადგილები), ჰიდროლოგიური კვლევები რათა დადგინდეს მდინარის გვერდითი სიღრმით გარეცხვის სიდიდეები. აღნიშნული კვლევების საფუძველზე უნდა დადგინდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მ.შ. ნაპირის მოწყობა). ასევე აღნიშნული კვლევების საფუძველზე უნდა დასაბუთდეს ანგარიშში მითითებული „11 ნაპირსამაგრი (დეზი)“-ს განთავსების ეფექტურობის საკითხი, მათი განთავსების ადგილები, მიმართულებისა და სხვა ;</p>	<p>ხადორი 3 ჰესის დერივაცია გადის მდ. ალაზნის მარჯვენა ჭალაში. იგი არ კვეთს არც სარწყავ არხს და არც საავტომობილო გზას. ამასთან, გაუგებარია რას გულისხმობს პატივცემული ექსპერტი „მდინარის გვერდითი გარეცხვის სიდიდეებში“. მოცემულ შემთხვევაში იანგარიშება კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე, რაც ზედა უბნისთვის (მდ. ბაწარას შესართავის ზემოთ) შეადგენს 3,60 მეტრს, ქვედა უბნისთვის (მდ. ბაწარას შესართავის ქვემოთ) კი 3,75 მეტრს.</p> <p>რაც შეეხება „ნაპირის მოწყობას“ (?), ნაპირდამცავი ღონისძიებების გასატარებლად საჭიროა წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი ღონეების ნიშნულები, რაც მოცემულია ჰიდროლოგიის თავში.</p>	<p>შენიშვნა არ არის გათვალისწინებული და სრულიად უხერხული პასუხიც კი არის გაცემული კითხვის ნიშნის ფრჩხილებში ჩასმით (?).</p>
10	<p>ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში ასახული უნდა იყოს მდ. ალაზნის ბუნებრივი მინიმალური ხარჯები, რათა შესაძლებელი იყოს მინიმალური და ეკოლოგიური ხარჯების შეფასება;</p>	<p>მინიმალური და ეკოლოგიური ხარჯის სიდიდეებად მიღებულია ხადორი 2 ჰესის მიერ კალაპოტში დატოვებული ეკოლოგიური ხარჯისა და იმავე ჰესის მიერ გადაღვრილი წყლის დაჯამებული სიდიდეები, რაც აღემატება მდ. ალაზნის ბუნებრივი მინიმალური ხარჯების 75%-იანი უზრუნველყოფის ხარჯს (რაც ტოლია 2,60 მ3/წმ-ის).</p>	<p>შენიშვნა არ არის გათვალისწინებული. პასუხი სამინისტროს უაღრესად მნიშვნელოვან შეკითხვაზე დოკუმენტში პასუხი არ არის გაცემული, რადგან არ შეფასებულა "ეკოლოგიური ხარჯი". ხადორი-2-ის დამტკიცებული გზმ არ არსებობს, ამდენად არ არსებობს "ეკოლოგიური ხარჯის" ძალაში მყოფი მოთხოვნები, არც მოყვანილი არგუმენტები შეესაბამება სინამდვილეს, რადგან დოკუმენტებში არსად არ არის დადგენილი "მინიმალური და ეკოლოგიური ხარჯის სიდიდეები". გაუგებარია ასევე რის</p>

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
			<p>"გადაღვრას" აპირებს ხადორი-2, აღნიშნული "გადაღვრა" დოკუმენტში ახსნილი არაა. არ იძებნება გზშ-ში არც ხარჯის ციტირებული ოდენობა (2,60/2,60/2,6 ან თუნდაც 2.6 მ3/წმ), ისევე როგორც არ იძებნება არსად ალაზნის 75%-იანი უზრუნველყოფის ხარჯის საკითხის განხილვა. ამ პასუხებში მხოლოდ უაპელაციოდ არის მოყვანილი ეს რიცხვები ყოველგვარი განხილვის გარეშე. შეკითხვაზე პასუხი გაცემული აქ არაა, არც დოკუმენტშია რაიმე ცვლილება მოხსენიებული, რომელიც პასუხს გასცემდა "ეკოლოგიური ხარჯის" შესახებ შეკითხვას. თუკი თუნდაც 2.6 მ3/წმ-ია მიჩნეული "ეკოლოგიურ ხარჯად", რატომ არ არის ეს რაოდენობრივი მაჩვენებელი ასახული შემარბილებელ ღონისძიებების ცხრილში გარემოსდაცვით მართვის გეგმის ფარგლებში?</p>
11	<p>გზშ-ს ანგარიშის 5.1.5.1.4 ქვეთავში უნდა დაკონკრეტდეს, ნატანის წარმოდგენილი სიდიდეები, მხოლოდ ატივანარებულია თუ ჯამური, ვინაიდან ეს საკითხი ნათლად არაა გამოკვეთილი, ასევე უნდა მიეთითოს, ატივანარებული ნატანის, რამდენი პროცენტია აღებული ფსკერულ ნატანად;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, ხადორი 3 ჰესი იმუშავებს ხადორი 2 ჰესის გამომუშავებულ წყალზე და შესაბამისად წყალმიმღებზე სალექარის მოწყობა გათვალისწინებული არ არის.</p> <p>გზშ-ს ანგარიშის 5.1.5.1.4. პარაგრაფში მოცემულია ხადორი 2 ჰესის პროექტისათვის მომზადებული მყარი ნატანის გაანგარიშებული რაოდენობები. ანგარიშში მოცემულია მყარი ნატანის ჯამური რაოდენობა.</p>	<p>5.1.5.1.4 პარაგრაფი ანგარიშში არ არსებობს (ისევე როგორც თავდაპირველ გზშ-ის ანგარიშში), ამდენად შეკითხვაც გაუგებარია და პასუხიც. სამინისტროს არც შეკითხვა გადაუმოწმებია და არც პასუხი. ამდენად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პასუხი გაცემული არ არის.</p>

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
12	<p>გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, თანამედროვე პირობებში ხადორის 2 ჰესის გამყვანი არხის ქვედა ბიეფში საშუალო მრავალწლიური ხარჯის შესახებ. უნდა დასაბუთდეს ხადორის 3 ჰესის მუშაობის პირობებში, დერივაციის მონაკვეთზე დარჩენილი ხარჯის საკმარისობა მდინარის ფაუნის და წყალ მოხმარებისთვის. (სასმელი და სამელიორაციო სისტემები);</p>	<p>როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ხადორი 2 ჰესის მიერ მდინარეში დატოვებული ეკოლოგიური ხარჯისა და იმავე ჰესის მიერ გადაღვრილი წყლის დაჯამებული სიდიდეები აღემატება მდ. ალაზნის ბუნებრივი მინიმალური ხარჯების 75%-იანი უზრუნველყოფის ხარჯს. აღნიშნულ ხარჯს ემატება მდ. ბაწარას და სხვა მცირე შენაკადების ჩამონადენი, რაც ჰესის გამონამუშევარ წყალთან ერთად უზრუნველყოფს როგორც იქთიოფაუნის არსებობისთვის საჭირო პირობებს, ასევე სოფ ბირკიანის ქვედა უბნის სარწყავი არხის ფუნქციონირებას. სასმელი წყალმომარაგებისათვის მდინარის წყლის გამოყენება არ ხდება.</p>	<p>მაღლა დასმულ კითხვაზე პასუხის მსგავსად, პასუხი გაცემული არც აქ არის, სამინისტროს მიერ უკვე მეორეჯერ დასმულ კითხვაზე, რადგან ეკოლოგიური ხარჯის შესახებ დასახელებული მონაცემები დოკუმენტში არც მოყვანილია და არც დასაბუთებული.</p> <p>გაცემული პასუხის ბოლო წინადადება უბრალოდ მცდარია. ბირკიანის და დუისის წყალმომარაგება ალაზნის ფილტრატებიდან ხდება (იხ. დანართი 2). წყალმომარაგების მნიშვნელოვან თემას გზმ-ის დოკუმენტი პრინციპულად არ განიხილავს.</p>
13	<p>ვინაიდან ხადორი 3 ჰესის წყალაღების შემთხვევაში, ხადორი 2 ჰესის გამყვანი არხის ქვედა ბიეფში მცირდება წყლის ნაკადი მაქსიმუმ 9 მ3 /წმ-ით, რაც გამოიწვევს აღნიშნულ მონაკვეთზე (4.5კმ) იქთიოფაუნის ზემოქმედებას-161 გვერდზე წარმოდგენილი დასკვნა, იმის შესახებ, რომ მიყენებული ზარალი შეიძლება შეფასდეს როგორც „უმნიშვნელო“ მოითხოვს დაზუსტებას და დასაბუთებას. გარდა აღნიშნულისა, გზმ-ს ანგარიშში უნდა აისახოს ხადორი 3 ჰესის ექსპლუატაციის შედეგად წყალმცირობის პერიოდში დარჩენილი ხარჯის იქთიოფაუნისთვის საკმარისობის საკითხი;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია: იხილეთ გზმ-ის ანგარიშის პარაგრაფი 6.7.4.</p>	<p>შენიშვნა არ არის გათვალისწინებული. მართალია ამ თავში შენიშვნის საპასუხოდ გაუმართლებელი მსჯელობის შემდეგ 6.7.4.2 პარაგრაფის ბოლოს აღიარებულია რომ ზემოქმედება იქთიოფაუნაზე არის "მნიშვნელოვანი", ცხრილში 6.7.6 (ექსპლუატაციის ფაზა, ზემოქმედება იქთიოფაუნაზე) იგი ისევ შეფასებულია როგორც „დაბალი“, თანაც არ არის აღნიშნული, რომ ზემოქმედება შემარბილებელი ღონისძიებების შემდეგაა ნარჩენი, მითუმეტეს რომ დოკუმენტში არსად ხარჯის შემცირებისთვის სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები (ეკოლოგიური ხარჯის უზრუნველსაყოფად) არ არის მოყვანილი და მათი ღირებულება შეფასებულია როგორც „უმნიშვნელო“.</p>

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
			ამდენად, ავტორები პასუხით ატყუებენ სამინისტროს და სამინისტრო ან მოტყუებულია, ან თვალს ხუჭავს, რაც სამინისტროს საკითხის თაობაზე ინფორმირებულობიდან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში კანონმდებლობის დარღვევაა - შენიშვნა არ არის გათვალისწინებული და სამინისტრო ეთანხმება ამ დარღვევას ექსპერტიზის დასკვნის გაცემის აქტით.
14	ვინაიდან სადერივაციო ტრასა გადის ძირითადად ჭალის ალუვიურ ნალექებში, გზმ-ს ანგარიშში უნდა მიეთითოს მილსადენის დაცლის პირობებში მოსალოდნელი ამომგდები ძალის ზემოქმედების შესახებ;	შენიშვნა გათვალისწინებულია: იხილეთ გზმ-ის ანგარიშის პარაგრაფი 3.2.2.	შენიშვნა არ არის ადექვატურად გათვალისწინებული. წყალდიდობის შემთხვევაში შესაძლებელია დაირღვეს მილსადენის მთლიანობა და დაიცალოს წყლისგან, ამ შემთხვევაში კი გრუნტის წყლები სავარაუდოდ აწეული იქნება და ამომგდები ძალა სავარაუდოდ აღარ იქნება უმნიშვნელო.
17	გზმ-ს ანგარიშში უნდა მიეთითოს, როგორ და რა მექანიზმით განხორციელდება ეკოლოგიური ხარჯის გაზრდა (იქთიოფაუნის მონიტორინგის შემდგომ, დადგენილი საჭიროებისას). უნდა მიეთითოს, აღნიშნული ცვლილება იმოქმედებს თუ არა ხადორი 3 ჰესის წყალაღების მოცულობაზე;	ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შემთხვევაში წყლის გატარება მოხდება ხადორი 2 ჰესის გამყვანი არხის საშუალებით. რა თქმა უნდა ეკოლოგიური ხარჯის გაზრდა წყალმცირობის პერიოდში გაიწვევს ჰესის მიერ ასაღები წყლის შემცირებას, რაც უარყოფითად აისახება ჰესის მიწერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობაზე.	ასეთ კითხვას და პასუხს ენერგეტიკოსები უნდა სვამდნენ და პასუხობდნენ და არა გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ავტორები. პასუხის მეორე აზრად ცინიკურია „ეკოლოგიურ ხარჯთან“ და გარემოს დაცვის მიზნებთან მიმართებაში.
18	გზმ-ს ანგარიშში მითითებულ უნდა იქნეს მოცემული ინფორმაცია, საპროექტო ზონის ფარგლებში და ხადორი 2 ჰესის წყალმომღებლის ქვემო ბიეფში ხადორი 3	ხადორი 2 ჰესის წყალმომღებიდან ხადორი 3 ჰესის წყალმომღებამდე მდ. ალაზანს ერთვის მდ. ხოროჯოსხევი, ხოლო წყალმომღების (ხადორი 2 ჰესის გამყვანი არხი) ქვემოთ მდ.	პასუხი არასრულყოფილია. აუდიტის ანგარიში არ არის წარმოდგენილი, ასევე ღვარცოფების შესახებ პასუხში არაფერია ნათქვამი.

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
	ჰესის წყალმომღებამდე, მდ. ალაზნის შენაკადების შესახებ, ინფორმაცია მათი ხარჯებისა და ღვარცოფების შესახებ;	ბაწარა. გარდა ამისა რამდენიმე მცირე უსახელო ხევი. აუდიტის პროცესში ჩატარებული დაკვირვების შედეგების მიხედვით, შენაკადების საერთო საშუალო ხარჯი შეადგენს დაახლოებით არანაკლებ 1.5-2.0 მ3/წმ-ს.	
20	ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ჭრას დაქვემდებარებული ხეების სახეობრივი შემადგენლობები მახასიათებლები, შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;	შენიშვნა გათვალისწინებულია: იხილეთ გზშ-ის ანგარიში, პარაგრაფი 5.2.7.2.1.1.	შენიშვნა ნაწილობრივია გათვალისწინებული: კერძოდ, ციტირებულ პარაგრაფში საკომპენსაციო ღონისძიებები მითითებული არ არის.
საჯარო განხილვის სხდომაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები			
28	რა დროში დამთავრდება მშენებლობა?	მშენებლობის დაწყება დაგეგმილია მიმდინარე წლის შემოდგომაზე და დამთავრდება დაახლოებით 18 თვეში.	პასუხი არ არის სრულყოფილად გაცემული, რამეთუ დოკუმენტი ორპარაგრაფიანია ამ მიმართებით: მშენებლობის ხანგრძლივობა დოკუმენტში მნიშვნელოვან ცხრილში 6.2.4 ბევრ ადგილას არის მითითებული როგორც 36 თვე. თუკი ეს შეცდომაა, იგი არ გასწორებულა.
32	შესაძლებელია თუ არა ელექტრო ენერჯია შეღავათიან ფასებში მივიღოთ?	ამ საკითხს შპს „ალაზანი ენერჯი“ ვერ გადაწყვეტს, რადგან ქვეყანაში ტარიფების დადგენა ხდება ცენტრალიზებული წესით ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ	კომპენსაციის სახით ელექტროენერჯიის საფასურის სპონსორობას ადგილობრივი მოსახლეობისთვის „ალაზანი ენერჯის“ არავინ უკრძალავს.
34	ჩვენთან თევზის სახეობა კალმახია მას გამრავლებისთვის დედა მდინარეში სათავეში დაბრუნება სჭირდება ჰესის მშენებლობა ამას ხელს ხომ არ შეუშლის?	ხადორი 3 ჰესის პროექტით მდ. ალაზანზე ახალი სათაო ნაგებობის მოწყობას არ ითვალისწინებს, შესაბამისად თევზის მიგრაციისათვის დამატებითი ბარიერის შექმნას ადგილი არ ექნება. მაგრამ ზემოქმედება მოსალოდნელია მდინარეში წყლის დონის შემცირების გამო.	მართებულ შეკითხვაზე მოცემულია არამართებული პასუხი - დოკუმენტი არ განიხილავს სათანადოდო „ეკოლოგიურ ხარჯს“ და არ შეიცავს შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს. რეალური პასუხი კითხვაზე გაცემული არ არის.

#	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი	ექსპერტის დასაბუთება
		დადგენილი ეკოლოგიური ხარჯი იდენტურია მდ. ალაზნის 75%-იანი უზრუნველყოფის მინიმალური ხარჯის, რაც ემატება ხადორი 2 ჰესის დამბის ქვედა ბიეფში არსებული შენაკადების წყალი. გარდა ამისა გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რაც გარკვეულად შეამცირებს ზემოქმედების ხარისხს.	
35	სად იწყება და სად მთავრდება ჰესის მშენებლობის საზღვრები? ხეობაში გაივლის?	ხადორი 3 ჰესის სათაო ნაგებობა მოეწყობა ხადორი 2 ჰესის გამყვან არხზე, საიდანაც 4.5 კმ სიგრძის სადაწნეო მილსადენი გაივლის მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე საავტომობილო გზას და მდინარის კალაპოტს შორის.	მართებულ კითხვაზე არ არის მოყვანილი სათანადო პასუხი, არც დოკუმენტი განიხილავს პროექტის საქმიანობების შემომსაზღვრელ არეალს, ზემოქმედებების ზონას და ფართო ზეგავლენის რეგიონს.
36	ჰესის მშენებლობასთან და ინვესტორ ფირმასთან არანაირი პრეტენზია არ გვაქვს პირიქით მივესალმებით მაგრამ თუ დაგვარწმუნებთ ჰესისა და მაღალი გადამცემი ხაზების უვნებლობაში მოხარული ვიქნებით.	გზშ-ის ანგარიშში დეტალურადაა განხილული პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ცალსახად შეგვიძლია გითხრათ, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები მინიმალურია.	დოკუმენტში საერთოდ არ არის საუბარი ელექტროგადამცემი ხაზების ზემოქმედებაზე, მითუმეტეს კუმულატიურ ზემოქმედებაზე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ელექტროგადამცემი ხაზები ხადორი-1 ჰესისთვის აშენდა, ისევე როგორც მასთან მისასვლელი გზა სოფელი ბირკიანის შემდეგ, მაგრამ მსგავსი კუმულატიური ზემოქმედებები, რაც სტანდარტული საკითხია ჰესების გზშ-თვის, დოკუმენტში რ განიხილება სათანადო ხარისხით ან საერთოდ არ განიხილება.


დანართი 2

ხადორის ჰესების კასკადის საველე დათვალიერების (2018 .08.17-18) და ადგილობრივ თემთან შეხვედრის (2018 .08.17) მასალები

გზმ-ის დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიღებული ძირითადი დასკვნების გადამოწმების მიზნით, 2018 წლის 17-18 აგვისტოს განხორციელდა საველე გასვლა ხადორი-1-ის (მდ. სამყურისწყალი) და ხადორი-2-ის (მდ. ალაზანი) არსებული ჰესების ობიექტებზე და ასევე ხადორი-3 ჰესის (მდ. ალაზანი) პროექტის გზმ-ში განხილულ ადგილმდებარეობებზე (იხ. რუკები 1 და 2).

2018 წლის 17 აგვისტოს, საღამოს, სოფ. დუისში გაიმართა ასევე საჯარო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

წინამდებარე დანართში წარმოდგენილია საველე დათვალიერების და საჯარო შეხვედრის ამსახველი მასალები, ილუსტრირებული ფოტოსურათებით, ასევე მოყვანილია მნიშვნელოვანი ფაქტების დამადასტურებელი დასკვნები.



რუკა 1. საველე გასვლა ხადორი-3 ჰესის (ალაზანი) პროექტის გზაში განხილულ ადგილმდებარეობებზე, ასევე ხადორი-2-ის (ალაზანი) და ხადორი-1-ის (მდ. სამყურისწყალი) არსებული ჰესების ობიექტებზე. (ყვითელი ხაზით მონიშნულია საველე გადაადგილების მარშრუტი. რუკაზე დატანილია ასევე ხადორი-3 ჰესის პროექტის გზაში წარმოდგენილი ობიექტების კონტურები.)



ფოტო 1. ბირკიანის რამდენიმე სახლი ჰესის ხმაურის ზემოქმედების პირდაპირ არეალში მოხვდება (არსებული მცენარეული საფარი არ ქმნის ხმაურის რამდენადმე ეფექტურ ბარიერს).



ფოტო 2. ხადორი-1-ის და -2-ის ელექტროგადამცემი ხაზების ვიზუალური ზემოქმედება ალაზნის ლანდშაფტზე ბირკიანთან (ალაზნის ჭალები აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების მიერ საცხენოსნო ტურებისთვის. დოკუმენტში არ არის განხილული ელექტროგადამცემი ხაზები).



ფოტოები 3 და 4. ალაზნის ჭალები საპროექტო არეალში ჩანს რომ აქტიურად გამოიყენება მეცხვარეობისთვის და მესაქონლეობისთვის.



ფოტოები 5 და 6. ალაზნის საირიგაციო არხის სათავე ნაგებობის ზედა და ქვედა ბიეფი სოფ. ბირკიანთან (სათავე ნაგებობის ფოტოსურათი არ არის გზშ-ში მოყვანილი. ამასთან, აშკარად ჩანს, რომ წყალაღების ხარჯი მნიშვნელოვნად აღემატება დოკუმენტში შეფასებულ მნიშვნელობას, ციტატა „მერყეობს 0.06-0.08 მ³/წმ-ის ფარგლებში“).



ფოტო 7. ბირკიანის მოსახლეობის მოთხოვნით მილსადენისთვის ტრანშეის მომზადების სამუშაოები შეჩერებულია, თუმცაღა ექსკავატორი არ არის დემობილიზებული.



ფოტო 8. მოსახლეობის მოთხოვნის მიუხედავად გათხრილი ტრანშეა რეალურად არ არის ამოვსებული.



ფოტო 9. უხეში შეფასებით დაახლოებით 100-მდე 10 მ სიგრძის მილია მოტანილი ობიექტზე, რაც 4.5 კმ მილსადენის 1 კმ-ს შეადგენს.



ფოტო 10. მილები არასათანადოდაა დასაწყობებული, არსებობს დაგორების და ადამიანების სასიკვდილოდ დაზიანების საფრთხე.



ფოტო 11. მიღების დიამეტრის 2.4 მ-დან 1.7 მ-მდე შემცირებით წყალაღების საპროექტო ხარჯი (9 მ³/წმ) ორჯერ შემცირდებოდა, რაც „ეკოლოგიური ხარჯს“ მნიშვნელოვნად გაზრდიდა და იქთიოფაუნის ინტერესის გარდა ბირკიანის და დუისის წყალმომარაგებასაც უზრუნველყოფდა მდინარის და არა ჰესების ნამუშევარი წყლით.



ფოტო 12. ალაზნის ბუნებრივი ხარჯი ხადორი-3-ის მონაკვეთზე, ხადორი-2-ის წყალჩაშვების ქვედა ბიეფში. სამწუხაროდ „ეკოლოგიური ხარჯი“ ხადორი 3-თვის დადგენილი არ არის, შედეგად ალაზანზეც სავარაუდოდ ისეთივე სავალალო სურათი შეიქმნება, როგორც მდ. სამყურისწყალის ხეობაში (იხ. შემდგომ).



ფოტო 13. ბანერზე წარწერა გვამცნობს, რომ ხადორი-2 დაფინანსებულია გერმანიის KfW ბანკის და საქართველოს თი-ბი-სი ბანკის მიერ, გერმანიის თანამშრომლობის განვითარების სამინისტროს (BMZ-ის) მხარდაჭერით. მითუმეტეს სამწუხაროა, რომ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ არის ხელმისაწვდომი, რადგან როგორც ჩანს პროექტი გათავისუფლებულ იქნა გზშ-გან როგორც მთავრობის, ისე დამფინანსებლის მხრიდან.



ფოტო 14. როგორც მოველოდით, ჰესის კარები ბოლომდე გაღებული დაგვხვდა, ხმაურის ბარიერი რეალურად არ არსებობს და იგივე პრაქტიკაა მოსალოდნელი ხადორი-3-ის შემთხვევაშიც.



ფოტო 15. აღნიშნული ხიდი კომპანია „ფერის“ მიერ მხოლოდ მას შემდეგ იქნა მოწყობილი, რაც ჰესის მიერ შემოღობილ ტერიტორიაზე მდინარის გადალახვის შეუძლებლობის გამო (ჰესის აშენებამდე ეს აქ უსაფრთხოდ იყო შესაძლებელი) ადგილობრივი მაცხოვრებელი დაილუპა. ეს უსიამოვნო გამოცდილება არ არის აღწერილი ხადორი-3-ის გზშ-ში. ამასთან, ხიდი ყვითელ ფერად არის შეღებილი და არ არის შეხამებული გარემოსთან, რაც კომპანია „ფერის“ პრაქტიკაა.



ფოტო 16. ხადორი-2-ის ქვედა ბიეფში, კაშხლიდან საკმაოდ დიდ მანძილზე, ალაზნის ერთერთი მარცხენა შენაკადის ხარჯი ვიზუალურად საგრძნობლად აღემატება თვით ალაზნის ხარჯს.



ფოტო 17. ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის სამშენებლო ბანაკის ტერიტორია არა მარტო არ არის აღდგენილი, არამედ დარჩენილია დიდი ზომის ნარჩენები და მიტოვებულია სამშენებლო ტექნიკა.



ფოტო 18. ბანაკის ტერიტორიაზე არა მარტო გარემოს მდგომარეობის აღდგენას არ ჰქონდა ადგილი, არამედ მრავალი დროებითი ნაგებობა საერთოდ არ დაექვემდებარა დემონტაჟს.



ფოტო 19. ხადორი-1-ის და ხადორი-2-ის თუშეთის ეროვნულ პარკის სარეინჯეროსთან უშუალო მეზობლობის მიუხედავად (მათ შორის სამშენებლო ბანაკი, რომელიც სარეინჯეროსთან ახლოს მდებარეობს), გზშ-ის დოკუმენტში აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე და მასზე ზემოქმედებაზე საერთოდ არ არის საუბარი. თუნდაც ბანაკის ტერიტორიის მთლიან აღდგენას უაღრესად დადებითი ზემოქმედება ექნებოდა სარეინჯეროსკენ მიმდებარე გარემოზე და შესაბამისად ეკოტურიზმის ხარისხზე, რომ არაფერი ვთქვათ კომპენსაციის სახით თუშეთის დაცული ტერიტორიების მხარდაჭერაზე ჰესების კასკადის მხრიდან.



ფოტო 20. ხადორი-1-ის ყოფილი საამქრო დაზიანებული სახურავით არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, თუმცა დემონტაჟი და ტერიტორიის აღდგენა არ განხორციელებულა.



ფოტო 21. ხადორი-1-ის დაწნევის მილსადენის ვიზუალური ზემოქმედება არ არის შერბილებული, თუნდაც მილის ფერით.



ფოტო 22. ხადორი 2-ის თევზსავალის ეფექტურობა ეჭვს იწვევს, თუ რომელი თევზზეა გათვლილი 2-3 მეტრიანი ბარიერის გადალახვა.



ფოტო 23. ხადორი-1-ის ძალოვანი აგრეგატების გასასვლელი არხი (ხადორი-1 და ხადორი-2-ის აღწერა გზშ-ში მოცემული არ არის).



ფოტო 24. ტურისტები მანქანაზე დამაგრებული საბანაო კამერით სამყურისწყალის ხეობაში, სათაო ნაგებობისკენ მიმავალ გზაზე.



ფოტო 25. მდ. სამყურისწყალის შუა წელში (ხადორი-1-ის სათავე ნაგებობასა და ხადორი-2-ს შორის) წყალი ფაქტიურად არ მიედინება.



ფოტო 26. სამყურისწყალის კალაპოტის დიდი ზომის ლოდები წყლის დინების გარეშე უცნაურ სანახაობას წარმოადგენს. ადგილობრივებმა საჯარო შეხვედრისას შეგვატყობინეს, რომ მდინარის ხეობის რეკრეაციული პოტენციალი მნიშვნელოვნადაა შემცირებული (გრილი და აქტიური ხეობა, სადაც ყოველთვის უბერავდა ხეობის გამჭოლი ნიავი, ამჟამად ჩახუთული მიკროკლიმატით ხასიათდება).



ფოტო 27. მდ. სამყურისწყალის ზედა წელში სურათი კიდევ უფრო დრამატულია. აქ წყლის ხარჯი ფაქტიურად 0-ის ტოლია. ჰესიდან გამოშვებული უმცირესი ნაკადი „ეკოლოგიურ ხარჯად“ ვერ ჩაითვლება (იხ. მილი ფოტოს მარჯვენა მხარეს). ხადორი-1-ის „ეკოლოგიური ხარჯის“ შესახებ სავლელე ვიზიტის დასკვნა მკვეთრად ნეგატიურია.



ფოტოები 28 და 29. მდგომარეობას ვერც წყალსაშვები ასწორებს - მასში წყალი უბრალოდ არ მიედინება. თევზსავალის კონსტრუქცია ვერ დავინახეთ, თუმცაღა რომელ თევზსავალზეა საუბარი - მდინარე უწყლოდაა დარჩენილი და მასში თევზის არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სამყურისწყალ-1-ზე თევზსავალი არ ფუნქციონირებს.



ფოტო 30. მდ. სამყურისწყალის დინების ინტენსიობა უშუალოდ სათავე ნაგებობის მაღლა.



ფოტო 31. მდ. სამყურისწყალის დინება მთლიანად არის ჩაჭერილი და მიმართული ჰესის ტურბინების მკვებავი სადერივაციო გვირაბისკენ.



ფოტო 32. მდ. სამყურისწყალზე ხადორი-1 ჰესის წყალაღება 100-პროცენტია, ხოლო „ეკოლოგიური ხარჯი“ 0-ის ტოლი.



ფოტო 33. სათაო ნაგებობაზე არც ჩანჩქერის სანახავად მისული მოსახლეობის უსაფრთხოებაა დაცული: „უნებართვოდ შესვლა აკრძალულია“, მაგრამ ობიექტზე არავინ იყო წესების დამცველი.



ფოტო 34. ობიექტზე არც ეკოლოგიური და არც ჩანჩქერის ნახვის მსურველთა უსაფრთხოებაა დაცული.




ფოტო 35. ზოგიერთმა ახალგაზრდამ ჩვენს მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე გადალახა სათავე ნაგებობა და საკუთარი სიცოცხლე აშკარა საფრთხის წინაშე დააყენა. ობიექტზე არავინ იყო ჰესის პერსონალის მხრიდან რომ აღეკვეთა ამგვარი სახიფათო ქცევა.



ფოტო 36. საჯარო შეხვედრა დუისის და ბირკიანის თემებთან (მონაწილეთა კონფიდენციალობის დაცვის მიზნით გამოსახულების გარჩევისუნარიანობა შეგნებულადაა შემცირებული).



ფოტო 37. გარემოსდაცვით შეფასების ექსპერტის მოხსენება.



რუკა 2. დუისის და ბირკიანის წყალმომარაგების ფილტრატების დაახლოებითი მდებარეობა ხადორი-3 ჰესის წყალჩაშვების მიმართ. (გზშ-ში აღნიშნული საკითხი განხილული არ არის სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, იხ. დანართი 1, შენიშვნები 6 და 7. საჯარო შეხვედრის დროს ადგილობრივი თემი ძალზე შემოფოთებული იყო, გააუარესებს თუ არა ჰესი წყლის ხარისხს დუისსა და ბირკიანში. აღნიშნული საკითხი გზშ-ში დეტალურად უნდა ყოფილიყო განხილული. შეიძლება იმის თქმა, რომ დუისის და ბირკიანის მოსახლეობას ჰესის აშენების შემდეგ წყალი სამივე ჰესის წყალმიმღებების, ტურბინების, გვირაბების და მილსადენების გავლის შემდეგ მიეწოდება. ცხადია ისიც, რომ წყალმომარაგების ფაქტორის გამო ჰესის მილსადენის დაგრძელება „ეკოლოგიური ხარჯის“ გარეშე შეუძლებელია.)



ფოტო 38. დუისის და ბირკიანის წყალმომარაგების ფილტრატებს როგორც ალაზანი, ისე მისგან გამოყვანილი არხიც კვებავს.



ფოტო 39. დუისის წყალმომარაგების ობიექტის შესასვლელი.



ფოტო 40. დუისის წყალმომარაგების ფილტრატების ჭები.



ფოტო 41. დუისის წყალმომარაგების ერთერთი ჭა.



ფოტო 42. ბირკიანის წყალმომარაგების ახლადმოწყობილი ჭა.



ფოტო 43. წყალმომარაგების აღნიშნული ჭა ფუნქციონირებდა.
(აღნიშნული სურათი ადასტურებს, რომ გზშ-ის ავტორთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „სასმელი წყალმომარაგებისათვის მდინარის წყლის გამოყენება არ ხდება“ მცდარია.)



ფოტო 44. ბირკიანის წყალმომარაგების ერთერთი ჭა.



ფოტო 45. წყალმომარაგების ჭა სავარაუდოდ არ ფუნქციონირებს.



ფოტო 46. ხადორი-1 და 2-ის ელექტროგადამცემი ხაზების ვიზუალური ზემოქმედება ალაზნის ლანდშაფტზე ბირკიანთან და დღისთან (ალაზნის ჭალები აქტიურად გამოიყენება ადგილობრივი მცირე საოჯახო სასტუმროების მიერ საცხენოსნო ტურების ორგანიზებისთვის).